პრეზიდენტის საიმპიჩმენტო პროცესში ასლან აბაშიძეს კორექტივები შეაქვს A3
ევროისტორია B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 2002 წელი. №151
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### რუსეთს სიმართლეს არ ეუბნებიან

*რუსეთის დემოკრატიული ძალები ხელისუფლებისაგან ითხოვენ პასუხს სამ შეკითხვაზე: როგორ აღმოჩნდნენ ტერორისტები მოსკოვის ცენტრში, რამდენად დროულად აღმოუჩინეს მძევლებს დახმარება და რატომაა ინფორმაცია გასაიდუმლოებული - რატომ ებრძვის ხელისუფლება ტერორისტების ნაცვლად ჟურნალისტებს?*

A3

## ეკონომიკა

### პარლამენტი სამარშრუტო ტაქსებისთვის შეღავათიანი გადასახადის დაწესებას აპირებს

*"ალბათ, ჩვენი გადასაწყვეტი არაა, როგორი საგადასახადო სისტემა იქნება. ისე, თუ სიმართლე გაინტერესებთ, შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველს. გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ახალი სისტემა ჩვენთვის, მძღოლებისათვის, იმაზე სასარგებლო იქნება, რაც დღეს მოქმედებს."*

A4

## საზოგადოება

### ფინანსთა სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადეს

*გუშინ თბილისის სამხატვრო აკადემიის, კულტურისა და თეატრალური ინსტიტუტების რექტორებმა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ვასილ გიგოლაშვილს შეუტიეს. თეატრალურის რექტორმა გიგა ლორთქიფანიძემ ფინანსთა სამინისტრო თანხების არასწორად განაწილებასა და პროტექციონიზმში დაადანაშაულა.*

A6

## სამართალი

### "საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილების დაცვა აღარ ძალუძს"

*პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს საქართველოში ყოფნა აღარ სურთ და თავშესაფრის ძიებაში უკვე არაერთ ქვეყანას მიმართეს. ისინი თვლიან, რომ საქართველოს ხელისუფლება მათი აქ ყოფნის შემთხვევაში თავიდან ვერ აიცილებს რუსეთისგან თავს მოხვეულ კონფლიქტს.*
*ისინი დღეს უკვე ყველაფერს უნდობლად ეკიდებიან. უნდობლად შეხვდნენ ლტოლვილები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პანკისში შეტანილ ჰუმანიტარულ დახმარებასაც.*

A6

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | ☼ |
| ქუთაისი | 17 | ☁☼ |
| ბათუმი | 17 | ☼ |
| სოხუმი | 14 | ☁ |
| ფოთი | 16 | ☁☼ |
| თელავი | 12 | ☼ |
| ზუგდიდი | 17 | ☁☼ |
| გორი | 10 | ☼ |
| ახმეტა | 12 | ☼ |
| ქიათურა | 14 | ☁☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1163 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3640 |
| რუბლი | 0.0683 |

# გუშინ ცესკო-მ თავი კანონზე მაღლა დააყენა



ცესკო კანონსა და ამომრჩეველს დასცინის

*გუშინ, ცენტრალურმა სარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონმდებლობისა და იურიდიული ნორმების სრული იგნორირებით სცადა, საარჩევნო რეგისტრაციაში არ გაეტარებინა "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური (იგი კენჭს სამტრედიის რაიონში იყრის). თუმცა, მოგვიანებით, რამდენიმე პოლიტიკური პარტიის აშკარა ზემოქმედების შემდეგ, სხდომა განახლდა და ცესკო იძულებული გახდა, კანდიდატის სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პოლიტიზირების უაღრესად მაღალი ხარისხი. ცესკო უკვე იმ საშიშ ზღვარს მიუახლოვდა, როცა არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება კანონის, თუნდაც, ფორმალურ დაცვას და ნებისმიერი გადაწყვეტილება პოლიტიკურ დაკვეთას უკავშირდება.*

თამარ მჭედლიშვილი

თავდაპირველად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხოლოდ ხუთმა წევრმა დაუჭირა მხარი ზვიად ძიძიგურის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებას. დანარჩენების უარი კი იურიდიულად აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო.

ამ გარემოებით გაოგნებული ჩანდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების გამგე ელდარ გოგიაშვილი, რომელმაც ვერა და ვერ დაარწმუნა კომისიის წევრები სწორი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში.

გაგრძელება A2 გვერდზე

## უკვე მერამდენედ - ხელისუფლება ცდილობს ვითარების დესტაბილიზებას

ეკა კვესიტაძე

გუშინ ცესკო-ში დატრიალებულმა სკანდალმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, ვის ხელშია დღეს არა მარტო არჩევნების, არამედ მთლიანად ქართული დემოკრატიის ბედი.

არა აქვს მნიშვნელობა, გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვის უთხრეს უარი რეგისტრაციაში გატარებაზე, ზვიად ძიძიგურს თუ ნებისმიერ სხვას. მთავარი ისაა, რომ ცესკო-ს წევრებმა გაბედეს ის, რასაც ოდნავ თავმოყვარე ქვეყანაში ვერ უნდა ბედავდნენ.

კომისიის ის წევრები, რომლებმაც ძიძიგურის საწინააღმდეგოდ ხმა მისცეს, არ ცდილობდნენ, თავიანთი გადაწყვეტილებისთვის კანონიერი სარჩული მოეძებნათ და თავი ემართლებინათ. ეს ადამიანები, უბრალოდ, უმტკიცებდნენ ყველას, რომ რეგისტრაციაში ვის გაატარებენ და ვის არა, მხოლოდ მათ პირად სიმპათია-ანტიპათიაზეა დამოკიდებული, სურვილზე, ვიღაცას აუღონ "აბაროტკა" (ეს ტერმინი ცესკო-ს წევრმა დენის დავითაშვილმა იხმარა სატელევიზიო ეთერში).

მართალია, მოგვიანებით ცესკო-მ თავისი გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ ეს რეალურად არაფერს ცვლის. არ ცვლის იმ არასერიოზულ და უპასუხისმგებლო განწყობას, რომელიც, დიდი ხანია, ჩამოუყალიბდათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანონისა და საზოგადოების წინაშე თავიანთი ვალდებულებების მიმართ.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ, თუკი უახლოეს მომავალში არაფერი შეიცვალა და პოლიტიკოსებმა სერიოზულად არ დააყენეს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების საკითხი, რომელიც, პირველ რიგში, საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირებას უნდა შეეხოს, მომავალი არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებას დესტაბილიზაციის საშიშროების წინაშე მართლაც დააყენებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩეჩნეთის კონფლიქტი: სამხედროები და პოლიტიკოსები ჩიხში

შოთა უტიაშვილი

***- მიაჩნია თუ არა პრეზიდენტს, რომ პუტინს საკუთარი ხალხის მოწამვლის უფლება ჰქონდა?***

*- ... პრეზიდენტი ბუში სრულიად დარწმუნებულია, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად ტერორისტებს ეკისრებათ, რომელთაც საფრთხის ქვეშ დააყენეს ადამიანების სიცოცხლე.*

***- ანუ ის ფიქრობს, რომ გაზის გამოყენება გამართლებული იყო?***

*- პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს ადამიანების გარდაცვალების გამო და მიიჩნევს, რომ ბრალი ედებათ მათ, ვინც ამდენი ხალხი აიყვანა მძევლად.*

***- ამას არ გეკითხებით. მიაჩნია თუ არა პრეზიდენტს, რომ გაზი უნდა ყოფილიყო გამოყენებული თუ არსებობდა სხვა ალტერნატივაც?***

*- პრეზიდენტს ესმის, რომ შეიქმნა იმგვარი ვითარება, როდესაც ნათელი იყო, რომ ტერორისტები ხალხის დახოცვას აპირებდნენ, მათ დანაღმეს დარბაზი, უკვე ჰყავდათ რამდენიმე კაცი მოკლული და აშკარა საფრთხეს უქმნიდნენ 700-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მომხდარი ფაქტი ტრაგედიაა, მაგრამ მისი მიზეზი ტერორისტები იყვნენ.*

გაგრძელება A5 გვერდზე

## „რეალმა" წააგო მაგრამ მაინც გავიდა

B7




REUTERS

დელვეკიო და ტოტი გატანილი გოლის შემდეგ.

## „ბი-პი„ ქართველ გლეხებს სამგვარ კომპენსაციას მისცემს

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობის ტრანსპორტირების პროექტს ახალი აქციონერი – "კონოკოფილიპსი" შეემატა – ამის შესახებ ცნობილი გახდა გუშინ, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" ("ბი-თი-სი კო") დირექტორთა საბჭო თითქმის სრული შემადგენლობით ესწრებოდა. ამერიკულ-კანადურმა ნავთობკომპანიამ "კონოკოფილიპსმა" "ბი-თი-სი კო"-ს აქციათა 2,5 პროცენტი "ბი-პისგან" შეისყიდა, რის შემდეგაც "ბი-პის" ნავთობსადენის 30-პროცენტიანი სააქციო პაკეტი დარჩა. შედეგად, "ბი-თი-სი კო"-ს აქციონერთა რიცხვმა 11-ს მიაღწია.*

მაია ურუშაძე
გიორგი კალანდაძე

ნავთობსადენის პროექტი 2,9 მილიარდი დოლარი ღირს. ოფიციალური ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებისთვის საქართველო ყოველწლიურად 64 მილიონ დოლარს მიიღებს. **"იაპონიიდან ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი მილები შესაფუთად უკვე გადატანილია ინდონეზიაში, 4 ნოემბერს კი ამ მილებით დატვირთული პირველი გემი ფოთის პორტში შემოვა,"** – განაცხადა მთავრობის გუშინდელი სხდომის ძირითადმა მომხსენებელმა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ. მისი ინფორმაციით, მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების 70 პროცენტზე მეტი საქართველოში საქართველოს რკინიგზის, ავტო და ავია ტრანსპორტის საშუალებით, ბათუმისა და ფოთის პორტებით შემოვა. **"საქართველოს შემოსავალი ერთ ტონა გატარებულ ტვირთზე 25 დოლარი იქნება,"** – დააზუსტა მან.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** პანკისის ხეობაში ისეთი ვითარება შეიქმნება, რომელიც იქიდან ჩეჩენ ბოევიკებს გამოდევნის და კვლავ რეგიონში დაბრუნების საშუალებას არ მისცემს, - ირწმუნება საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი ალასანია.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, "ძალოვანი სტრუქტურები და სპეცსამსახურები სერიოზულად მუშაობენ პანკისის ხეობაში ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც გამოდევნილ ბოევიკებს იქ დაბრუნების საშუალებას არ მისცემს". ალასანიას თქმით, საუბარი ეხება როგორც ძალისმიერ, ისე სპეციალური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსს, "მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო მუშაობას". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ახმად კადიროვმა დადებითად შეაფასა დანიის სამართალდამცველი ორგანოების ქმედება, რომლებმაც, გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ დილით, კოპენჰაგენში, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერის, ასლან მასხადოვის წარმომადგენელი ახმედ ზაკაევი დააკავეს. ზაკაევი დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ჩატარებული ორდღიანი "მსოფლიო ჩეჩნური კონგრესის" ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. კადიროვმა განაცხადა, რომ "დანიელი სამართალდამცველები ამაზე არ უნდა გაჩერებულიყვნენ". "ვინც ამ შეკრებაში იღებდა მონაწილეობას, ყველა მათგანი უნდა დააპატიმრონ. პასუხი უნდა აგონ მოსკოველებმაც და რუსული პასპორტების მქონე სხვა პირებმაც, ვინც მოსკოვის ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, კოპენჰაგენში ჩავიდა მასხადოვის შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად და ამით, ტერორისტული წრეებისადმი თავისი მორალური მხარდაჭერა დაადასტურა", - აღნიშნა კადიროვმა. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა მიაღწიონ ზაკაევის რუსეთში ექსტრადიციას და ის პასუხისგებაში უნდა მისცენ. დღესვე ზაკაევის თანაშემწემ უარყო გავრცელებული ინფორმაცია, დანიის პოლიციის მიერ ახმედ ზაკაევის დაკავების შესახებ, მაგრამ დაადასტურა, რომ დანიის პოლიცია რუსეთის ხელისუფლების მიერ გადაგზავნილი საგამოძიებო მასალების შემოწმებას აწარმოებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე დოდო აბაშიძის სკვერის უკან მრავალსართულიანი საოფისე შენობის აშენებას აპირებენ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილის რომან ლებანიძის ინფორმაციით, ეს პროექტი არქიტექტურის სამსახურს არქიტექტორმა თამაზ გიორგაძემ წარუდგინა. ლაპარაკია სასტუმრო „საქართველოს" უკან მდებარე 4-სართულიანი სახლის ყრუ კედელთან მიდგომით 7-სართულიანი საოფისე შენობის აგებაზე. დედაქალაქის არქიტექტურულ საბჭოს ამ პროექტზე გადაწყვეტილება არ მიუღია, რადგან საქმე ეხება ქალაქის ისტორიულ ნაწილს და პროექტი განსახილველად ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს გადაუგზავნა.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ამ პროექტის ხორცშესხმის წინააღმდეგია. სპეციალისტთა აზრით, ამ შენობის აგება შეზღუდავს სასტუმრო „საქართველოსთან" შემავალ გზას და ამ უბნის იერსახეს შეცვლის. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის სახელმწიფო სათათბირო აპირებს, ევროპის სასამართლოსგან მოითხოვოს გადაწყვეტილების შეცვლა რუსეთში ჩეჩენი ბოევიკების ექსტრადიციის შეჩერების შესახებ, რომლებიც საქართველოში დააკავეს - განაცხადა სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი როგოზინმა. როგოზინმა ეს პოზიცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სპეციალური კომისიის დელეგაციასთან შეხვედრისას გაახმოვანა. შეხვედრა საქართველოში არსებულ სიტუაციას ეხებოდა. დეპუტატის თქმით, 1 ნოემბერს სათათბირო განიხილავს დადგენილებას, რომელშიც "გამოთქმული იქნება მოთხოვნა ევროსასამართლოსადმი, რომ შეცვალოს აღნიშნული გადაწყვეტილება". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობის მოსახლეობისთვის იტალიიდან გამოგზავნილი 30 ტონა კარტოფილის ფანტელის განაწილებას სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე დაესწრება. იგი პანკისის ხეობაში ხვალ დილით გაემგზავრება. მისი თქმით, სულ პანკისის ხეობის მოსახლეობას 45 ტონა კარტოფილის ფანტელი დაურიგდება. კირვალიძემ ხაზი გაუსვა, რომ დახმარება მხოლოდ მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი და იგი არ განაწილდება ხეობაში მყოფ ძალოვან უწყებებზე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში ჩეჩენ ტერორისტთა ჯგუფის მიერ მძევლების აყვანასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება ჩეჩნებთან მიმართებაში თავისი ურთიერთობების შეცვლას არ აპირებს, განაცხადა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. გენპროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის ცნობით, მისი უწყება, ჯერჯერობით, არ ფლობს ცნობებს ხიზრი ალდამოვის და მისი წარმომადგენლობის ტერორისტული ან კანონსაწინააღმდეგო მოღვაწეობის შესახებ. "თუ ასეთი მასალები გამოჩნდება, ის დეტალური განხილვის საგნად იქცევა", - აღნიშნა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოსახლეობას დაეხმარება. 2003 წლის 1 იანვრიდან ჩეჩნეთისა და ინგუშეთის იმ რაიონებისათვის, სადაც ლტოლვილები იმყოფებიან, სურსათის მიწოდება დაიწყება. მთლიანად ამ ერთ წელიწადში ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოსახლეობას 16 მლნ დოლარის 34 ათას ტონა პროდუქტებს გამოუყოფენ. „ამ რეგიონში არსებული დაძაბული ვითარების გათვალისწინებით სასურსათო დახმარება ერთადერთი სტაბილური რამ არის ამ ადამიანთა ცხოვრებაში", - თქვა სასურსათო პროგრამის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელმა საიდ მალიკმა. გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა ჩეჩნეთის მოსახლეობას 2000 წლის იანვრიდან ეხმარება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქში მოძრავი თითოეული სამარშრუტო მიკრო-ავტობუსის ხარჯი თვეში 1 300 ლარია. თბილისის მერიის ინფორმაციით, დღეისათვის დედაქალაქში მიკროავტობუსის 223 სამარშრუტო ხაზი მოქმედებს. სამარშრუტო ხაზებზე 4700 მიკროავტობუსია რეგისტრირებული, აქედან ყოველდღიურად 3200 მანქანა მუშაობს და დღეში, დაახლოებით, 400 ათას მგზავრს ემსახურება. თითოეული მიკროავტობუსის მძღოლს ყოველდღიური საგზურისათვის 4-8 ლარის, დისპეტჩერისათვის 0,5 ლარის, საგზაო პოლიციისათვის კი, 1 ლარის გადახდა უწევს. ყოველთვიურად ერთი მიკროავტობუსი მგზავრთა გადაყვანის ნებართვისათვის 50 ლარიან მოსაკრებელს, ეკოპოლიციისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურისთვის კი 5-5 ლარს იხდის. ყოველწლიურად ტექნიკური დათვალიერებისა და სერთიფიცირებისათვის დამატებით 270 ლარია საჭირო. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში გაერო-ს გენმდივნის მოადგილე ჟან-მარე გიენო საქართველოს 8 ნოემბერს ეწვევა.თბილისი გაერო-ს მაღალჩინოსან წარმომადგენელს თავის ხედვას გააცნობს სამშვიდობო ოპერაციათა დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით. 9 ნოემბერს, გიენო საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრებს გამართავს, 10 ნოემბერს სოხუმს ეწვევა, ხოლო 11 ნოემბერს - გალისა და ზუგდიდის რაიონებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობისა და იქ მიმდინარე ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის გასაცნობად თბილისში ევროსაბჭოს ექსპერტთა ხუთკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. მათ მიერ მოპოვებული ფაქტები ევროსაბჭოს გადაეცემა და განხილვა 2003 წლის დასაწყისში შედგება. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში არიან გერმანიის, ესტონეთის, კვიპროსის, რუსეთის წარმომადგენლები, აგრეთვე ქართველი პარლამენტარები. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იური შარანტინი პანკისის საკითხის „სამართლიანი თამაშის" პრინციპით გადაჭრას მოითხოვს, რაც მისი აზრით, საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც შედეგიანი იქნება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ფლობს ინფორმაციას, რომლითაც საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე, რუსეთის ტერიტორიიდან შესაძლოა ბოევიკთა შეჭრა განხორციელდეს. ამის შესახებ სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ განაცხადა. მისი თქმით, ეს მონაცემები რუს კოლეგებს გადასცეს. ვალერი ჩხეიძემ არ გამორიცხა, რომ შეჭრა საქართველოს ტერიტორიიდანაცაა შესაძლებელი. "საზღვრის გადაკვეთა ორივე მხრიდანაა შესაძლებელი, თუმცა, ნოემბრის შუა რიცხვებიდან ყველა უღელტეხილი კლიმატური პირობების გამო ჩაიკეტება", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში კულტურისა და სპორტის დარგისთვის გამოყოფილი სახსრების განხილვას მიეძღვნა, აღშფოთება გამოთქვა სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ჯანო ბაგრატიონმა, რადგან პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვას სისტემატურად არ ესწრება ფინანსთა მინისტრი და დეპუტატების წინაშე წარდგომას იგი მუდმივად თავის მოადგილეს ავალებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ექვსი ქართველი მეზღვაური, რომლებიც სომალის ნაპირებიდან მეკობრეებმა 30 ივლისს გაიტაცეს, კვლავ მძევლობაში რჩებიან, - განაცხადა საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ პაატა იმნაიშვილმა. მისი თქმით, საზღვაო ადმინისტრაციას, რომელსაც გატაცებული ბერძნული გემის "ჯენლილის" მეპატრონის ადვოკატებთან კონტაქტები აქვს, უკვე დაახლოებით ორი კვირაა, მეზღვაურთა შესახებ ინფორმაციები არ გააჩნია. ადრე მეკობრეებთან გამართულ მოლაპარაკებათა სერიის შედეგად, ადვოკატებმა, მოთხოვნილი 600 000 აშშ დოლარის ოდენობის გამოსასყიდის 300 000-მდე შემცირება შესძლეს, - თქვა მან. პაატა იმნაიშვილის მტკიცებით, სომალის შემთხვევა უბრალო არაა, რამდენადაც ამ ქვეყანაში მეკობრეობას ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს და სომალის რიგ პროვინციათა ბიუჯეტის შესავსებად ძირითად წყაროს წარმოადგენს. ტყვეებს დაახლოებით 100 კარგად შეიარაღებული სომალელი ბანდიტი იცავს. **პრაიმ-ნიუსი**

# არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხე ემუქრება

ვერიკო თევზაძე

*"ცესკო თავს არ იწუხებს, რომ ნორმალურად იმუშაოს. 2002 წლის 24 ნოემბერს საბურთალოს N3, რუსთავის N20, სამტრედიის N54 და აბაშის N63 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში დანიშნულ ხელახალ საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხე ემუქრება. დარღვეულია თითქმის ყველა წინასაარჩევნო პროცედურა," – გუშინ "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" თბილისის საოლქო სასამართლოს შენობის წინ პრესკონფერენცია-აქცია გამართა.*

**"სამართლიანი არჩევნების" განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები. "ჩვენი ინფორმაციით, მხოლოდ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მიაწოდა საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემები. დღესაც არ გამოქვეყნებულა საარჩევნო სიები, ამის გარეშე კი არსებობს დიდი ალბათობა, რომ ბევრი უზუსტობა გაიპარება. კანონით დადგენილ ვადებში არ შექმნილა საარჩევნო უბნები შესაბამის ოლქებში; პრესით არ გამოქვეყნებულა საარჩევნო უბნებთან დაკავშირებული ინფორმაცია; ზოგიერთ უბნებში არ არჩეულან კომისიის წევრები".**

გუშინვე "სამართლიანი არჩევნების" ადვოკატმა პალიკო აბაიძემ სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოში. იგი დარღვევების გამოსწორებას მოითხოვს. აბაიძე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროდ მიიჩნევს, შეჩერდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №133/2002 განკარგულების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის (საბურთალოს), რუსთავისა და აბაშის საარჩევნო ოლქებში ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. ანალოგიური შინაარსის საჩელი შეიტანეს ქუთაისის საოლქო სასამართლოშიც და №133/2002 განკარგულების გარდა, მოითხოვეს №143/2002 განკარგულების შეჩერება (სამტრედიის ოლქში არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით).



აქცია საოლქო სასამართლოსთან.

**"სამართლიანი არჩევნები" ასევე მოითხოვს საარჩევნო კომისიის წევრთა სერთიფიცირების საკითხის დროულად მოგვარებას. "ამა წლის 27 აგვისტოს შეიქმნა მუშა ჯგუფი და ცესკომ პარლამენტს მიმართა, რომ სერთიფიცირების საკითხი მოიხსნას. ცენტალური საარჩევნო კომისია ყოველთვის ცდილობს, რომ თავისი ცუდი მუშაობა გაამართლოს. პარლამენტს მოვუწოდებთ, უახლოეს სესიაზე განიხილოს სერთიფიცირების საკითხი. სხვაგვარად, ეჭვქვეშ დგება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ყველა დადგენილების ლეგიტიმურობა",** - განაცხადა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ყიფიანმა.

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მოითხოვს, რომ ფინანსთა სამინისტრომ არაუგვიანეს 1 ნოემბრისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაურიცხოს ფულადი სახსრები, **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ცესკოს ექნება თავისი უმოქმედობის გასამართლებელი მიზეზი."**

# უკვე მერამდენედ - ხელისუფლება ცდილობს ვითარების დესტაბილიზებას

პირველი გვერდიდან

სერიოზული არეულობის თავიდან აცილება გუშინ მხოლოდ იმიტომ მოხერხდა, რომ კომისიაში ძიძიგურის კანდიდატურა, ბოლოს და ბოლოს, რეგისტრაციაში გაატარეს. მაგრამ, ბუნებრივია, ეს სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება.

ფაქტია, რომ დღეს ცესკო ხელისუფლების ზუსტი მითითებებით მოქმედებს, მაქსიმალურად ბლოკავს საკრებულოს ამუშავებას და ყველაფერს აკეთებს ხელისუფლებისთვის საშიში ოპოზიციური ძალების კანდიდატების წინააღმდეგ. ასეთი უხეში ტაქტიკა კი ხელისუფლებას ადგილობრივი არჩევნების წინ ძვირად დაუჯდა. მაშინ ცენტრალური საარჩევნო კომიიის ყველაზე დიდი მსხვერპლი ზურაბ ჟვანიას ახალი მოძრაობა აღმოჩნდა, მაგრამ საარჩევნო კომისიებში ჟვანიას კანდიდატების დაბლოკვამ და, საერთოდ, "მოქკავშირის" მცდელობამ, ყველანაირად შეევიწროებინათ განდგომილი თანაპარტიელები, უკუშედეგი გამოიღო. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის გუნდმა მოსალოდნელზე ბევრად მეტი ხმა მიიღო, მაშინ, როცა ყველა ადმინისტრაციული ბერკეტის გამოყენების მიუხედავად, "მოქალაქეთა კავშირმა" მხოლოდ ერთ პროცენტზე ოდნავ მეტი მოაგროვა.

ხელისუფლება აშკარად ვერ აკეთებს სწორ გათვლებს. მისი ყველა ნაბიჯი ზუსტად გამიზნულ პროვოკაციას ჰგავს, რომელმაც, შეიძლება, სერიოზული არეულობა გამოიწვიოს.

მაშინ ჩნდება საფუძვლიანი კითხვა – ვის უფრო აძლევს ხელს დესტაბილიზაცია, ხელისუფლებას თუ ოპოზიციას? მართალია, შევარდნაძე და კანცელარიის მთელი შემადგენლობა გულმოდგინედ უმტკიცებს ყველას - მოსახლეობიდან დაწყებული და უცხოელი დიპლომატებით დამთავრებული - რომ დესტაბილიზაციის მოსურნე რადიკალური ოპოზიციაა, რომელსაც პრეზიდენტის ძალით დამხობა სურს, მაგრამ დესტაბილიზაციის მუდმივ პროვოცირებას ხელისუფლება ისე ხშირად აწყობს, რომ სრულიად რეალური შთაბეჭდილება რჩება: მას თავად "აწყობს" ასეთ რეჟიმში მუშაობა, საფრთხობელების შექმნა და მერე ყველა უბედურების მათზე გადაბრალება.

დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში, არეულობა არანაირად არ შედის იმ ოპოზიციური პარტიების ინტერესებში, რომელთა რეიტინგი საკმაოდ მაღალია, მათ ფონზე, უკიდურესად არაპოპულარული "მოქალაქეთა კავშირი" კი, აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანია.

განუკითხაობა და არეულობა გაცილებით უფრო მიმზიდველი ჩანს ხელისუფლებისათვის, რათა სიტუაციით ისარგებლოს, ყოველთვის მოახერხოს მისთვის სასურველი შედეგების მიღწევა და ამით სტატუს კვო შეინარჩუნოს. მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება იმ თაგვს უფრო ჰგავს, რომელმაც დიდი ხნის თხრის შემდეგ კატა გამოთხარა.

# გუშინ ცესკო-მ თავი კანონზე მაღლა დააყენა

პირველი გვერდიდან

"ზვიად ძიძიგურს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი აქვს წარმოდგენილი, კანონის მოთხოვნა ზედმიწევნით არის დაცული და ჩვენ იგი რეგისტრაციაში უნდა გავატაროთ", - განაცხადა ელდარ გოგიაშვილმა. თუმცა, მისი არგუმენტები ყურად არავინ იღო - კომისიის წევრთა უმრავლესობამ უარი თქვა მის რეგისტრაციაში გატარებაზე და ამით პირდაპირ მიანიშნა, რომ კანონზე მაღლა იდგა.

კომისიის წევრმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, პაატა საყვარელიძემ, ზვიად ძიძიგურს სამტრედიის რაიონის პრეფექტობის პერიოდი გაუხსენა და შემდეგ ბრალდება წაუყენა: **"თვითონ პრეფექტურის შენობაში იყო გამაგრებული, ჩვენ კი ერთმანეთს გვახოცინებდა (იგულისხმება სამტრედიაში ექსპრეზიდენტის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება)..."**

ცესკოს წევრად პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დანიშნული აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე ზვიად ძიძიგურს კვლავ დამნაშავედ მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ **"მას სასჯელი ერის წინაშე ჯერაც არ მოუხდია..."**

ზვიად ძიძიგურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ყველაზე უკეთ შენიღბა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გია ზესაშვილმა და განაცხადა, რომ **"ნებისმიერი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებას აზრი მხოლოდ მას მერე ექნება, როცა ფინანსთა სამინისტრო 24 ნოემბრის არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხას გამოყოფს..."**

სხვათა შორის, გუშინ კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა "ნაციონალური მოძრაობის" მეორე კანდიდატი – გივი თარგამაძე, რომლის მიმართ, როგორც გაირკვა, ნაკლები პრეტენზიები ჰქონიათ. თუმცა, რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ კანონის წინაშე ყველა ერთია.

ასე და ამგვარად, გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ზვიად ძიძიგურისთვის რეგისტრაციაში გატარებაზე უარი აშკარად "თეთრი ძაფით შეკერა" და იმაზეც კი არ იზრუნა, რომ საკუთარი უკანონო გადაწყვეტილება რაიმე "დეტალით" მაინც "გაეპატიოსნებინა".

ამის შემდგომ კი მოვლენები ასე ვითარდება:

ცესკოს გადაწყვეტილებას "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი სამტრედიაში იგებს. პირველად სწორედ ის ასახელებს ცესკოში გამართული შოუს მთავარი რეჟისორის ვინაობას:

**"ეს არის პრეზიდენტი შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" არ მიუშვებს ხელისუფლებასთან. იგი უარს ამბობს, პრაქტიკულად, ერთადერთ რეალურ ძალასთან დიალოგზე. მე არ მინახავს და არ მსმენია ასეთი უარი საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. კომისიაში, სხვა კანდიდატებთან დაკავშირებით, ყოველთვის პოულობდნენ რაღაც არგუმენტებს. ზვიად ძიძიგურის საარჩევნო დოკუმენტაცია მოამზადეს საქართველოს საუკეთესო იურისტებმა. ამით ცესკოში პირდაპირ თქვეს - არ მოგვწონს და არ გავატარებთ მას რეგისტრაციაში. თუმცა, ცესკო უკვე არაფერ შუაშია. ეს არის პირდაპირ შევარდნაძის დაკვეთა. ცესკო არის სუსტი ადამიანების ჯგუფი, რომელიც აკეთებს იმას, რასაც შევარდნაძე ეტყვის. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ უკვე არა არჩევნებზე, არამედ ძალმომრეობაზე ვსაუბრობთ და ამისკენ გვიბიძგებს ხელისუფლება. ეს კატასტროფაა",** - უცხადებს "24 საათს" მიხეილ სააკაშვილი.

მისი თქმით, პრეზიდენტი შევარდნაძე ასეთი ქმედებებით მათ ალტერნატივას არ უტოვებს და ქუჩებში გამოსვლებისკენ ღიად უბიძგებს.

**"ხელისუფლებას არ სურს რეგისტრაციაში გაატაროს ის ოპოზიციონერი კანდიდატები, ვისაც არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი აქვთ. მათ წინააღმდეგ წავიდნენ ის პარტიები, რომლებიც მხარს უჭერენ ხელისუფლებას. ცხადია, რომ ხელისუფლებას არ სურს არჩევნების ჩატარება",** - ეს უკვე "ნაციონალური მოძრაობის" მეორე ლიდერი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ადეიშვილია, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ზვიად ძიძიგურის საარჩევნო დოკუმენტაციის მომზადებაში.

"ნაციონალები" მასმედიას უცხადებენ, რომ ცესკოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებენ სასამართლოში და პროცესს უდავოდ მოიგებენ. მათივე თქმით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი თქვა არა მხოლოდ კანონის დაცვაზე, არამედ ჩაიდინა კანონით დასჯადი დანაშაული და ერთი წუთითაც არ შეშინებია იმისა, რომ პასუხს მოსთხოვდნენ (რადგან, შესაძლოა, წინასწარ მოლაპარაკებებში მათ გარანტად მაღალი სახელისუფლებო გვამები დაუდგნენ).

ცესკოს გუშინდელი გადაწყვეტილებით აღშფოთებული იყო "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი ხათუნა გოგორიშვილი:

**"ცესკო არასდროს ყოფილა ასეთი პოლიტიზირებული, როგორც ახლა. საქმე ის არის, რომ აქამდე ცესკოს წევრები ასე ღიად და საჯაროდ არასდროს აფიქსირებდნენ საკუთარ სიმპათიასა თუ ანტიპათიას გარკვეული პოლიტიკური ძალებისადმი. კომისია ცდილობდა, რომ კანონის ჩარჩოებში მოექცია თავისი გადაწყვეტილებები. ახლა თავს უფლებას აძლევენ, ღიად და საჯაროდ გამოხატონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები. კანონიერებას არავინ აქცევს ყურადღებას",** - განუცხადა "24 საათს" ხათუნა გოგორიშვილმა. მანვე დაგვიდასტურა კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებას მაჟორიტარული არჩევნების ჩაშლა სურს.

**"ფინანსთა სამინისტრო ფულს დაგვიანებით გადმორიცხავს. აქ საუბარია იმაზე, რომ მოუმზადელი ან ჩაშლილი არჩევნებისთვის პასუხი მთლიანად აგოს ცესკომ. დამიჯერეთ, აქ არჩევნების ჩაშლის მცდელობასთან გვაქვს საქმე. არანაირი სურვილი არა მაქვს, ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები ჩაიშლება. ამას კომისიის ხელმძღვანელობა და, პირველ რიგში, გია ზესაშვილი ცდილობს",** - განაცხადა ხათუნა გოგორიშვილმა (სხვათა შორის, გუშინვე გაირკვა, რომ მაჟორიტარული არჩევნები 30 ნოემბრისთვის იქნება გადადებული).

**"ცესკომ თვითლუსტრაცია მოახდინა"** – ასეთი იყო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობის განწყობა.

სხდომის პირველი ნაწილის დასრულებისთანავე პოლიტიკურ კულუარებში დიდი ალიაქოთი ატყდა. თუკი ცესკო საკუთარ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა და ზვიად ძიძიგურს კანონიერ მოთხოვნაზე საბოლოოდ განუცხადებდა უარს, ეს, საკმაოდ დიდ არეულობას გამოიწვევდა. ამის პარალელურად დაიძაბებოდა ძლივს შემთბარი ურთიერთობები ეროვნულ-დემოკრატებსა და ნაციონალებს შორის, რადგან ძიძიგურის რეგისტრაციაში გატარების ერთ-ერთი მოწინააღმდეგე სწორედ ამ პარტიის წარმომადგენელი იყო (ამ მხრივ საგულისხმოა ირინა სარიშვილის კომენტარი, რომლის თანახმად, პაატა საყვარელიძემ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტიასთან კონსულტაცია არ გაუმართავს).

პროცესებზე გავლენა მოახდინა ცესკოში მისულმა პოლიტიკოსთა ნაწილმაც, რომელიც კომისიას სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას სთხოვდა.

როგორც უკვე ვთქვით, სხდომა განახლდა და ზვიად ძიძიგური რეგისტრაციაში გაატარეს.

და ბოლოს: ამ ფონზე უკვე სრული გულუბრყილობა იქნება ველოდოთ, როდის დაამტკიცებს კომისია თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგებს. მართალია, კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე გვაიმედებს, რომ ეს მიმდინარე კვირის პარასკევს მოხდება, მაგრამ, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ახალი ოქმი დაუყოვნებლივ გასაჩივრდება და, თუკი სახალხო პარტია ავთანდილ ჯორბენაძესთან დღეს მიმდინარე ვაჭრობებში წილს ვერ მიიღებს, ახალი სარჩელის ავტორები თავად მოქკავშირლები გახდებიან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ალბათ, დროა, რომ თითოეული პოლიტიკოსი თუ საზოგადოება ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე დაფიქრდეს. ასე თუ გაგრძელდა, საქართველოსთვის თურქმენიზაცია არც ისე შორეული მომავლის საქმე ყოფილა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# 102 დღე ნიკოლოზ ჯანჯღავას გარეშე

## თავდაცვის მინისტრს, ივლისის ამბოხის შემდეგ, კოჭრის სპეცდანიშნულების ბრიგადა ახალი აბანოთი და ძველი პრობლემებით დახვდა

*გუშინ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე პირველად ეწვია კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადას, კომანდოს ბატალიონს და კოჯრის სასწავლო ცენტრს, მას შემდეგ, რაც 19-21 ივლისს ბატალიონის მაშინდელი მეთაურის, სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდლის ნიკოლოზ ჯანჯღავასა და 102 ოფიცრის ჯარში შექმნილი უმძიმესი ვითარებით გამოწვეული პროტესტი კინაღამ სამხედრო ამბოხებაში გადაიზარდა. მინისტრი დაესწრო სპეცრაზმელების იმპროვიზებულ ვარჯიშს, მომავალი კომანდოსების გაკვეთილს, გახსნა ახალი აბანო სამხედროებისთვის, ისე, რომ ნიკოლოზ ჯანჯღავა და ივლისის მოვლენები ერთხელაც არ უხსენებია. ყოფილ მეთაურზე საუბარს თავს არიდებდნენ სპეცდანიშნულების ოფიცრებიც და ჯარისკაცებიც. კოჯრის ბრიგადა დღესაც თურქული დახმარებით სუნთქავს. ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის პარალელურად, თურქი ინსტრუქტორები ნატო-ს სტანდარტებით ელიტარული სპეცრაზმელების მეოთხე თაობას ამზადებენ.*

ზაზა წულაძე



*დავით თევზაძე კოჭორის სპეცდანიშნულების ბრიგადაში*

102 დღის უკან კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონში მომხდარ სამდღიან ინციდენტზე თავდაცვის სამინისტროში დუმილს არჩევენ, რადგან მას ამოწურულად მიიჩნევენ. მაშინ ბატალიონის მეთაურმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ, 102 ოფიცერთან ერთად, დაწერა პატაკი შეიარაღებული ძალებიდან წასვლის შესახებ და ასე გამოხატა პროტესტი, თავდაცვის სამინისტროში "კლანების ფორმირებისა" და სახმელეთო ჯარების სარდლის თანამდებობიდან მისი მოულოდნელი გადაყენების გამო.

ჯანჯღავა დღემდე სამინისტროს კადრების განყოფილების განკარგულებაში რჩება. არაოფიციალური ინფორმაციით, სამინისტროს სამანდატო კომისიამ ვიცე-პოლკოვნიკს რამდენჯერმე შესთავაზა ჯარში დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. იმ 102 ოფიცრიდან, რომლებმაც ივლისში ჯანჯღავას სოლიდარობა გამოუცხადეს, დღეს კოჯორში, დაახლოებით, 60 პროცენტი დარჩა, ხოლო სპეცდანიშნულების ბატალიონი ბრიგადად გარდაიქმნა, რომელსაც ახალი მეთაური ზაზა ჩხაიძე ჰყავს.

ყოფილ მეთაურზე საუბარს "კოჯრელები" თავს არიდებენ. **"ჯანჯღავას დროს არსებული პრობლემები შედარებით მოგვარდა, იმავე კვებისა და ხელფასის პრობლემებს ვგულისხმობ. რაც დარჩა, ალბათ, ისიც გამოსწორდება,"** – გვითხრა სპეცდანიშნულების ბრიგადის შტაბის უფროსმა დავით გოგინაშვილმა. კითხვაზე - არის თუ არა ბრიგადაში ჯანჯღავას დაბრუნების მოთხოვნილება? - გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ **"არ არის კომპეტენტური ამ საკითხზე სასაუბროდ".**

კოჯრის სასწავლო ცენტრი, რომელიც 1999 წელს ჯანჯღავას ინიციატივითა და თურქეთის დახმარებით დაარსდა, თურქეთის დროშებით, პეიზაჟებითა და ათათურქის ფოტოებით არის მორთული. გუშინ მინისტრმა თურქეთის დაფინასებით აშენებული კიდევ ერთი ახალი ობიექტი – 26-ადგილიანი აბანო გახსნა, მანამდე კი მომავალი ქართველი კომანდოსების გაკვეთილს დაესწრო, რომელსაც თურქი ინსტრუქტორები ატარებდნენ. **"დღეს ჩვენ ქართველი კომანდოსების მეოთხე თაობას ვამზადებთ. მათ თურქეთში სახელგანთქმული ქაისარის ელიტარული საპარაშუტო ნაწილების ინსტრუქტორები ასწავლიან, ქართველ მეგობრებთან ერთად. ჯერჯერობით, 116 მსურველიდან მძიმე წვრთნას მხოლოდ 52-მა გაუძლო, თუმცა, მათ წინ ელოდებათ კიდევ უფრო მძიმე სწავლება, როგორც საქართველოს, ისე თურქეთის ტერიტორიაზე. იანვრისთვის ისინი ნატო-ს სტანდარტების მეომრები იქნებიან. ამ ნაწილის იარაღით აღჭურვას მთლიანად თურქეთი უზრუნველყოფს,"** – გვითხრა საქართველოში თურქეთის სამხედრო ატაშემ ალნარ გულნერმა.

თავდაცვის მინისტრის თქმით, მიმდინარე რეფორმის თანახმად, მთავარი აქცენტი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე კეთდება, რომელიც სახმელეთო და სპეცდანიშნულების ძალებს გააერთიანებს. **"ამ ბრიგადის პირადი შემადგენლობა, შეიძლება ითქვას, უკვე ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ოფიცრებმა გაიარეს მომზადება თურქეთის ელიტარულ ნაწილებში, ასევე კოსოვოში, თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მსახურობდნენ. რაც შეეხება მთლიანად ბრიგადას, მასზე მხოლოდ მას შემდეგ ვისაუბროთ, როცა მისი მომზადება საბოლოოდ დასრულდება,"** – აღნიშნა დავით თევზაძემ, რომელმაც არ დააკონკრეტა, რამდენი სპეცრაზმელის მომზადებას ითვალისწინებს თურქული პროგრამა.

სპეცდანიშნულების ბრიგადის ნატო-ს სტანდარტებამდე მომზადების გზაზე ძირითადი პრობლემა კვლავ კვებაა. კოჯრის ბრიგადის შემადგენლობა ყოველდღიურად მხოლოდ 2000-2200 კილო-კალორიას იღებს, როცა ნატო-ს სტანდარტი 5000 კალორიაა.

# რუსეთს სიმართლეს არეუბნებიან

*რუსეთის დემოკრატიული ძალები ხელისუფლებისაგან ითხოვენ პასუხს სამ შეკითხვაზე: როგორ აღმოჩნდნენ ტერორისტები მოსკოვის ცენტრში, რამდენად დროულად აღმოუჩინეს მძევლებს დახმარება და რატომაა ინფორმაცია გასაიდუმლოებული - რატომ ებრძვის ხელისუფლება ტერორისტების ნაცვლად ჟურნალისტებს?*

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

რუსეთის პარლამენტი კენჭს არ უყრის მემარჯვენე ძალთა ინიციატივას, შეიქმნას მოსკოვში მომხდარი ტერაქტის მიზეზებისა და შედეგების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია. მოსკოვში ტერაქტის შემდეგ გამართული ფედერაციათა საბჭოს პირველი სხდომა პარლამენტის ზედა პალატის წევრებმა ერთმანეთის მილოცვით დაიწყეს. სენატორთა ურთიერთმილოცვების უზნეო "რიტუალს" გადასცემენ სამთავრობო ტელეარხები. ხუმრობა ხომ არ არის - სპეცსამსახურებმა "ბრწყინვალე" შტურმით ვადა გაუგრძელეს კრიმინალურ ხელისუფლებას და მომავალ არჩევნებამდე დაასამარეს ჩეჩნეთის დარეგულირების მინიმალური პერსპექტივაც კი, რითიც საკუთარი 18 წლის ჯარისკაცებისათვის ახალი საფლავების გათხრა დაიწყეს.

მოსკოვში ხშირად გაიგონებთ, რომ დუბროვკაზე შტურმის ერთადერთი სწორი და ტრაგიკული ანალოგიაა "კურსკის" დაღუპვა. მაშინ, ატომურ წყალქვეშა ნავთან ერთად ჩაიძირა ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების დადგენის ყველა შანსი. სპეცსამსახურების ნამოქმედარით კმაყოფილი სენატორი, ჩეჩნეთის მომავალი პრეზიდენტი ახმედ კადიროვი მოსკოვში ჟურნალისტებს უცხადებს, რომ **"დასაჭერია ყველა მოსკოველი ჩეჩენი, ვინც კი თანაუგრძნობს ტერორისტებს, ვინც დანიაში ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესში მონაწილეობდა და ვისაც ჩეჩნეთში ომის დამთავრება არ სურს".** კადიროვი მიესალმა კოპენჰაგენში ახმედ ზაკაევის დაპატიმრების ფაქტს.

რუსეთის პარლამენტის სპიკერი გენადი სელეზნიოვი "კარგ ამბავს" უწოდებს ზაკაევის დაპატიმრებას და გამოთქვამს სურვილს, რაც შეიძლება მალე მოხდეს მოსკოვში მისი ექსტრადირება. მასხადოვის რეჟიმთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების მომხრე ერთ-ერთ მოსკოველ ჩეჩენს, დასაჭერთა სიაში ნომერ პირველ კანდიდატს რუსლან ხასბულატოვს და კადიროვთან მოლაპარაკებებში მონაწილე ივან რიბკინს სხვა მოსაზრება აქვთ.

რუსლან ხასბულატოვი: **"ვის ვის და პირველ რიგში კადიროვს არ სურს ჩეჩნეთის ომის დასრულება... ზაკაევი არავითარი ტერორისტი არ არის და სასაცილოა იმის მტკიცება, რომ იგი ტერაქტებში მონაწილეობდა. არ მესმის, რა საჭიროა ეს ისტერია მსოფლიო კონგრესის ირგვლივ. იმის ნაცვლად, რომ ეს ღონისძიება ჩეჩნეთის დარეგულირების წინაპირობად ქცეულიყო, მოსკოვის დაჟინებული თხოვნით, ზაკაევი დააკავეს. მე კარგად ვიცი, რომ გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი, აშშ-ში გაფრენის წინ, მოსკოვში დანიის ელჩის კაბინეტში საათნახევარი იჯდა და გადასცა მას კრემლის პოზიცია კოპენჰაგენში ზაკაევის დაპატიმრების აუცილებლობაზე. ჩემი დაპატიმრება მათ არ გამოუვათ."**

ივანე რიბკინი: **"ძირშივე მცდარია ასეთი არგუმენტით ზაკაევის დაპატიმრება, კაცისა, რომელიც ერთადერთ კონსტრუქციულ ძალად მოიაზრებოდა სამშვიდობო-პოლიტიკურ პროცესში. როცა ხელისუფლება ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ამბოხებულ რესპუბლიკასთან არანაირი დიალოგი არ სურს, მაშინ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მე მაინც მგონია, რომ კოპენჰაგენში დაკავებულ ზაკაევს აუცილებლად გაუშვებენ. როცა იგი შერემეტიოვოში კაზანცევს ხვდებოდა, თავში არავის მოსვლია მისი დაკავება. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს კი, როცა საკმაოდ მაღალი პოსტი მეკავა, რაღაც არ მახსოვს ზაკაევის ტერაქტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტები, არადა, ეს სწორედ ის წლებია, რა პერიოდშიც მოსკოვი ახლა მას ბრალად სდებს ტერაქტებში მონაწილეობას."**

განსხვავებული შეხედულება აქვს რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერს ლიუბოვ სლისკას. ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს: **"დასავლეთის წამყვანი ქვეყნები სოლიდარობას უცხადებენ პრეზიდენტ პუტინის ინიციატივას მძევალთა გათავისუფლებაში - ინგლისის პარლამენტართა დასკვნით, ეს იყო ერთადერთი სწორი და იმ მომენტში გამართლებული აქცია. საყურადღებოა, რომ ეს განცხადება ტონი ბლერმა გააკეთა და მოსკოვის მოვლენებზე ბლერის თეზისებს ინგლისის ოპოზიციაც მხარს უჭერს. ბრიტანეთის პარლამენტის სპეციალური სხდომის შემდეგ, რუსეთის ხელისფლებას ევროპაში საიმედო თანამოაზრე გაუჩნდა."**

# პრეზიდენტის საიმპიჩმენტო პროცესში ასლან აბაშიძეს კორექტივები შეაქვს

*ბლოკ "საქართველოს აღორძინებაში" შემავალი საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები გუშინ ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ასლან აბაშიძეს შეხვდნენ. დიალოგის ძირითადი მიზანი "აღორძინების" მიერ ინიცირებული პრეზიდენტ შევარდნაძის იმპიჩმენტის პროცესის ბოლომდე მისაყვანი გზების ძიება იყო. ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარის, გიორგი თარგამაძის განცხადებით, აჭარის დედაქალაქში გუშინ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, თუმცა, შეხვედრა მთლად უნაყოფო მაინც არ ყოფილა.*

გიორგი ასანიშვილი

**"ასლან აბაშიძემ დაადასტურა, რომ საიმპიჩმენტო პროცესის დაწყების თაობაზე ბათუმურ ალიანსში შემავალ პოლიტიკურ ძალებთან წინასწარი შეთანხმება არ ჰქონია, მაგრამ რადგან პროცედურა უკვე დაიწყო, აჭარის ლიდერი მას არ გაემიჯნება და მხარს დაუჭერს",** - აღნიშნავს თარგამაძე.

ისე, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი სერიოზული ნაბიჯი აჭარის დეპუტაციას დამოუკიდებლად, აბაშიძესთან კონსულტაციების გარეშე გადაედგა. როგორც ჩანს, ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ამჯობინა, თავდაპირველად ჩრდილში დარჩენილიყო, ჯემალ გოგიტიძის მიერ გაკეთებული განცხადების ეფექტს დალოდებოდა და ანტიშევარდნაძისტულ "ამბოხებაში" მოგვიანებით ჩართულიყო.

ასეა თუ ისე, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ საიმპიჩმენტო პროცესი ჩიხში შევიდა და პარლამენტში პროცედურის დაწყებისთვის აუცილებელი 79 დეპუტატის ხელმოწერა არ გროვდებოდა, აბაშიძემ გადაწყვიტა, რომ ბრძოლაში მისი უშუალო ჩაბმის დრო დადგა.

გუშინდელ შეხვედრაზე მან თანამებრძოლებს შევარდნაძის გადაყენების სტრატეგიაში გარკვეული კორექტივების შეტანა შესთავაზა. აბაშიძის სურვილია, შეიცვალოს საიმპიჩმენტო ტექსტის თავდაპირველი რედაქცია. კერძოდ, შევარდნაძის გადაყენების არგუმენტაციას უნდა დაემატოს ისეთი მუხლები, როგორებიცაა "სახელმწიფო ტერორიზმი", "უზურპატორული საარჩევნო კოდექსის მიღება", "აჭარასთან ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება, რაც ეკონომიკურ ბლოკადაში გამოიხატება", "პარლამენტის მიერ ბოლო დროს რუსეთთან მიმართებაში მიღებული რიგი დადგენილებების არშესრულება" და სხვა. თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ ზოგადი მონახაზია და დასაზუსტებელია, ასლან აბაშიძის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, როგორი სახით ჩამოყალიბდება საიმპიჩმენტო ტექსტის ახალი რედაქცია.

**"ის ტექსტი, რომელზეც აქამდე გროვდებოდა ხელმოწერები, უკან იქნება გამოწვეული, შედგება ახალი დოკუმენტი და იმპიჩმენტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება, ფაქტობრივად, ხელახლა დაიწყება",** - აცხადებს გიორგი თარგამაძე.

მისივე თქმით, ბლოკ "საქართველოს აღორძინების" ხუთი სუბიექტიდან ოთხი (სოციალისტების გამოკლებით) მზად არის, ხელი მოაწეროს რედაქტირებულ დოკუმენტს; **"დანარჩენი საპარლამენტო ფრაქციების დამოკიდებულება კი, ალბათ, იმის მიხედვით ჩამოყალიბდება, თუ რა შინაარსს შეიძენს ახალი საიმპიჩმენტო ტექსტი".** იქვე, თარგამაძე ამტკიცებს, რომ ასლან აბაშიძესთან გამართული შეხვედრის დროს სხვა ფრაქციებთან შემდგომ კონსულტაციებზე და, მით უმეტეს, მათ "გადმობირებაზე", ლაპარაკი არ ყოფილა, ისევე როგორც ბლოკის მომავალზე, რომლის სიმტკიცეც ვახტანგ რჩეულიშვილის "სეპარატიზმმა" ეჭვის ქვეშ დააყენა.

პრეზიდენტ შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხის მიმართ უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, აჭარის ლიდერთან შეხვედრის მონაწილენი აცხადებენ, რომ სოციალისტებთან თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ასეთი პოზიცია კი კიდევ უფრო ამაგრებს საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შევარდნაძის გადაყენების ირგვლივ ატეხილი მთელი ეს აჟიოტაჟი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური თამაშია. მართლაც, ძნელი ასახსნელია, ერთი მხრივ, "დიდი შემართებით" გამოდიოდე პრეზიდენტის წინააღმდეგ და, ამავე დროს, გვერდში პრეზიდენტის მხურვალე მხარდამჭერი გედგას.

# ვეტერანები პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ

*გუშინ, პარლამენტის შენობის წინ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანებმა აქცია გამართეს და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს.*

სოფო კვინტრაძე

დაახლოებით ასამდე ვეტერანი პარლამენტთან შუადღისას გამოჩნდა და იქ მუდმივად მყოფ ზვიადისტებს ტრიბუნის ცოტა ხნით დათმობა მოსთხოვა. ზვიადისტები, რომლებიც უკვე რამდენიმე თვეა პარლამენტის წინ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით უშედეგოდ მართავენ საპროტესტო აქციებს, სიხარულით შეეგებნენ ვეტერანების გამოჩენას. ვეტერანებმა რუსთაველზე მოძრაობა გადაკეტეს. მათი ერთადერთი მოთხოვნა პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა გახლდათ იმ მოტივით, რომ შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო და ეს ტერიტორია დაკარგა. ვეტერანებს სხვა სახის მოთხოვნები არ ჰქონიათ, აქციის მონაწილეთა რიგებში აშკარად იგრძნობოდა არაორგანიზებულობა. ვეტერანთა ნაწილი წინააღმდეგი იყო, ზვიადისტების ტრიბუნა გამოეყენებინათ. **"სტუდენტებმა დარეკეს და გვითხრეს, რამ გადაგრიათ, ზვიადისტებთან რა გინდათო",** - ეუბნებოდა ერთი ჯგუფი მეორეს. ეს ჯგუფი მოითხოვდა აქციის გადატანას კანცელარიის წინ; დანარჩენები ზვიადისტების ტრიბუნით სარგებლობაში ცუდს ვერაფერს ხედავდნენ: **"მერე რა, ჩვენ ხომ ზვიადისტები არა ვართ."**

ერთი სიტყვით, ზვიადისტებისა და ვეტერანების ალიანსი არ შედგა. აქციის დაწყებიდან ძალიან მალე პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია მთაწმინდა-კრაწინის პოლიციის თანამშრომლებით გადაიჭედა. აქციის ადგილზე თემურ მღებრიშვილის სპეცდანიშნულების რაზმიც მივიდა, რომელიც პოლიციის კორდონს შეუერთდა. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელებმა ვეტერანებს აქციის დაშლა და გზის გათავისუფლება მოსთხოვეს. რამდენიმეწუთიანი მოლაპარაკების შემდეგ ვეტერანები დათმობაზე წავიდნენ. მათ ავტომანქანებს გზა გაუხსნეს და მშვიდობიანი მსვლელობით გაუყვნენ ტროტუარს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისაკენ.

ზუსტად ერთი წლის წინ, "რუსთავი 2"-ის ინციდენტთან დაკავშირებით პარლამენტის შენობასთან, რუსთაველის გამზირი სტუდენტებმა გადაკეტეს პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, რასაც რამდენიმედღიანი აქცია და ყველა მინისტრის გადადგომა მოჰყვა.




## „გაერთიანებული დემოკრატები" აგრარული პოლიტიკის პროგრამას ამუშავებენ

*დღეს "გაერთიანებული დემოკრატების" ყრილობას მართავენ. მანამდე კი, მათ ერთი კვირის მანძილზე საგანგებო ფორუმები მოეწყვეთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, შეხვდნენ ეკონომიკის, განათლების, თავდაცვის, კულტურის, ჯანდაცვის, აგრარული სექტორების წარმომადგენლებს.*

ნინო ნარიმანიშვილი

**"სოფლის მეურნეობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. დღეისათვის ამ სფეროში მოსახლეობის უდიდესი ნაწილია დასაქმებული და მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25 პროცენტი იქმნება. მიმდინარეობს მიწის რეფორმა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრივატიზაცია, მაგრამ, საკანონმდებლო დონეზე მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ შეძლო ზეგავლენა მოეხდინა აგრარულ სექტორში დაგროვილ პრობლემებზე. სახეზეა მოშლილი ინფრასტრუქტურა, კონტრაბანდა და ფალსიფიკაცია, ფინანსების უქონლობა, მოძველებული ტექნოლოგიები, ექსპორტზე ორიენტირებული, დეკლარირებული პოლიტიკის განუხორციელებლობა, სახელმწიფოში კორუფციის უაღრესად მაღალი დონე,"** – განაცხადა გუშინდელ ფორუმზე "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ. მისი თქმით, ფორუმი დასაბამს მისცემს დისკუსიას, რომლის შედეგების გათვალისწინებით, 2003 წლის მაისისათვის "გაერთიანებული დემოკრატების" აგრარული პოლიტიკის პროგრამა შეიქმნება. **"ამ პროგრამისათვის ჩვენ ვმუშაობთ საკითხებზე, რომლებიც აგრარულ სექტორს გაჯანსაღებაში დაეხმარება. კერძოდ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, სახელმწიფოს მიერ აგრო-სამრეწველო კომპლექსის ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარებაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებაზე, კერძო ბიზნესისა და საბაზრო ურთიერთობების განმტკიცებაზე. ასეთ შეხვედრებს კი, ვიცით, რეგულარული ხასიათი მიეცემა და ერთიანი ძალებით გადავჭრით პრობლემებს,"** – დაასძინა ზურაბ ჟვანიამ.

ფორუმზე აღინიშნა, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" აგრარული სექტორის განვითარებისათვის მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ კორუფციისა და კონტრაბანდასთან ბრძოლას, პრიორიტეტების საპროგრამო დაფინანსებას, სახელმწიფო კრედიტებისა და გრანტების ეფექტურად გამოყენებას და მათ ხარჯვაზე მაქსიმალური კონტროლის, საზოგადოების აქტიური მონაწილეობით განხორციელებას.

## მოკლედ

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციები ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ანტიეროვნულ საქმიანობაში ადანაშაულებენ და მის გაუქმებას მოითხოვენ. გუშინ, დაახლოებით, 10 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შეიჭრნენ და ელექტროენერგიის ტარიფის მომატების გამო დაჟინებით მოითხოვეს სემეკის გაუქმება.

სემეკის თავმჯდომარემ ელიზბარ ერისთავმა დაცვის გაძლიერების ბრძანება გასცა და არ აპირებდა არასამთავრობოებთან შეხვედრას, თუმცა შეკრებილებმა ძალით შეაღწიეს მის კაბინეტში და მოთხოვნები წარუდგინეს. მათი მტკიცებით, სემეკი ხალხის საკეთილდღეო საქმიანობას არ ეწევა, იმის მიუხედავად, რომ იგი ხალხის ჯიბიდან ფინანსდება. არასამთავრობოების განცხადებით, სემეკის თანამშრომლები მაღალ ხელფასებს დაუმსახურებლად იღებენ.

რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფის 12,4-დან 13,7 თეთრამდე გაზრდას, რომელიც პირველი ნოემბრიდან შევა ძალაში, არასამთავრობოების განცხადებით, ისინი მთელ ქალაქში აქციებს მოაწყობენ და ერთდროულად გადაკეტავენ ქუჩებს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ შეხვედრაზე ევრობანკის წარმომადგენელმა ოლივერ დეკამპმა საქართველოს მთავრობისაგან ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სარემონტო სამუშაოებში მხარდაჭერა და თანადგომა ითხოვა. "ევრობანკს სჭირდება დასტური, რომ საქართველოს მთავრობა აცნობიერებს სარემონტო სამუშაოების მნიშვნელობას. სანამ ქართული მხარე თავის წილ თანხას არ გამოჰყოფს, ევრობანკი მშენებლობას არ დაიწყებს," - აღნიშნა დეკამპმა.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, რემონტისათვის საჭირო თანხის 15 პროცენტი, ანუ 14 მილიონი დოლარი, თავად გაიღოს. ავთანდილ ჯორბენაძემ პირობა მისცა სტუმარს, რომ თანხები აუცილებლად იქნება გაღებული.

ენგურის კაშხლის სარემონტო სამუშაოები ევრობანკისა და ევროკავშირის კრედიტებით მიმდინარეობს. სამუშაოები, ქართული მხარისაგან დაუფინანსებლობის გამო, ამა წლის სექტემბრამდე შეჩერებული იყო, ამჟამად კი წინასწარი სამუშაოები მიმდინარეობს.

ევრობანკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ბიზნეს-ჯგუფის დირექტორმა ოლივერ დეკამპმა განაცხადა, რომ ენერგოსისტემა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის უმთავრესი პრობლემაა. "ამგვარ ქვეყანაში, შესაძლოა, ზოგიერთი ძალები ენერგეტიკის სფეროსათვის ბარიერების შექმნაში იყვნენ დაინტერესებულნი. ამჟამად საქართველოში მოსახლეობა ელექტროენერგიის გადასახადს იხდის, მაგრამ მსხვილი მომხმარებლები ყველაზე ცუდი გადამხდელები არიან. ამიტომ მთავრობამ გადასახადის ამოღების სისტემის სრულყოფაზე უნდა იზრუნოს," - აღნიშნა სტუმარმა.

ევრობანკი საქართველოში ნავთობსადენების პროექტში მონაწილეობითაც არის დაინტერესებული. თავის დროზე ევრობანკი აქტიურად მონაწილეობდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაში.

ოლვერ დეკამპი გუშინ საქართველოს პრეზიდენტსაც შეხვდა და მას, თანადგომის თხოვნით, ევრობანკის დირექტორის წერილი გადასცა. ამასთან, სტუმარმა პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს საქართველოში ევრობანკის ახალი წარმომადგენელი ნიკოლაი ჰაიჯიისკი წარუდგინა.

ევრობანკის სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის ბიზნეს-ჯგუფის დირექტორი ოლივერ დეკამპი და კავკასიის რეგიონული დირექტორი ჯორჯ კრივიკი თბილისში 28 ოქტომბერს ჩამოვიდნენ.

ევრობანკი 1991 წელს ევროსაბჭოს ინიციატივით შეიქმნა და მისი მიზანია, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში დაეხმაროს.

საქართველოში ბანკი ელექტროენერგიის, ფინანსების, ტრანსპორტის, ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახორციელებს პროექტებს. აღებული ვალდებულებების - 252 მილიონი ევროს 60,3 პროცენტი უკვე რეალიზებულია. **"ინტერ-პრესი"**

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 25 - 31 ოქტომბრის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6425 | 0.6315 | 0.0052 |
| US$ | 1.5564 | | 0.9828 | 0.0081 |
| €uro | 1.5833 | 1.0175 | | 0.0083 |
| ¥en | 191.35 | 123 | 120.86 | |

**2002 წლის 31 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1297 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3705 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4543 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2902 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1765 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4420 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2373 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0596 ლარი |

# „ბი-პი" ქართველ გლეხებს სამგვარ კომპენსაციას მისცემს

პირველი გვერდიდან



შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში

ნავთობსადენის მშენებლობაზე საქართველოში 70 ათასი ადამიანი დასაქმდება. თუმცა, პროექტის ორგანიზატორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დასაქმება იქნება "მყისიერი", ანუ დროებითი – იმის მიხედვით, თუ რომელ რაიონში გადაინაცვლებს მშენებლობის მორიგი ეტაპი. მილსადენის კომპანიას საქართველოს მოსახლეობასთან კიდევ ერთი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. საუბარია მიწის შესყიდვაზე. მიწა, რომელზეც ნავთობსადენმა უნდა გაიაროს, "ბი-პიმ" მოსახლეობისგან მსოფლიო საბაზრო ფასით უნდა შეიძინოს. "24 საათთან" საუბარში "ბი-თი-სი კო"-ს პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა აღნიშნა, რომ პირობები, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწის შესყიდვა, ბროშურის სახით მოსახლეობას წინასწარ დაურიგდება. **"იმედია, ეს დოკუმენტი არა მარტო მათ, არამედ მსოფლიო ბანკსაც დააკმაყოფილებს,"** – აღნიშნა დევიდ ვუდვორდმა. მისმა ქართველმა პარტნიორმა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ კი განაცხადა, რომ მოსახლეობაზე გაიცემა მიწის სამი სახის კომპენსაცია: უშუალოდ მიწის ღირებულების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მიწაზე არსებული ქონებისა. "ბიპიმ" გამოსცა საგანგებო სახელმძღვანელო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ-კავკასიური მილსადენებისათვის. ნავთობსადენი ქვემო ქართლის რეგიონის რამდენიმე სოფელს გაივლის. ამ მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე აცხადებს, რომ სრული ინფორმაცია აქვს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება მიწის კომპენსაციის გადახდა. მისი თქმით, თითო სოფელზე 34 000 დოლარი გაიცემა. **"ძირითად კონტრაქტორებს, რომლებმაც ტენდერი მოიგეს და უკვე მუშაობენ მშენებლობაზე, ჩვენ ფილიალების შექმნას ვთავაზობთ, რათა ბიუჯეტში ფილიალებმა იხადონ გადასახადები,"** – აღნიშნა ლევან მამალაძემ.

ქვემო ქართლის გარდა, მილსადენმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონიც, მათ შორის, ბორჯომის ხეობაც უნდა გადაკვეთოს. შეგახსენებთ, რომ, დაახლოებით, ორი კვირის წინ ლონდონში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე "ბი-პიმ" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი წარადგინა, რომელშიც ბორჯომის ხეობის საკითხს ბოლო ადგილი ნამდვილად არ ეკავა. ლონდონში შეხვედრას, საქართველოს ნავთობკორპორაციისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელების გარდა, ქართული კომპანია "ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერსის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე დევისნრი. "24 საათთან" საუბარში მან მკვეთრად დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომლითაც იგი მილსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლის წინააღმდეგია. **"სჯობს, მილსადენმა ბორჯომის ხეობას შემოუაროს და არ გაიაროს საქართველოს ამ უნიკალურ ნაწილზე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ ათასშვიდასკილომეტრიანმა ნავთობსადენმა მაინცდამაინც ბორჯომის ხეობის ოციკილომეტრიან მარშრუტზე გაიაროს. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ რეგიონის უსაფრთხოებისთვის "ბიპის" ძვირადღირებული ტექნოლოგიების გამოყენებას მოვთხოვთ",** - განაცხადა ხაზარაძემ, რომელიც გუშინ მთავრობის გაფართოებულ სხდომას არ დასწრებია.

ბორჯომის ხეობის უსაფრთხოების საკითხს ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიაც სწავლობს, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კონსულტაციას უწევს. სამინისტრომ "ბი-პის" მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტზე ნებართვა უნდა გასცეს, რის შემდეგა შესაძლებელი იქნება ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება.

**"ჩვენი ამოცანაა, რომ ნავთობსადენის პროექტს არა მარტო დღეს, არამედ შემდგომ – ოპერირების პერიოდშიც არ შეეხოს არავითარი კრიტიკა. საქართველოს გარემოს ზიანი არ უნდა მიადგეს. მე ჯერ არ შემიძლია იმის კომენტირება, თუ რა ხარისხის არის ეს პროექტი, მანამდე, სანამ ექსპერტების დასკვნები არ დაიდება და არ შეჯერდება ჩვენს მიერ,"** – აღნიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ.

გარემოს დაცვის საკითხს მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტი შევარდნაძეც გამოეხმაურა. **"ექსპერტების რაოდენობა იმდენი დასახელდა, რომ, მგონი, მათი მომსახურება უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ნავთობსადენის მშენებლობა,"** – უსაყვედურა მან ნინო ჩხობაძეს. თუმცა, იქვე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გიორგი ჭანტურიას პირადად დაავალა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიასთან" ურთიერთობის დარეგულირება. **"არავინ გვაპატიებს, "ბორჯომის" წყლებს რომ ზიანი მიადგეს,"** – განაცხადა მან.

ნავთობსადენის მშენებლობის პროცესშიც და, შემდგომ, ოპერირების პერიოდისთვისაც, "ბი-თი-სი კო" განსაკუთრებით მილსადენის უსაფრთხოების საკითხებზე ზრუნავს. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი "ბი-პის" მიერ მარშრუტების შერჩევის დროს სწორედ უსაფრთხოების საკითხები იყო. როგორც გუშინვე, მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა განაცხადა, "ბი-თი-სი კო"-ს დირექტორთა საბჭოსთვის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოების კონცეფცია ყველა უწყების, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობს. **"პროექტის ყოველი მონაწილე ქვეყანა თავად უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენის უსაფრთხოებას. ქართული მხარე, ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს,"** – დაამატა ნატიკ ალიევმა. მას მიაჩნია, რომ დიდი ნავთობსადენების უსაფრთხოების საკითხები ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან დიდ ძალისხმევასა და განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვას მოითხოვს, რაშიც საქართველოს აუცილებლად დაეხმარებიან.

როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტიდან დაზუსტდა, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენის უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ფინანსებით საქართველოს მსოფლიო ბანკი და სხვა ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ. მისი თქმით, დაფინანსების ნაწილი გათვალისწინებულია "წვრთნისა და აღჭურვის" სამხედრო პროგრამით, რომელსაც აშშ-ს მთავრობა აფინანსებს.

საბოლოოდ, გუშინ პრეზიდენტმა საგანგებო კომისია შექმნა, რომელიც საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესის ხელშეწყობას გააკონტროლებს. ახალ კომისიას თავად შევარდნაძე უხელმძღვანელებს, მას მოადგილეობას სახელმწიფო მინისტრი გაუწევს, კომისიაში კი მინისტრთა სრული შემადგენლობა შევა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ ახალი – "ნავთობსადენის მშენებლობის ხელშემწყობი საგანგებო კომისიის" ფუნქცია შეითავსა, რის შედეგადაც მთავრობის ნებისმიერი სხდომა ამ კომისიის სხდომადაც შეიძლება ჩაითვალოს.

# პარლამენტი სამარშრუტო ტაქსებისთვის შეღავათიანი გადასახადის დაწესებას აპირებს

სოფიკო ოხანაშვილი
სოფიკო კვინტრაძე

*პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი საქალაქო ტრანსპორტის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლის ინიციატივით გამოდის. გუშინ კომიტეტმა ამ საკითხზე სპეციალური მოსმენა ჩაატარა, რომელსაც, ფინანსთა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროების წარმომადგენლების გარდა, სამგზავრო ავტოტრანსპორტის სფეროში დასაქმებული მეწარმეები და მძღოლებიც ესწრებოდნენ.*

**"ამ ბიზნესში მრავალი ადამიანი თუ ორგანიზაციაა ჩართული, რომლებიც უკანონოდ იღებენ იმ თანხებს, რაც ბიუჯეტში უნდა შედიოდეს. ვისია ეს ხაზები თუ მანქანები, ვინ დგას მათ უკან, ეს ჩემი პრობლემა სულაც არ არის. ჩვენ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რომ ის თანხა, რომელიც დარგში რეალურად ბრუნავს, ბიუჯეტში წავიდეს და არა იქ, სადაც ახლა მიდის. მძღოლები ტყუილუბრალოდ ბევრ ფულს იხდიან, ბიუჯეტში კი ქეციანი ორი მილიონი ლარი შედის. ის ფული, რაც ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს, ვიღაც-ვიღაცეების ჯიბეებში წავიდა. ზოგმა ამ ფულით სერთიფიცირების შპს გახსნა, ზოგმა სხვა ორგანიზაცია და ამით ფულის შოვნის ახალი წყაროც გაიჩინა. ეს სერთიფიცირება და ეს შპს-ები ფულის გამოძალვის მახეა და მეტი არაფერი. არ მგონია, ვინმეს ამ მონობაში დარჩენა სურდეს",** - განაცხადა სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ. მისი თქმით, ამჟამად მიკროავტობუსის მძღოლი ყოველდღიურად რამდენიმე სახის გადასახადს იხდის, მათ შორის, საგზურისათვის - ოთხ-რვა ლარს, დისპეტჩერისთვის – 0,5 ლარს, საგზაო პოლიციისათვის, საშუალოდ, - ერთ ლარს. ამასთანავე, თითოეულ მიკროავტობუსზე მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მოსაკრებელი, რომელიც თბილისის ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება, ყოველთვიურად ორმოცდაათ ლარს შეადგენს. პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ამ გადასახადების გარდა, მიკროავტობუსების მძღოლებს ეკოპოლიციისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურისთვის - ხუთ-ხუთი ლარის, ე. წ. "შავი სამყაროს" წარმომადგენლებისთვის კი ყოველთვიურად ასი ლარის გადახდა უწევთ.

პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტი საგადასახადო კოდექსში სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის დაბეგვრის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ცვლილების განხორციელებას აპირებს, რაც, ერთის მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებს გაზრდის, ხოლო, მეორეს მხრივ, მძღოლებს ზედმეტი გადასახადებისგან გაათავისუფლებს. გუშინ პარლამენტში შეკრებილებს კომიტეტის წევრმა რომან დალაქიშვილმა კომიტეტის მიერ შემუშავებული ვერსია შესთავაზა, რომლის თანახმადაც, ამჟამად არსებული სხვადასხვა სახის გადასახადების ნაცვლად, ფიქსირებულ გადასახადს შემოიღებენ, რომელიც ყოველთვიურად ას ლარს შეადგენს. **"ჩვენი სქემის მიხედვით, სამარშრუტო ტაქსებისგან, ყოველთვიურად ასი ლარის გადახდის შემთხვევაში, ბიუჯეტში ყოველწლიურად 16 მილიონი ლარი შევა. ასი ლარი არც ისე ბევრია - დღეში ოთხი-ხუთი ლარი გამოდის",** - განაცხადა რომან დალაქიშვილმა.

კომიტეტის წინადადება გაიზიარა და მოიწონა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჩრდილელმა. მისი თქმით, კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი მუშაობით, მოკლე ვადებში, შესაძლებელია, საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის შემუშავება, რომელიც სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის დაბეგვრის სფეროში არსებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად გადაჭრის. **"სამარშრუტო ტაქსებზე ფიქსირებული გადასახადის დაწესება მძღოლებს საკმაოდ ბევრი წურბელისგან გაათავისუფლებს",** - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის პროექტის მომხრეები ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროშიც აღმოჩნდნენ. მათ, მართალია, მხარი დაუჭირეს ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, მაგრამ იქვე აღნიშნეს, რომ ასი ლარის გადახდას ყველა ვერ შეძლებს. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი მუშაობით სამივე უწყება (პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტი, ფინანსთა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროები) საკითხს კიდევ ერთხელ შეისწავლის და ოპტიმალურ გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

ფიქსირებული გადასახადის დაწესების იდეა კატეგორიულად უარყო გადამზიდავთა ლიგის თავმჯდომარემ ავთო ენუქიძემ, რომელმაც კომიტეტს მიკროავტობუსებზე გადასახადის კილომეტრაჟის მიხედვით დაწესება შესთავაზა. **"ჩვენ ფიქსირებული გადასახადის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. გადამზიდავს დააკისრეთ, კილომეტრზე რამდენი თეთრი უნდა გადაიხადოს და ის დაკისრებულ გადასახადს ვერსად გაექცევა, ხოლო სხვა წურბელებმა უკვე თავი უნდა გაანებონ",** - განაცხადა ავთო ენუქიძემ.

სხდომის ბოლოს დავით სალარიძემ კოლეგებსა და მოწვეულ სტუმრებს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ გუშინდელი შეხვედრა მიზნად ისახავდა არა გადაწყვეტილების მიღებას, არამედ ვარიანტების მოსმენას, ერთმანეთის მოსაზრებების შეჯერებას და, საბოლოოდ, ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც გაამარტივებს აღნიშნული სფეროს დაბეგვრას, გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს და მაქსიმალურად დაიცავს მეწარმეებისა და მძღოლების ინტერესებს.

პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარემ გადამზიდავთა ლიგას, ფინანსთა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებს დარგში არსებული პრობლემებისა და წინადადებების დასამუშავებად ერთი კვირის ვადა მისცა.

"24 საათი" შეეცადა, გაეგო, რას ფიქრობენ ამ ცვლილების თაობაზე სამარშრუტო ტაქსების მძღოლები. აღმოჩნდა, რომ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ ფიქსირებულ გადასახადზე. გარდა ამისა, მათი ერთი ნაწილი პარლამენტის ინიციატივას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს.

**"ყოველდღიურად იმდენ გადასახადს ვიხდი, რომ თავგზა მაქვს აბნეული. მაგრამ სავალდებულოა და ვიხდი, თუ არ გადავიხდი, ვერც ვიმუშავებ. თუ გაამარტივებენ ამ სისტემას, კარგი იქნება, იმიტომ, რომ მირჩევნია, ერთ მაკონტროლებელთან მქონდეს ურთიერთობა, ვიდრე ათასთან, როგორც ახლაა, როცა ყველა ჩვენ გვეუფროსება." "ყოველდღიურად 15 ლარამდე მაქვს ხარჯი, მართალია, პრობლემები არ იქმნება, თუ იხდი ამ გადასახადებს, მაგრამ დიდი შეღავათი იქნება, თუ მხოლოდ ერთს გადავუხდი და არა რამდენიმეს."**

**"გადასახადს თუ გაგვიზრდიან ამ ახალი სისტემით, ძალიან ცუდი იქნება, იმიტომ რომ ახლა რა გადასახადებიც გვაქვს, საკმაოდ ბევრია და გვიჭირს გადახდა. ასე რომ, არა მგონია, ჩვენს სასიკეთოდ იყოს რამე, ჯობია, ისე დარჩეს, როგორც ახლაა."**

**"ალბათ, ჩვენი გადასაწყვეტი არაა, როგორი საგადასახადო სისტემა იქნება. ისე, თუ სიმართლე გაინტერესებთ, შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველს. გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ახალი სისტემა ჩვენთვის, მძღოლებისათვის, იმაზე სასარგებლო იქნება, რაც დღეს მოქმედებს."**

# ჩეჩნეთის კონფლიქტი: სამხედროები და პოლიტიკოსები ჩიხში

პირველი გვერდიდან

***- თუ მიაჩნია პრეზიდენტს, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა ჩეჩნების ამ მდგომარეობამდე მიყვანისათვის, ფედერალურ ძალებსაც ეკისრებათ, მათ მიერ გამოყენებული ტაქტიკის გამო?***

*- პრეზიდენტის პოზიცია ერთმნიშვნელოვანი და ნათელია: ჩეჩნეთის კონფლიქტიდან საუკეთესო და ერთადერთი საბოლოო გამოსავალი არის პოლიტიკური მოლაპარაკება...*

***- ეს გასაგებია. მაგრამ ჩეჩნური ტერორიზმი ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა. რუსეთის მთავრობა თუ აგებს პასუხს ჩეჩნების სასოწარკვეთამდე და ტერორიზმამდე მიყვანისათვის?***

*- ნება მომეცით, პრეზიდენტის სახელით, ცალსახად განვაცხადო: არ არსებობს ტერორიზმის არანაირი გამართლება, სადაც და რა მიზეზითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად "კეთილშობილურ" პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ ტერორისტები. უდანაშაულო ადამიანების ტერორიზება სრულიად მიუღებელია.*



რუსეთი ტრაგედიის მსხვერპლს გლოვობს.

მიუხედავად მოსკოვის ტრაგედიის მიმართ ამერიკული და, საერთოდ, დასავლური საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, პრეზიდენტ ბუშის პრესმდივანმა არი ფლეიშერმა, ამ ინტერვიუში, თავისი შეფის სახელით, ნათლად განაცხადა, რომ ამერიკა მხარს უჭერს რუსეთს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მძევალთა გათავისუფლების მეთოდებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით მაინც, რაიმე პრეტენზიას არ აყენებს.

ბუშის ამგვარ პოზიციას იზიარებენ ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ლიდერები. დანიის პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის სახელით მიულოცა პუტინს მძევლების წარმატებული გათავისუფლება.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, აჰმად ზაკაევის დაპატიმრება დანიის მთავრობაზე როგორც რუსეთიდან, ისე დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან დიდ ზეწოლას უკავშირდება. ჯერჯერობით, უზბეკეთის პრეზიდენტი კარიმოვი და ყირიმელ თათართა მეჯლისის სპიკერი ჯემილევი ჩვენთვის ცნობილი ის იშვიათი ოფიციალური პირები არიან, რომლებმაც კრემლს ჩეჩნებთან მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებისაკენ მოუწოდეს.

ჩეჩნებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შანსებს მინიმალურად მიიჩნევს თითქმის ყველა მიმომხილველი. ნიქსონის ცენტრის დირექტორის დმიტრი საიმსის თქმით, ამერიკის ადმინისტრაცია ყოველთვის ფრთხილად უდგებოდა ამ საკითხს და არ სურდა, რუსეთისათვის თავს მოეხვია მისი გადაწყვეტის რომელიმე ვარიანტი. მაგრამ ამერიკელებს მაინც მიაჩნდათ, რომ მასხადოვი ერთადერთი კაცი იყო, ვისთანაც მოლაპარაკება შეიძლებოდა. ახლა ეს შეხედულება იცვლება. "ბი-ბი-სის" ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აშშ-ს აღარ მიაჩნია მასხადოვი მოლაპარაკებებისათვის შესაფერის პარტნიორად. ბრიტანული ჟურნალი "ეკონომისტი" წერს: პუტინს რომც უნდოდეს ჩეჩნებთან მოლაპარაკება, ეს შეუძლებელი იქნება, რადგან მასხადოვს ბევრი საველე მეთაური არ ცნობს და მისი ხელისუფლება ძალიან სუსტია.

მასხადოვის ადმინისტრაციაში შექმნილ მძიმე ვითარებას რუსეთის დუმის ყოფილი სპიკერი ივან რიბკინი მოლაპარაკებების წინა მცდელობების ჩაშლით ხსნის. 2001 წლის ოქტომბერში ახმად ზაკაევმა მოლაპარაკებები გამართა გენერალ კაზანცევთან, პუტინის პირად წარმომადგენელთან სამხრეთის ფედერალურ ოლქში. ზაკაევმა უკან წაიღო იჩქერიის დამოუკიდებლობის მოთხოვნა და მოსკოვს "გარდამავალ ეტაპზე" რეგიონში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება შესთავაზა. რუსებმა ამ წინადადებას უარით უპასუხეს. ამ დროს მასხადოვი და "ზომიერთა პარტია" უკვე რადიკალების დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ექვსი თვის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება სცადა თავად რიბკინმა, მაგრამ კრემლმა ისევ უარი თქვა. შედეგი არ მოჰყოლია პრიმაკოვის სამშვიდობო ინიციატივებსაც.

მასხადოვი ემისრებს გზავნიდა ვაშინგტონშიც, რათა აშშ დახმარებოდა რუსებთან მოლაპარაკებების დაწყებაში, მაგრამ ამერიკელების რეაქცია საკმაოდ გულგრილი იყო.

მოსკოვისა და ვაშინგტონის მხრიდან იგნორირების შემდეგ, მასხადოვი მარტო დარჩა ფედერალური ძალებისა და შინაური რადიკალების წინაშე. ეს უკანასკნელნი ამტკიცებდნენ, რომ რუსებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება შეუძლებელია. მასხადოვი, როგორც ჩანს, იძულებული გახდა, აღიარებულ ტერორისტ ბასაევთან და მის თანამოაზრეებთან კომპრომისზე წასულიყო, რამაც მას საბოლოოდ გაუტეხა სახელი.

ერთი სიტყვით, რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ჩეჩნების მხრიდან მოლაპარაკებების ერთადერთი შესაძლო სუბიექტი - მასხადოვი საერთაშორისო არენაზე ნდობით არ სარგებლობს. გაზეთ "ლოს-ანჟელეს ტაიმსს" მოჰყავს აშშ-ს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირის გამონათქვამი, სადაც იგი ამბობს, რომ ამერიკის ხელისუფლებას არ სურს მასხადოვთან საქმის დაჭერა.

ჩეჩნეთში ავტორიტეტული ლიდერის არარსებობა შეუძლებელს ხდის არსებითი სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოებას. ამიტომაც, სურს თუ არა ეს დასავლეთის ცალკეულ პოლიტიკოსებს, ისინი იძულებულნი არიან, ალტერნატივის არარსებობის გამო, ისევ ჩეჩნეთზე რუსული კონტროლის გაგრძელებას დაუჭირონ მხარი.

ამ ფაქტორების გამო, რუსეთზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ზეწოლა დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერების მხრიდან მოსალოდნელი არ არის. როგორც ჩანს, არ იქნება არც საშინაო ზეწოლა.

ავტორიტეტული სოციოლოგიური სამსახურის "სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 85 პროცენტი იწონებს "ნორდ-ოსტის" შტურმს და მხოლოდ 10 პროცენტია წინააღმდეგი. ჩეჩნეთში ომის გაგრძელებას მხარს უჭერს მოსახლეობის 46 პროცენტი და წინააღმდეგია 44.

ჟურნალ "ტაიმის" მოსკოვის ბიუროს უფროსი პოლ ქვინ-ჯაჯი წერს: "შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ, გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსების თვალში პრეზიდენტის პრესტიჟი არ შეილახება. მათ მოსწონთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მტკიცე ხელი მართავს. ისინი სახელმწიფოს მხრიდან რბილ მოპყრობას არც მოელიან. ბოლო ასი წლის მანძილზე რუსეთში ხელისუფლებისათვის ნასროლ ყველა გამოწვევას ბევრი უსიამოვნება მოჰყვა".

ექსპერტების ვარაუდი, რომ ჩეჩნების მიერ ჩადენილი ტერაქტი საჯაროდ ამხელდა პუტინის ტყუილს "ჩეჩნეთში ომის დასრულების შესახებ," არ მართლდება. კრემლი მეტ-ნაკლები წარმატებით ამტკიცებს, რომ მომხდარი ტერაქტი გლობალური ტერორიზმისა და ექსტრემიზმის გამოვლინებაა და არა ჩეჩენი ხალხის პროტესტისა. ამ არგუმენტს კარგი გასავალი აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. თუმცა, არც ერთი სერიოზული მიუკერძოებელი ექსპერტი მას არ ეთანხმება. იმავე რიბკინის თქმით, ჩეჩნური მოძრაობა თავისი არსით უფრო ბასკურ, ან ჩრდილოირლანდიურ სეპარატიზმს წააგავს, ვიდრე "ალ ქაედას" ტიპის გლობალურ ტერორიზმს.

თუ უცხოეთის ქვეყნების მთავრობებმა რუსეთის ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადეს, მათგან განსხვავებული რეაქცია ჰქონდათ დასავლურ პრესასა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. "ვაშინგტონ პოსტმა" და "უოლ-სტრიტ ჯორნელმა" რუსეთის ხელისუფლება ლამის ისეთივე ტერორისტებად გამოიყვანეს, როგორც ბარაევის რაზმი. ცნობილმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "ამნესტი ინტერნეშენალმა" კი რუსეთის მთავრობას არაადამიანურობაში დასდო ბრალი. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრიც უარყოფითადაა განწყობილი რუსეთის ხელისუფლების მიერ გაზის გამოყენებასა და მედპერსონალისათვის მისი შემადგენლობის დამალვასთან დაკავშირებით. თუმცა, თავისუფალ პრესაზე და საზოგადოებრივ აზრზე კრემლის ახლანდელ ხელისუფალთ თავიანთი, გამორჩეული შეხედულებები აქვთ.

პუტინს დარჩა შესაძლებლობა, კონფლიქტის მოგვარება კვლავინდებურად სამხედრო გზით სცადოს, თუმცა, ბოლო სამი წელია, სამხედროებს ამ რეგიონში თითქმის სრული კარტბლანში აქვთ, მაგრამ მიღწეული შედეგებით ვერ დაიკვეხნიან.

სამწუხაროდ, სამხედროებზე მეტ წარმატებას ვერც პოლიტიკოსები აღწევენ. კონფლიქტის დარეგულირების რაიმე რეალური პერსპექტივა არ ჩანს, ეს კი ტერაქტების განმეორების საშიშროებას ქმნის.

## მოკლედ

**პალესტინა.** პალესტინის ავტონომიის პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ მინისტრთა კაბინეტის იასირ არაფატის მიერ წარმოდგენილ შემადგენლობას მხარი დაუჭირა. თუმცა, ზოგიერთი პარლამენტარი აქტიურად ცდილობდა ავტონომიაში პოლიტიკური რეფორმების დაწყებას და ამით არაფატის ხელისუფლების შეზღუდვას. სექტემბერში პარლამენტმა არაფატი აიძულა მთავრობა დაეთხოვნა. პალესტინის ადმინისტრაციის მთავრობის წევრებს კორუფციასა და არაკომპეტენტურობაში დებდნენ ბრალს. ამ მოვლენებმა პალესტინაში 1994 წლის შემდეგ ყველაზე მწვავე პოლიტიკურ კრიზისს დაუდო საფუძველი. იასირ არაფატის პოპულარობა საგრძნობლად დაეცა. თუმცა, ისრაელის არმიის მიერ არაფატის თავისსავე შტაბ-ბინაში ათდღიანმა ბლოკადამ პალესტინის ავტონომიის მეთაურის პოზიციები შიდაპოლიტიკურ არენაზე კვლავ გაამყარა. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ არაფატმა ოსტატურად გამოიყენა მზარდი რეიტინგი და მოძრაობა "ფათჰის" წევრებთან კონსულტაციების სერია ჩაატარა. მან შეძლო, დაერწმუნებინა თანაპარტიელები, რომ მის წინააღმდეგ ხმის მიცემა ისრაელისა და აშშ-ს ინტერესების სასარგებლოდ ხმის მიცემის ტოლფასი იქნებოდა.

ყოველივე ამის შედეგად, პარლამენტმა არაფატის მიერ წარდგენილ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. თუმცა, ოპოზიციონერი პარლამენტარების განცხადებით, ისინი არ უჭერენ მხარს ახალ კაბინეტს, რადგანაც ზოგიერთი მინისტრი, რომელსაც კორუფციაში ედებოდა ბრალი, კვლავ თავის ადგილზე რჩება. კენჭისყრის დასრულების შემდეგ იასირ არაფატმა განაცხადა: **"ჩვენ ამ შედეგებით ვამაყობთ."** ამით მან, ფაქტობრივად, ავტონომიის შიგნით სრული გამარჯვება მოიპოვა. იანვარში დაგეგმილ არჩევნებში იასირ არაფატი უალტერნატივო კანდიდატი იქნება.

■ ■ ■

**აშშ.** ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სპეციალური საერთაშორისო სასამართლოსთვის მასალების მომზადება დაიწყო. ერაყის პრეზიდენტს სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის უპირებენ გასამართლებას. ამერიკული გაზეთის "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ჰუსეინის წინააღმდეგ ნიურბერგის პროცესის მსგავსი სასამართლო მოეწყობა. ერაყელ დიქტატორთან ერთად, აშშ მისი ორივე შვილის - უდაი და ქუსაი ჰუსეინების გასამართლებასაც აპირებს. ჰუსეინების ოჯახის გარდა, ერაყის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც გაასამართლებენ, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული ალი ჰასან მაჯიდი იქნება, რომელსაც მეტსახელად "ქიმიურ ალის" ეძახიან. აშშ-ს ხელისუფლება მას ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებას უყენებს ბრალად.

უნდა ითქვას, რომ, ჯერჯერობით, მომავალი საერთაშორისო სასამართლოს ტრიბუნალის ზუსტი ფორმატი და პოტენციური ბრალდებების სრული სია განსაზღვრული არ არის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჰუსეინის წინააღმდეგ საერთაშორისო ტრიბუნალი ნიურნბერგის ან ჰააგის ტრიბუნალის იდენტური იქნება. ასევე, ცნობილი არ არის მომავალი სასამართლოს გამართვის სავარაუდო ადგილი, თუმცა, აშშ-ს ხელისუფლების სურვილით, ის ერაყში უნდა ჩატარდეს.

"ვაშინგტონ პოსტის" აზრით, ახლახან შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია სადამ ჰუსეინის საქმის განხილვა, რადგან ის მოვლენები, რომლებიც ამ სასამართლოს შექმნამდე მოხდა, მისი იურისდიქციის მიღმა რჩება.

დამკვირვებლების ვარაუდით კი, ჰუსეინის მიმართ საერთაშორისო სასამართლოზე წაყენებული ბრალდებები, შესაძლოა, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა ერაყში შეჭრის საბაბად გამოიყენოს.

აღსანიშნავია, რომ პენტაგონი ერაყში არსებული ვითარების შესახებ, მნიშვნელოვანწილად, სადამ ჰუსეინის ოპოზიციური ორგანიზაციის – ერაყის ეროვნული კონგრესის მონაცემებს ეყრდნობა. "ფილადელფია ინქუაიერის" ინფორმაციით, ვაშინგტონი ერაყის ხელისუფლების სათავეში, სადამ ჰუსეინის ალტერნატივად, სწორედ აღნიშნული კონგრესის ლიდერს – აჰმად ჩალაბის განიხილავს. გაზეთის მტკიცებით, მის მიმართ აშშ-ში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ჩალაბის, ძირითადად, პენტაგონში, თეთრ სახლსა და კონგრესში მფარველობენ, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელები მის მიმართ დიდი სკეპტიციზმით არიან განწყობილნი. გაზეთის ცნობით, ამჟამად ერაყის საკითხის გარშემო აშშ-ს თავდაცვისა და სადაზვერვო სააგენტოს შეფებს შორის საკმაოდ ძლიერი დაპირისპირება დაიწყო. ერაყისა და მისი პრეზიდენტის ბედი კი ამ ბრძოლის შედეგზე პირდაპირ არის დამოკიდებული, რადგან პრეზიდენტი ბუში თავის გადაწყვეტილებას სწორედ ამ შედეგზე დაყრდნობით მიიღებს.

■ ■ ■

**იაპონია.** იაპონიისა და ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკას შორის დაწყებული მოლაპარაკებები, რომელზეც ამ ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარება იყო დამოკიდებული, როგორც ჩანს, უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოახერხეს. ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელთა განცხადებით, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რადგან, ფხენიანის პოზიციის თანახმად, პირველ რიგში, საჭიროა ურთიერთობის ნორმალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს საუბარი ბირთვული პროგრამების შეჩერებასა და გატაცებული იაპონელი მოქალაქეების საკითხზე. იაპონიის დაჟინებული თხოვნით კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს საკითხები უნდა გადაწყდეს და ამის შემდეგ დაიწყოს საუბარი ორ ქვეყანას შორის კავშირების აღდგენაზე.

# დანიაში აჰმედ ზაკაევი დააპატიმრეს

შოთა უტიაშვილი

გუშინ, დილით დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, რუსეთის მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, ჩეჩნეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი, იჩქერიის ვიცე-პრემიერი აჰმედ ზაკაევი დააპატიმრეს. მას რუსეთის ხელისუფლება მოსკოვში 23 ოქტომბერს მძევლების აყვანაში მონაწილეობას სდებს ბრალად. გარდა ამისა, ზაკაევს 1996-1999 წლებში ჩატარებული სხვა ტერორისტული ქმედებების განხორციელებაშიც ადანაშაულებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აჰმედ ზაკაევი იყო დანიის დედაქალაქში ცოტა ხნის წინ ჩატარებული ორდღიანი "ჩეჩნეთის მსოფლიო კონგრესის" ორგანიზატორი, რამაც მოსკოვის აღშფოთება გამოიწვია.

რუსეთის ფედერაციის დუმის თავმჯდომარემ გენადი სელეზნიოვმა, ქვედა პალატის სხდომის დაწყების წინ, ჟურნალისტებს ზაკაევის დაპატიმრების შესახებ აცნობა, რის შემდეგაც განაცხადა: **"ჩვენ მას დიდი ხანია, ველოდებით."**

როგორც ავღნიშნეთ, ზაკაევის ორგანიზატორობით კოპენჰაგენში ჩატარებულმა კონგრესმა ოფიციალური მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია და რუსეთის ხელისუფლებამ დანიას ამ ღონისძიების აკრძალვა მოსთხოვა. დანიამ კი საპასუხოდ ზაკაევის და სხვა ჩეჩნების ტერორისტებთან კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება მოითხოვა. მოსკოვმაც, შესაშური ოპერატიულობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინწინ იმ პირთა სია გაუგზავნა, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში არიან ეჭვმიტანილნი და კოპენჰაგენში გამართულ კონგრესს ესწრებოდნენ.

**"თუკი საუბარია ტერორისტებზე, რა თქმა უნდა, ისინი დაკავებულნი იქნებიან,"** - განაცხადა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პერ სტიგმა.

ზაკაევის დაპატიმრების შემდეგ დანიის სამართალდამცავებმა პირველი კომენტარი გააკეთეს. **"კოპენჰაგენის პოლიციამ რუსეთის მხარისგან დაპატიმრებისათვის საჭირო მასალები მიიღო,"** - განაცხადა გუშინ დანიის პოლიციის წარმომადგენელმა. სააგენტო "როიტერის" ცნობით კი, ამჟამად აჰმედ ზაკაევის დანიიდან რუსეთში ექსტრადიციის საკითხი წყდება, თუმცა, მანამდე იგი დანიის ციხეში 13 დღეს გაატარებს.



აჰმედ ზაკაევი ჩეჩნეთის მსოფლიო კონგრესზე.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კოპენჰაგენის მოსამართლემ ლისბეტ კრისტენსენმა. ზაკაევს სასამართლო პროცესზე დანიელი ადვოკატი ერვინ დირკ ნილსენი იცავდა.

რუსეთში დანიის სრულუფლებიანი ელჩი ლარს ვისინგი კი თვლის, რომ ზაკაევის რუსეთისათვის გადაცემა არ შეიძლება. **"დანიას რუსეთთან ექსტრადიციის თაობაზე არანაირი შეთანხმება არ აქვს გაფორმებული, მაგრამ ასეთი ხელშეკრულება რომც არსებობდეს, ჩვენ არ შეგვიძლია, მოვახდინოთ ადამიანების ექსტრადიცია იმ ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს,"** - განაცხადა ელჩმა.

რუსეთში კი ზაკაევს მოუთმენლად ელიან. მას რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის სამ პუნქტში ედება ბრალი. ესენია: შეიარაღებული ამბოხი, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სიცოცხლის ხელყოფა. გარდა ამისა, ზაკაევს რუსეთის სპეცსამსახურები და სამართალდამცავები მოსკოვში სულ ცოტა ხნის წინ განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობასაც უყენებენ ბრალად.

ზაკაევის დაპატიმრების ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა რუსეთის ფედერაციის ყოფილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხაზბულატოვმა. **"ზაკაევი ტერორისტი არ არის. მე არ ვფიქრობ, რომ ის რაიმე აქტებში მონაწილეობდა. ეს ყველაფერი სასაცილოა. ეჭვი არ მეპარება, რომ მას გაათავისუფლებენ,"** - განაცხადა ხაზბულატოვმა.

სხვათა შორის, თუ დანიის ხელისუფლება არ გადასცემს რუსეთს ზაკაევს, ეს საქართველოსთვისაც შესანიშნავი არგუმენტი იქნება, თუ იგი დარჩენილი 8 ჩეჩენი პატიმრის ექსტრადიციისაგან თავის შეკავებას გადაწყვეტს.

ორი საერთაშორისო კონსორციუმის წამყვანი კომპანია "ბი-პი" (BP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური (შაჰ დენიზის) გაზსადენის პროექტების პარტნიორების სახელით მოხარულია განაცხადოს,

btc

რომ საქართველოში მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის პროექტებისათვის, ხელმისაწვდომი იქნება როგორც ამ პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროგრამის ნაწილი. დოკუმენტი მომზადებულია მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მიწის მესაკუთრეებისა და მოსარგებლეებისათვის. სახელმძღვანელოში მოცემულია მიწასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს მიწის შესყიდვის პროცესს, კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგიას და იმ ფასებს, რომელთა საფუძველზეც მოხდება როგორც მიწის, ასევე მოსავლის კომპენსაცია.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ბი-პი-სთან მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთათვის პროექტის მიწაზე ზემოქმედების შესახებ შეტყობინებაზე მუშაობდა და რომელიც აღნიშნულ დოკუმენტს დეტალურად განიხილავს მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ მიწის მესაკუთრეებთან და მოსარგებლეებთან შეხვედრების მსვლელობისას.

28 ოქტომბრით დაწყებული კვირიდან საზოგადოებას მიეცემა საშუალება, გაეცნოს საქართველოში მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ორგანიზაციებში:

**თბილისში**

"BP"-ს თბილისის ოფისში, აღმაშენებლის 123 ა
ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში - გუდიაშვილის № 7
რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის - ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 804
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია - გაგარინის I შესახვევი 8
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის ოფისის ბიბლიოთეკა - ერისთავის ქ. 9
მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი - თამარაშვილის ქ. 15ა

**რეგიონებში**

რუსთავისა და ახალციხის მიწის მართვის რეგიონალურ დეპარტამენტებში
მიწის მართვის რაიონულ დეპარტამენტებში და მიწათმომწყობებთან საკრებულოების მიხედვით გარდაბანში, მარნეულში, თეთრიწყაროში, წალკაში, ბორჯომში, ახალციხესა და ადიგენში
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის რეგიონალურ ოფისში, ახალციხეში

განმარტებები ასევე განთავსებულია ინტერნეტ გვერდებზე:
www.caspiandevelopmentandexport.com
www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.net

# ფინანსთა სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადეს

*გუშინ თბილისის სამხატვრო აკადემიის, კულტურისა და თეატრალური ინსტიტუტების რექტორებმა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ვასილ გიგოლაშვილს შეუტიეს. თეატრალურის რექტორმა გიგა ლორთქიფანიძემ ფინანსთა სამინისტრო თანხების არასწორად განაწილებასა და პროტექციონიზმში დაადანაშაულა.*

ეთერ მამულაშვილი

გუშინ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტში 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს განიხილავდნენ. ყველაზე ემოციური იყო გიგა ლორთქიფანიძე, რომლის დამშვიდებას კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ამალობელი დიდხანს ცდილობდა.

საქმე ის არის, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, 2003 წლის დაფინანსება ზემოთაღნიშნული სასწავლებლებისთვის ერთად, დაახლოებით იმდენია, რამდენიც ერთი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის. კანონპროექტის მიხედვით, რომელიც პარლამენტს დეკემბერში წარედგინება განსახილველად, სამხატვრო აკადემიისთვის 539.000, კულტურის ინსტიტუტისთვის 301.000, თეატრალური, ინსტიტუტისთვის 353.000, კონსერვატორიისთვის 1.013.000 ლარია განსაზღვრული. გიგა ლორთქიფანიძის განცხადებით, თანხების ასეთი არათანაბარი განაწილება ამ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა დაპირისპირებას გამოიწვევს. "ბიუჯეტის მიხედვით, მხოლოდ სტუდენტთა სტიპენდიების - 3 ლარს და ლექტორთა ხელფასების - 47 ლარს, გასტუმრებას თუ შევძლებთ. ჩემი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აღშფოთებულები არიან და ქუჩაში გამოსვლასაც აპირებენ. როგორ ავუხსნა მათ, რომ ჩვენს მეზობლად მდებარე კონსერვატორია ჩვენზე სამჯერ მეტ დაფინანსებას მიიღებს? ჩემი აზრით, ეს არის პროტექციონიზმის შედეგი", - გვითხრა თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა გიგა ლორთქიფანიძემ.

ფინანსთა სამინისტროსადმი უნდობლობა სამხატვრო აკადემიის რექტორმა სოსო ქოიავამაც გამოხატა. მისი თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში აკადემიამ სამინისტროს რამდენჯერმე მიმართა დახმარებისთვის,



გიგა ლორთქიფანიძემ ფინანსთა სამინისტრო პროტექციონიზმში დაადანაშაულა.

თუმცა, უშედეგოდ. "ყოველთვის ერთი და იგივე პასუხს ვიღებდი, - ახლა არ არის საშუალებაო. მიწისძვრის დროსაც მივაკითხე, მაგრამ ისევ ამაოდ. სტუდენტობას ძლივს ვაკავებ. ამჯერად მაინც თუ არ გაიზრდება ჩვენი დაფინანსება, საჯაროდ ვაცხადებ: მე თვითონ ჩავუდგები სტუდენტებს და ლექტორებს სათავეში და ქუჩაში გამოვალთ", – იმუქრება ქოივა.

სხდომას ესწრებოდა კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, რომელმაც ფინანსთა სამინისტრო კულტურის სფეროს საბიუჯეტო პარამეტრების თვითნებურად შედგენაში დაადანაშაულა. გოგიბერიძის თქმით, კულტურის სამინისტროს საბიუჯეტო თანხები ფინანსთა სამინისტროში იწერება, რის შემდეგაც ისინი გოგიბერიძის სამინისტროს მხარდაჭერას სთხოვენ. "ჩვენ, ფაქტობრივად, ვერ ვეწინააღმდეგებით, რადგან ყოველი ასეთი წინააღმდეგობა კულტურის სამინისტროს ძვირად უჯდება", - განაცხადა გოგიბერიძემ.

გოგიბერიძის ბრალდებაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, რომ კულტურის სამინისტრომ მისთვის გამოყოფილი თანხის გადანაწილების გეგმა დროულად არ წარუდგინა, ამიტომ "ფინანსთა სამინისტრომ თავადვე დაგეგმა".

სხდომის ბოლოს გიგოლაშვილი რექტორებს და კულტურის მინისტრს დაჰპირდა, რომ მათ წინადადებებს ფინანსთა სამინისტრო განიხილავდა და შესაძლო ცვლილებებსაც გაითვალისწინებდა. "უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ გვპირდებიან, მერე კი ერთ თეთრსაც არ გვიმატებენ",- არ სჯერა დაპირების გიგა ლორთქიფანიძეს.

# ყველაზე კულტურული და ჯანსაღი პოლიტიკოსები

*გუშინ პოლიტიკოსებმა და კულტურის მოღვაწეებმა გულახდილად და უჩვეულოდ ბევრი ისაუბრეს. ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს პოლიტიკოსები პირველად დაეკითხნენ ჭკუას. ისტორიული ნაბიჯი "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" გადადგეს. შეხვედრამ ფიროსმანის ფორმულით - სიმბოლური სამოვრის თანხლებით, შეიძლება ითქვას, წარმატებით ჩაიარა.*

ვერა ნეფარიძე
ლელა მარგიანი

"როდესაც ხელისუფლებაში მოდიხარ, უნდა იცოდე, რომ კულტურაც პოლიტიკაა და ძალიანაც სერიოზული პოლიტიკა. დღეს პირველად ვგრძნობ, რომ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, სურთ, მოისმინონ იმ ადამიანების აზრი, რომლებიც კულტურის სფეროში არიან, ეს უკვე არაჩვეულებრივია", - მწერალმა ზაალ სამადაშვილმა ეს სიტყვები გუშინ თეატრალურ სარდაფში გამართული შეხვედრისას თქვა. მთლიანად შეხვედრაც იგივე პათოსს იმეორებდა - უხაროდათ, რომ ქართული კულტურის ბედს ეკითხებოდნენ იმათ, ვისაც მცირედი მაინც გაუღია მის შესაქმნელად.

ვინ აღარ მონაწილეობდა დისკუსიაში. ლიტერატორები, ისინი, ვინც დიდი ამაგი გასწიეს ქართული ლიტერატურის განვითარებაში და ახლაც იგივე შემართებით ემსახურებიან საქმეს: ვახუშტი კოტეტიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, დათო მაღრაძე, ზაალ სამადაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, შადიმან შამანაძე; რეჟისორები: ელდარ შენგელაია, ქეთი დოლიძე და მიხეილ მარმარინოსი; მხატვრები: თენგიზ მირზაშვილი და გია ბუღაძე; ცნობილი ფოლკლორისტი, ეთერ თათარაიძე და ა.შ., ყველას რა ჩამოთვლის. რაც მთავარია, თითოეულს სჯეროდა (როგორც გამოსვლისას თქვეს), რომ ყოველი მათგანის აზრს პოლიტიკოსები აუცილებლად გაიზიარებდნენ.

"არ გვგონია, თითქოს ახლა ერთბაშად ჩამოყალიბდება გარკვეული რეცეპტები. დიდი იმედი მაქვს, რომ აქ ვისაუბრებთ არა ზოგად პოსტულატებზე, არამედ სრულიად კონკრეტული გეგმის სახით ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქართული პოლიტიკა კულტურის განვითარების თვალსაზრისით", - პოლიტიკური პარტიის ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ შეხვედრის მიზანი დასაწყისშივე გააცნო დისკუსიის მონაწილეებს. "ადრე პარტია აყალიბებდა თამაშის წესებს. ახლა, პირიქით, ხელოვანებმა უნდა მიხედონ, უნდა იღვაწონ, რომ კულტურა განვითარდეს და ეს შეუქცევადი პროცესი იყოს მისი განვითარებისა. რა შეუძლია პარტიას, რომელიც ცდილობს, მოვიდეს ხელისუფლებაში, თუ არა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც თქვენ გსურთ მწერლობის, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებისთვის. აქ რაიმე კონკრეტული კანონის მიღება არ გვიშველის, ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ და ეს აზრები გავიზიაროთ", - სადისკუსიო მოსამზადებელი სიტყვა რეჟისორ ელდარ შენგელაიას ეკუთვნოდა.

შეხვედრის დასაწყისში სტუმრებს დაურიგდათ ირაკლი კაკაბაძის მიერ მომზადებული კულტურის სფეროს ძირფესვიანი რეორგანიზების გეგმა, რომელიც "გაერთიანებულმა დემოკ-



ზურაბ ჟვანია და თენგიზ მირზაშვილი

რატებმა" უნდა განიხილონ, რათა 2003 წლის მაისამდე მოამზადონ კულტურის პროგრამა. ვინც ამ გეგმას გადახედა, დაგვეთანხმება, რომ ის არსებული კულტურული პოლიტიკის (თუკი არსებობს მსგავსი რამ) სრულ რეორგანიზაციას ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, კულტურის სფეროში თითქმის უნდა გაუქმდეს ბიუროკრატიული აპარატი (გამონაკლისის სახით იმუშავებენ მხოლოდ კულტურის მინისტრის თანაშემწეები და ტექნიკური პერსონალი), რის მაგივრადაც ფონდები იმუშავებენ; მნიშვნელოვანი იქნება კულტურული მემკვიდრეობის, მეცნიერებისა და ხელოვნების უცხოეთში პროპაგანდა. "საქართველოსთვის კულტურული პროდუქცია - ეს არის ერთ-ერთი მთავარი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავიტანოთ საზღვარგარეთ. ჩვენი კულტურა, რეალურად შეიძლება გახდეს ჩვენი კულტურული პროდუქცია, განგებ ვხმარობ ასეთ ცუდ სიტყვათა წყობას, იმისთვის, რომ შევხედოთ საკითხს სწორედ მომხმარებლური, მერკანტილური, სუფთა პრაქტიკული კუთხიდან; გვესმოდეს, რომ ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს ჩვენივე კულტურა", - ზურაბ ჟვანიამ ნათქვამის საილუსტრაციოდ "ერისიონის" მაგალითიც მოიყვანა და ყურადღება გაამახვილა, თუ როგორ იქცა ქართული ტრადიციული კულტურა დასავლეთში მასკულტურად.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ჯანმრთელობის ფორუმით კი დასრულდა ჟვანიას გუნდის "დემოკრატიული ფორუმები".

ფორუმის პრეს-რელიზში გაცხადებული იყო, რომ ფორუმი დასაბამს მისცემს დისკუსიას, რომლის შედეგების გათვალისწინებით, შეიქმნება ჯანდაცვის პროგრამა.

საინიციატივო ჯგუფის წევრმა თამარ ცინცაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოების ყველა წევრისთვის ჯანმრთელობა ძალიან მნიშვნელოვანია. მოხდა გარკვეული ცვლილებები, აღიარებენ რეფორმის აუცილებლობას, მაგრამ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს განხორციელების გზებზე, ვადებზე, მართლზომიერებაზე.

გიგი წერეთელმა, როგორც პოლიტიკოსმა, პარტიის სახელით მადლობა გადაუხადა საინიციატივო ჯგუფის წევრებს, მერე კი, როგორც ექიმმა, აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სფეროში უამრავი პრობლემა არსებობს.

საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გოგიტა გეგელაშვილმა თქვა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაზე, ეკოლოგიაზე, ჯანდაცვის სისტემის სწორ და გამართულ მუშაობაზე, საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ კლიმატზე. მან ისაუბრა ჯანდაცვაში, მათი აზრით, მნიშვნელოვან ძირითად მიმართულებებზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია მოსახლეობის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვა, ეკონომიკის გაჯანსაღება, კორუფციის დაძლევა, ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

სამედიცინო საზოგადოებას ზურაბ ჟვანიაც მიესალმა. მან თქვა, რომ, "როგორც პოლიტიკოსი და როგორც რიგითი მომხმარებელი, აღნიშნავს ამ სფეროში არსებულ კატასტროფულ მდგომარეობას. რეფორმამ ვერ მოიტანა სწორი გადაწყვეტილებები ვერც ერთ მხარეს. ჩვენი თავდაპირველი მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა. ჩვენ გვინდა კრიტიკული მიდგომა საკითხისადმი. კრიტიკა კი გვჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ხმები, არამედ პრობლემის გადასაჭრელად", - ვერ დამალა თავისი პარტიული დაინტერესება ზურაბ ჟვანიამ.

ბოლოს გაიმართა მცირე დისკუსია, რომლის შემდეგაც ექიმები და "გაერთიანებული დემოკრატები" დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

# ხარაგაულელებმა სხვებზე უკეთ იციან, რა სჭირდებათ

*ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის განვითარების პროგრამისა და გერმანიის საკრედიტო ბანკის (KFW) შეთანხმებით, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოების ადგილობრივი თანადაფინანსების განაკვეთი 20-დან 5 პროცენტამდე დაიყვანეს. ხარაგაულიდან მარელისამდე, მდინარე ჩხერულაზე, ახალ სარკინიგზო ლიანდაგს აგებენ. ადგილობრივებს იმედი აქვთ, რომ საავტომობილო გზასაც დაადგება საშველი. ცხრა პატარა ხიდიც შენდებაო, - გვითხრეს. უკვე გარემონტდა საღანძილესა და მარელისის სკოლები. სათემო ცენტრები (ძველებურად, სოფლის კანტორები) განახლდა ვახანსა და მარელისში.*

გიორგი გახელაძე

"KFW 2002 წელს უკვე შეწყვეტს ეროვნული პარკის დაფინანსებას. წესით, ეს ქართულმა მხარემ უნდა გააგრძელოს. ამიტომ საჭიროა პარკის საკუთარი შემოსავლები. KFW ამიერიდან დააფინანსებს მხოლოდ დამხმარე ზონის (მსაზღვრელი რაიონები) გადაუდებელ ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს. მათ სურთ, რომ განვითარდეს კერძო სექტორი", - ამბობს კარინ შტაინმეცერი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის ექსპერტი ტურიზმის საკითხებში.

სოფელ ვახანში, დაახლოებით, 200 ოჯახი ცხოვრობს. ეროვნულ პარკთან სიახლოვის გამო, დამხმარე ზონის პროგრამით მათ 128 ათას ლარად, ფაქტობრივად, აუშენეს სათემო ცენტრი. კლუბი, ბიბლიოთეკა, ფოსტა თუ გამგეობა - ყველაფერი აქ არის თავმოყრილი.

ადრე ხარაგაულის რაიონის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მარელისის ავეჯის ფაბრიკასა და მის ინფრასტრუქტურაში იყო დასაქმებული. დღეს არავის დაუთვლია, რამდენად და როგორ ჩაენაცვლება ეროვნული პარკი და მისი ინფრასტრუქტურა ძველს, არავის უჩვენებია მოსახლეობისთვის დაცული ტერიტორიის უპირატესობა თვლად, ფულად გამოსახულებაში. არადა, ახალგაზრდები, რომლებიც არ ტოვებენ სამკვიდროს, ძალიან კარგად ხვდებიან, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისა და ეროვნული პარკის ინტერესების შეხამება როგორ არის შესაძლებელი. მათთვის ერთადერთი პრობლემაა სწორი ინფორმაცია საწყისი, ძალიან მცირე კაპიტალის მოძიების შესახებ. გარედან დახმარება სჭირდებათ მხოლოდ გზის მშენებლობისთვის, თორემ მიკროჰესების, ღორის ფერმებისა თუ ფუტკრის ან საკალმახე მეურნეობის მოწყობა უსაფრთხო, სასარგებლო და სარფიანი საქმეები რომ არის, ვახანელები ძალიან კარგად ხვდებიან.

ბოლო რამდენიმე წელიწადია, თითქმის ყველა ოჯახი "ინდმეწარმის" ავეჯის მიკროკუსტარულ საამქროდ ქცეულა. ყველაზე ინტენსიური დამამზადებლები წელიწადში, დაახლოებით, 15 კუბურ მეტრ წიფელს ამუშავებენ. ამ საქმიანობით ოჯახის თვიური შემოსავალი კი 150 ლარს არ აღემატება. მართალია, თითო სკამი თბილისში 30-50 ლარად იყიდება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხის მასალის ბარათიო, საგადასახადოო, ლიცენზიაო, დენი, ტრანსპორტი და კიდევ ვინ მოთვლის...

მოლითელი მანანა აბაშიძის თქმით, თავიდან ხარაგაულის რაიონის მოსახლეობის მხრიდან ეროვნული პარკის ჩამოყალიბებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა: "უმეტესობამ, უბრალოდ, არ იცოდა, არ აუხსნეს, რას ნიშნავს დაცულ ტერიტორიაზე და მასთან მეზობლად ცხოვრება. თანაც, სამწუხაროდ, უცხოური დაფინანსების უანგარობის არ სჯეროდათ. ახლა კი ნელნელა დაიწყეს ტყის კენკრის ჯემებისა თუ მურაბების დამზადება და სარფიანად გაყიდვის იმედიც გაჩნდა."

მაგრამ ყველაზე ჭკვიანური უხუცესი ნასოფლარელის დასკვნა გვეჩვენა: "გერმანელები, ჩემო ბატონო, არც მეიტანენ რამეს და ვერც წეიღებენ. ისევლე ჩვენი საპატრონოა აქაურობა."

ადგილობრივმა ჟურნალისტმა ნინო კაპანაძემ გვითხრა, რომ იქაური ფირმა "გიორგი" უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს ქართულ-გერმანულ საზოგადოებასთან "კუნა-გეორგიკა". ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ერთი გერმანელი კომერსანტი



ეროვნული პარკის თანამშრომლები მარულორის საგუშაგოსთან.

უდო ჰირში, რომლის "ეკოლოგიურად სარფიანი" მისწრაფებები 1991 წელს გამოიკვეთა. მისი სიმამრი მაშინ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ხელმძღვანელობაში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე (ანუ მეზობელ) ზონაში ბუნებრივი პროდუქციისა და ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების მოგროვება-დამზადების პროგრამაზე იგი, დაახლოებით, 5 წელია მუშაობს. მართალია, მან ევროპის ბაზრის კონიუნქტურასა და საქართველოს რესურსების ურთიერთკავშირს სხვებზე ადრე აუღო ალღო, მაგრამ ამგვარ დაინტერესებას უფრო სოლიდური კომპანიებიც ამჟღავნებენ. ასე რომ, ადგილობრივი მოსახლეობის მეტი ორგანიზებულობა მათ არჩევნის საშუალებასაც მისცემს.

იგივე ითქმის თაფლზე. ნატურალური თაფლი ძვირი და იშვიათია ევროპის ბაზარზე. აქ კი იმდენი წაბლი და აკაციაა, რომ ფუტკრის საკვების პრობლემა არ დგას. ხელშეუხებელი ტყიანი მასივების გარემოცვა კი ქიმიკატების გამოყენების საშიშროებას არ ქმნის, თანაც, დაცული ტერიტორიის პირობებში.

სწორედ ამ მიზეზების გამო, ხარაგაულის რაიონში იწყება სათემო არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა. ერთი ასეთის – მოლითის ორგანიზაციის ლიდერია მანანა აბაშიძე, რომელიც ეროვნული პარკის ადმინისტრაციაშიც მუშაობს: "ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი, ხომ ხედავთ."

"ჩვენი მიზანია, გავზარდოთ ვიზიტორთა რაოდენობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს უსაფრთხო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას დაცულ ტერიტორიებზე", - ამბობს კარინ შტაინმეცერი.

WWF-კავკასიის ტურიზმის ექსპერტის თქმით, 2004 წლის ჩათვლით, გადაუდებელი სამუშაოები ჩასატარებელია რამდენიმე მიმართულებით: "სამწუხაროდ, დღემდე ქმედითი არაფერი გაკეთებულა პარკის ტურისტული მარკეტინგისა და რეკლამის სფეროში. აუცილებელია ადმინისტრაციის თანამშრომელთა სწავლება, რადგან იქ ახლა არ ჰყავთ ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. თანაც, ისინი არაორგანიზებულად და ნაკლებად პროფესიულად მოქმედებენ."

საშუალო დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაზე არავინ დავობს. ქართველების გატურისტება ხომ ისედაც ძალიან ძნელია, იმის მიუხედავად, რომ ისინი პარკის ტერიტორიაზე დადიან ეკლესიებში, მეტ-ნაკლებად კომფორტულ კურორტებზე (ლიკანი, ბაკურიანი). "სამწუხაროდ, ქართველებს ნაკლებად უყვართ ლაშქრობა. ახლა ყველაზე იოლია აქ მყოფი უცხოელების მოზიდვა. მაგრამ უკვე აშენებულ თავშესაფრებში სპირტქურაც კი არ დევს, რომ ღამის გასათევად მისულმა ცხელი ჩაი დალიოს. სამანქანო გზაზე აღარაფერს ვამბობ.

ასევე გაჭირდა კვალიფიციური, განათლებული (გაძღოლისა და დაინტერესების მეთოდიკა, ეკოლოგია, ეთნოგრაფია, ჩვევები და უცხო ენა) გამყოლების მოძებნა ადგილობრივ მოსახლეობაში, - ამ ყველაფრის მიუხედავად, კარინ შტაინმეცერი იმედს არ კარგავს, - მომავალ წელს ტურისტთა ნაკადს, ალბათ, გავაორმაგებთ."

ეს პარკი იმითაც არის მოხერხებული, რომ ადვილი მისასვლელია, უფრო დაცულია და ძალიან მდიდარია ფლორა-ფაუნით. არის ერთდღიანი და, გნებავთ, ერთკვირიანი ბილიკების მოწყობის საშუალება. ეს საქმე დაწყებულია. ასეთი პარკები საქართველოში ჯერ არ არის.

"ადგილობრივი რესურსები ანუ კერძო სექტორი მაქსიმალურად გამოსაყენებელია. ცხენოსნობისთვის შარშან ვიყენებდით მცველების ცხენებს, მაგრამ ასე არ ვარგა. საჭიროა სპეციალური თავლები. ჩვენ ვფიქრობთ, ცხენები ჩამოვიყვანოთ თუშეთიდან და ადგილობრივ ტუროპერატორს ან გამყოლს განვადებით მივყიდოთ. არსებობს ტრადიციული სოფლის მეურნეობა, რაც საკვებით უზრუნველყოფისთვის კარგია – ყველი, თაფლი, რძე, პური, ხორცი... ადგილობრივებისთვის ეს დამატებითი შემოსავალიც იქნება", - დარწმუნებულია ტურიზმის გერმანელი ექსპერტი.

მართალია, გერმანიაში ეროვნულ პარკებს მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ მათი ხარჯების, დაახლოებით, 35 პროცენტი ტურიზმიდან შემოსავლებით იფარება.

კარინ შტაინმეცერის აზრით, ძალიან ხელშემწყობი ფაქტორია ბაკურიანი: "ერთადერთი დაბა პარკის სიახლოვეს, სადაც არსებობს საშუალო დონის სასტუმრო ინფრასტრუქტურა და პერსპექტივა. ჩვენი ამოცანაა, რომ ბაკურიანი ზაფხულშიც მიმზიდველი გავხადოთ. რამდენადაც ვიცი, ფრანგებს შემუშავებული აქვთ განვითარების გეგმა. ტურიზმი მხოლოდ ეროვნული პარკის საზღვრებს შიგნით ხომ არ უნდა განვითარდეს. სამწუხაროდ, არა გვაქვს რეალური ინფორმაცია ბორჯომ-ბაკურიანის ეგზოტიკური რკინიგზის რეაბილიტაციის შესახებ. არადა, ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის ეს შესანიშნავია."

ახლახან ცნობილი გახდა, რომ განვითარების ფრანგული სააგენტოს AFD-სა და მსოფლიო ბუნების დაცვის ფრანგული ფონდის მიერ გამოყოფილია 1 მილიონ 200 ათასი ევრო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შემოგარენში მდებარე ტყეების მართვის დახმარების პროექტის განსახორციელებლად.

ეს პროექტი არის დამატებითი დახმარება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განვითარების იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სამი წლის მანძილზე სატყეო რესურსების, კერძოდ, ხეტყის გამოყენებას და რეგენერაციას, დაგეგმვას, მეტყევეობის დარგში ტექნიკური მომზადების გრძელვადიანი მართვის ფორმების დანერგვას.

# "საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილების დაცვა აღარ ძალუძს"

*პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს საქართველოში ყოფნა აღარ სურთ და თავშესაფრის ძიებაში უკვე არაერთ ქვეყანას მიმართეს. ისინი თვლიან, რომ საქართველოს ხელისუფლება მათი აქ ყოფნის შემთხვევაში თავიდან ვერ აიცილებს რუსეთისგან თავს მოხვეულ კონფლიქტს.*
*ისინი დღეს უკვე ყველაფერს უნდობლად ეკიდებიან. უნდობლად შეხვდნენ ლტოლვილები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პანკისში შეტანილ ჰუმანიტარულ დახმარებასაც.*

სოფიკო ჩხაიძე

**"ვისგან არის ეს დახმარება?** — შეშფოთებით კითხულობდნენ ჰუმანიტარული ტვირთით სავსე სამხედრო სატვირთო მანქანების დანახვაზე ჩეჩენი ლტოლვილები, - **- შინაგან საქმეთა სამინისტროს ამდენი ხანია არ გავხსენებივართ და რაღა ახლა იზრუნებდა ჩვენზე. თუ ეს დახმარება რუსეთიდანაა, ხელს არ მოვკიდებთ, შეიძლება მოგვწამლონ".**

თუმცა კი, როცა დუისის ცენტრში თვეზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარე აქციის მონაწილე ლტოლვილებმა შეიტყვეს, ჰუმანიტარული ტვირთი იტალიის მთავრობის გამოგზავნილიაო, მეტ-ნაკლებად დამშვიდდნენ, მაგრამ ეჭვი მაინც გამოთქვეს, — ეგ დახმარება ჩვენამდე ვერ მოაღწევსო.

**"ადრეც ყოფილა რაღაცეები, მაგრამ ჩვენამდე არ მოსულა. ჩვენ ჰუმანიტარულ დახმარებას მარტო გაერო გვიწევს",** -- ამბობდნენ ისინი.

ისე, სიმართლე უნდა ითქვას და, გუშინ პანკისის ხეობაში ჩატანილი ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება მეტ ორგანიზებულობას ნამდვილად მოითხოვდა. იტალიის მთავრობის მიერ პანკისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და ჩეჩენი ლტოლვილებისთვის გამოგზავნილი კარტოფილის ფანტელის (ფხვნილი, რომლისგანაც კარტოფილის პიურე მზადდება) ხეობაში ჩატანა, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა – ცხადია, ტვირთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, რატომღაც 45 ტონა ტვირთიდან პანკისამდე მხოლოდ 32 ჩავიდა. ასეთი დანაკლისის მიზეზების დამაჯერებლად ახსნა ოფიციალურ პირთაგან გუშინ ვერავინ შეძლო, თუმცა ახმეტის რაიონის გამგებელი ნუკრი ალავიძე ჟურნალისტებს არწმუნებდა, დღეს-ხვალ ეს 13 ტონაც პანკისში ჩამოვაო.

ასეა თუ ისე, პანკისამდე ჩატანილი კარტოფილის ფანტელი ოთხი სოფლის – დუისის, საკობიანოს, ჯოყოლოსა და ხალაწნის საკრებულოებს ჩაბარდა და შს სამინისტროს ფუნქციაც ამით ამოიწურა. ახლა უკვე ტვირთის დანიშნულებისამებრ განაწილებაზე თვით საკრებულოებმა უნდა იზრუნონ, მათ კი ჯერ სიებიც არ აქვთ შედგენილი. არადა, იმავე ჩეჩენ ლტოლვილთა რაოდენობაზე სრულიად განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება. პანკისის ყველაზე დიდი სოფლის - დუისის გამგებელი ჯარაფ ხანგოშვილი ირწმუნება, რომ მათთან ყველაზე მეტი ლტოლვილია შეფარებული და მათი გადაადგილების შესახებ მას არაფერი სმენია. თავად ჩეჩენი ლტოლვილები კი აცხადებენ, რომ ისინი აქ ძალზე ცოტანი დარჩნენ, რადგან, ვისაც საშუალება ჰქონდა, საქართველო ყველამ დატოვა.

**"ჩვენ აქ თავს უსაფრთხოდ ვეღარ ვგრძნობთ",** -- ამბობენ ისინი და საქართველოს ხელისუფლების მიერ გირევთან დაკავებული ჩეჩნების რუსეთისთვის გადაცემას ასეთ შეფასებას აძლევენ: **"ეს იგივეა, რომ სახეში გირტყან კოვზი, რომლითაც გაჭმევენ".**

დუისის ცენტრში ჩეჩენ ლტოლვილთა საპროტესტო აქცია, რომელიც სწორედ გირევის საგუშაგოსთან დაკავებული ჩეჩენი ბოევიკების რუსეთში ექსტრადირებისთვის ხელის შესაშლელად დაიწყო, ახლაც მიმდინარეობს. უფრო სწორად, ჩეჩენი ლტოლვილების საცხოვრებელი სახლების წინ არსებულ პატარა მოედანზე კვლავაც გაშლილია კარავი და თოკებზე, სარეცხთან ერთად, ტრანსპარანტებია გამოკიდებული. ამ ადგილის სიახლოვეს ყოველთვის ხალხმრავლობაა და ამას, პოლიტიკურის გარდა, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მიზეზებიც აქვს: იმ სადგომებში გაჩერება, რომლებში ცხოვრებაც ლტოლვილებს უწევთ და რომლებსაც მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ბინა ეწოდოს, მართლაც შეუძლებელია. პატარ-პატარა ოთახებში, სადაც ავეჯი თითქმის არ არის, ხუთი ან მეტი ადამიანია შეყუჟული.

**"ბავშვები საკვების უკმარისობისგან გამოფიტულები არიან, მოხუცები უკვე ჭკუიდან გადადიან",** -- ჩივიან ლტოლვილი ქალები. მათგან განსხვავებით, ლტოლვილი მამაკაცები პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარს ამჯობინებენ:



*დუისში აქციები პერმანენტულად ეწყობა*

**"ჩვენ უკვე მივმართეთ რამდენიმე ქვეყანას, რომ თავშესაფრით უზრუნველგვყონ. ჯერჯერობით პასუხი მოგვივიდა სკანდინავიის ქვეყნების, ასევე ინგლისისა და საფრანგეთის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. თითოეული მათგანი გვატყობინებს, რომ საკუთარი ქვეყნის მთავრობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას ჩვენს შესახებ,** -- გვითხრა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა, ჩეჩნეთიდან ლტოლვილმა ასლან აბდურზაკოვმა, -- **საქართველოს ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა აღარ ძალუძს. ვეჭვობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეძლოს იმ დაპირისპირების თავიდან აცილება, რომლის გაღვივებასაც აქ რუსეთი ცდილობს და რომელიც საბოლოოდ, შესაძლოა, საქართველო-ჩეჩნეთის დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ამიტომაც ვითხოვთ გადაყვანას მესამე ქვეყანაში".**

მისივე თქმით, უკვე არსებობს სერიოზული შიში იმისა, რომ პანკისში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაცია ანტილტოლვილურში გადაიზრდება. **"ამის ვარაუდის საფუძველს ჯარისკაცების მხრიდან რამდენიმე მაროდიორობის შემთხვევა მაძლევს. ისინი შუაღამისას, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, გვივარდებიან სახლებში, ბავშვებს გულს უხეთქავენ, მძინარეებს ავტომატების გადატენვის ხმით აღვიძებენ. როდემდე შეიძლება ამის გაძლება, თანაც ასეთ სიტუაციაში პროვოკაციის მოწყობაც ძალზე ადვილია",**-- ამბობს აბდურზაკოვი.

ქართველი სამართალდამცველები ლტოლვილთა შევიწროებას უარყოფენ და ამბობენ, რომ ისინი მკაცრად ინსტრუქციის ფარგლებში მოქმედებენ, ჩეჩენი ლტოლვილები კი ისევე აგრძელებენ ცხოვრებას, როგორც ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებამდე, მათი შვილებიც ისევე დადიან ისლამისტურ სკოლაში, როგორც მანამდე. ასეთი სკოლა დუისში მართლაც არსებობს და იქ ჩეჩენ ბავშვებთან ერთად, მათი ქისტი თანატოლებიც დადიან. **"ბავშვები საკუთარ კულტურულ ფესვებს რომ არ მოწყდნენ",**-- ამბობს აბდურზაკოვი და ირწმუნება, ამ სკოლებში ვაჰაბიზმის ხსენებაც კი არ არისო.

## სასამართლო დარბაზი

# სასამართლო პროცესზე დაზარალებულებს იძულების წესით მიიყვანენ

ხათუნა ჯანბირაშვილი

**"დაზარალებულები ბინძურ საქმეში არიან გახვეულები; ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგო მათი პოზიცია. თუ არაფერს ერჩიან განსასჯელ მარგოშვილს, ეს მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ",** – განრისხებას ვერ მალავდა გუშინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილი, რომელმაც სასამართლო პროცესი, დაზარალებულ მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, უკვე მეოთხედ გადადო.

სამჯერ სასჯელმოხდილი და პრეზიდენტის შეწყალების აქტით გათავისუფლებული დუისელი ავტორიტეტი - ფეიზულ მარგოშვილი, რომელსაც ამჯერად მძიმე ბრალდებებით უპირებენ გასამართლებას, როგორც წინასწარი გამოძიებისას, სასამართლოშიც დუმილის უფლებით სარგებლობს. მის მაგივრად საუბრობს მისი დამცველი - ლალი ბუნტური და ირწმუნება, რომ მარგოშვილს გამოძიებამ ტყუილად დასდო ბრალი ადამიანის გატაცებაში, განზრახ მკვლელობის ჩადენის მცდელობაში, ავტომანქანის გატაცებასა და ადამიანებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში. ეს ის ბრალდებებია, რომელთა გამოძიებაც ახლა უკვე მართლმსაჯულების საქმეა. თუმცა, სასამართლო კოლეგიას, დაზარალებული ხუთკაციანი ჯგუფის სასამართლოზე გამოუცხადებლობის გამო, ჯერჯერობით, არ მიეცა საქმის განხილვის საშუალება.

ვეფხია მარგოშვილის ბიძის, ფეიზულ მარგოშვილის, ადვოკატი კი აცხადებს, რომ გამოძიებას საქმეში დაზარალებულად მისი დაცვის ქვეშ მყოფი უნდა ეცნო. რადგან, ადვოკატის თქმით, "ნასვამმა მარგოშვილმა მიკროავტობუსი გააჩერა და მძღოლს წაყვანა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიილო. მას მანქანაში ჩაეძინა და გონს მაშინ მოვიდა, როცა 5 უცხო ადამიანი გამეტებით ურტყამდა."

რაც შეეხება დაზარალებულთა პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზს, იგი, ჯერჯერობით, უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ისინი უკვე არაერთხელ გამოიძახა და გაფრთხილებაც მისცა. რას გულისხმობს მოსამართლე "დაზარალებულთა სიბინძურეში გახვევაში", ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია – დაზარალებულები სასამართლოს შეგნებულად არიდებენ თავს. არადა, მათ წინასწარ გამოძიებას დეტალური ჩვენებები მისცეს და დაწვრილებით აღწერეს, როგორ გაიტაცა ფეიზულ მარგოშვილმა ისინი მათივე "ფორდის" მარკის მიკროავტობუსით; როგორ წაიყვანა ისინი მუქარით პანკისისკენ; როგორ გაუწიეს მათ წინააღმდეგობა ავტომატით შეიარაღებულ თავდამსხმელს, მარგოშვილს და როგორ დაუპირა მარგოშვილმა ტყვეებს მოკვლა.

ერთი სიტყვით, დაზარალებულთა ამჟამინდელი პოზიცია სასამართლოსთვის, ჯერჯერობით, უცნობია იმის გამო, რომ ხუთი დაზარალებულიდან პროცესზე აქამდე არც ერთი მათგანი არ გამოცხადებულა და სასამართლო გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია.

გუშინ მოსამართლემ, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, დასაკითხ დაზარალებულთა პროცესზე იძულებით მოყვანის გადაწყვეტილება გამოიტანა.

რა ჩვენებებს მისცემენ სასამართლო გამოძიებას დაზარალებულები, შეცვლიან თუ საერთოდ გადათქვამენ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ საკუთარ ჩვენებებს, ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა, როდესაც მათ დუისელი ფეიზულ მარგოშვილის სასამართლო პროცესზე პოლიცია იძულების წესით მიიყვანს.

# ბიზნესი "ეი-ი-ეს თელასის"-გან მოპარული მრიცხველებით

„ეი-ი-ეს თელასის" მრიცხველების ქურდობაში ეჭვმიტანილი არნო გრიგორიანი ისანი-სამგორის პოლიციამ ფაქტით დააკავა მესხიშვილის ქუჩაზე. ეჭვმიტანილმა „ეი-ი-ეს თელასის" ასეულობით მრიცხველის ქურდობა აღიარა, რომელთა დიდი უმრავლესობა გაყიდული აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა მისგან 10 მრიცხველი ამოიღეს. ისინი კომპანიას დაუბრუნდა.

გრიგორიანის ჩვენებით, იგი ბათუმიდან და ხაშურიდან წინასწარ იღებდა მრიცხველებზე შეკვეთებს. მას "ეი-ი-ეს თელასის" მიერ 23 დოლარად შეძენილ მრიცხველში შემკვეთი 5 ლარს უხდიდა. ბრალდებულის ჩვენებით, მის მიერ მოპარულ მრიცხველებზე შავ ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო და მის კლიენტთა შორის "ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლებიც იყვნენ. არნო გრიგორიანი ისანი-სამგორის სასამართლომ გუშინ პატიმრობიდან გაათავისუფლა და პოლიციის მეთვალყურეობა დაუწესა. შემკვეთთა შორის დასახელებულია "ეი-ი-ს თელასის" ბათუმის გამანაწილებელი, რომელიც მოპარული მრიცხველებით ბათუმელებს სერვისს სთავაზობდა.

„ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის სოფო ბრიტანჩუკის განცხადებით, "კომპანიისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს შემკვეთის ვინაობა, რომლებიც თბილისის მოსახლეობისგან მოპარული მრიცხველებით აწარმოებენ ბიზნესს ხაშურსა და ბათუმში,".

## მოკლედ

**თბილისი.** "ძალოვანი სტრუქტურები და სპეცსამსახურები სერიოზულად მუშაობენ პანკისის ხეობაში ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხეობიდან გადევნილ ბოევიკებს იქ დაბრუნების საშუალებას არ მისცემს,"- განაცხადა იარაკლი ალასანიამ. მისი თქმით, საუბარია როგორც ძალისმიერ, ისე სპეციალური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსზე, მათ შორის ოპერატიულ-სამძებრო მუშაობაზე. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წლის 30 ნოემბერს გაიმართება პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდების პირველი ეტაპი.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულების შესაბამისად, იუსტიციის საბჭო დააწესებს გამოცდების გავლის მსურველთა განაცხადების მიღების ვადას 23 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე. იუსტიციის საბჭო, გამოცდების დასრულების შემდეგ, მის შედეგებს პრეზიდენტს ერთი კვირის ვადაში წარუდგენს. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** "აგრობიზნესბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი, 18 ივნისს თბილისიდან გატაცებული ბრიტანელი ბიზნესმენი პიტერ შოუ ამჟამად საქართველოს, ან მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს," - განაცხადა დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა. თუმცა, მან სახელმწიფო, სადაც გატაცებული პიტერ შოუ იმყოფება, არ დაასახელა. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში ეტაპირებულ პატიმარს, 32 წლის როინ ხუხუნს, სხეულზე დაზიანებები აღენიშნება. იგი აცხადებს, რომ დაზიანებები პოლიციაში მიიღო. ხუხუნი ქურდობაშია ბრალდებული. პატიმარს ზურგისა და ბეჭის არეში სისხლნაჟღენთები აქვს. .**"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს სენაკის უსინათლოთა კავშირის შპს-ს „ტეხერას" დირექტორი ანატოლი გოგია, რომელმაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით მიითვისა 10.000 ლარი.

იმერეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ინდივიდუალური მეწარმე, ჭიათურაში მცხოვრები, 38 წლის ტარასი ხიჯაკაძე, რომელმაც ბიუჯეტს დაუმალა 58.522 ლარი.**"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ ბასილ მკალავიშვილის საქმის განხილვა 11 ნოემბრისთვის გადადო. პროცესის გადადება განაპირობა განსასჯელთა ადვოკატების მოთხოვნამ და დაზარალებულთა მხარეს ახალი მოწმეების გამოჩენამ.

გუშინდელ სხდომაზე უნდა განხილულიყო გაზეთ „რეზონანსის" ოფისის დარბევის ფაქტი. გაზეთ „რეზონანსის" დირექტორის ზურაბ მაჭარაძის განცხადებით, ბასილ მკალავიშვილის ადვოკატის, ქართლოს ღარიბაშვილის, წინადადება შერიგების შესახებ მისთვის მიუღებელია.

როგორც ცნობილია, ბასილ მკალავიშვილისა და გლდანის ეპარქიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 2001-2002 წლებში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

ქართლოს ღარიბაშვილმა მხარეთა შერიგების შესახებ გუშინ მესამედ დააყენა შუამდგომლობა.**"მედია-ნიუსი".**

# პრეზიდენტი სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის კონცეფციით კმაყოფილია

თამარ კაციტაძე

უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის რეფორმის კომისიამ ცხრათვიანი მუშაობის შედეგად შექმნილი კონცეფცია შეფასებისთვის საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინა. რამდენიმედღიანი შესწავლის შემდეგ კი, 11 ოქტომბერს შევარდნაძემ განკარგულება გამოსცა: **"მოწონებული იქნეს "უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორის კომისიის" უშიშროებისა და სამართალდაცვის ორგანოების რეფორმის კონცეფცია".**

აღნიშნული განკარგულებით დამთავრდა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს უშიშროება, პროკურატურა და პოლიცია სწორედ პრეზიდენტის მოწონებული ამ დოკუმენტის მიხედვით გარდაიქმნება.

**"2001 წლის 6 დეკემბერს შექმნილმა კომისიამ, რომლის მიზანიც უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის კონცეფციის შექმნა იყო, მუშაობა დაასრულა. კომისიის ჯგუფებმა ხუთი ძირითადი მიმართულებით იმუშავეს: გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურების, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, პოლიციის, სამართალდამცავ ორგანოებში სპეციალისტთა მომზადების და სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოების ინსტიტუციონალური მოწყობისა და შიდა მართვის რეფორმის.**

**შემუშავებული კონცეფცია მაქსიმალურად ითვალისწინებს დასავლეთის ქვეყნების ექსპერტების რეკომენდაციებს.**

**ვინაიდან საქართველოს სურვილია დიდი ევროპული ოჯახის წევრობა, ამისათვის მნიშვნელოვანია ევროპული სტანდარტების დანერგვაც. სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა კი აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია,"** – აღნიშნა რეფორმების კომისიის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ, რომლის ინიციატივითაც გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობაში კონცეფციაზე მომუშავე კომისიის ქართველი და უცხოელი წევრები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ.

შეხვედრა, გარკვეული თვალსაზრისით, კონცეფციის პრეზენტაციადაც მოინათლა. საკმაოდ სქელტანიანი თეორიული ნაშრომი რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს გადასცა. პრეზიდენტის განკარგულებით, რეფორმების განხორციელებაზე კონტროლი და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც, სწორედ ეროვნული უშიშროების საბჭოსა და მის მდივანს თედო ჯაფარიძეს ეკისრება.

კომისიის ქართველმა წევრებმა კონცეფციის საბოლოო ვარიანტი გადასცეს იმ უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კონცეფციის შექმნაში და, ამასთან, უცხოელ კოლეგებს საჯაროდ უთხრეს მადლობა გაწეული დახმარებისთვის.

**"მეგობარი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა რეფორმების კონცეფციის შექმნა. ამიტომ განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა იმ უცხოელ კოლეგებს, რომელთა თავდაუზოგავი შრომითაც შეიქმნა აღნიშნული დოკუმენტი. განსაკუთრებით დიდი თანადგომა აღმოგვიჩინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და იუსტიციის დეპარტამენტმა, რომლებმაც მუშაობის დაწყების პირველივე დღეებიდან მატერიალურად უზრუნველყვეს კომისიის სამდივნოს მუშაობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უცხოელი კოლეგები გააგრძელებენ ჩვენთან თანამშრომლობას და დაგვეხმარებიან რეფორმის პრაქტიკულად გატარებაშიც,"** – აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

გაწეული დახმარებისთვის უცხოელ კოლეგებს მადლობა მოახსენა უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემაც: **"აღნიშნული კონცეფცია უმნიშვნელოვანესია ქვეყნის უშიშროებისთვის. ხვალიდან რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება და იმედი გვაქვს, თქვენი თანადგომისა."**


*რეფორმების კომისიის თავმჭდომარე ლადო ჭანტურია*

გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა: **"კონცეფციაზე მუშაობის პერიოდში უცხოელი ექსპერტები რამდენჯერმე იყვნენ პროკურატურაში და ადგილზე გაეცნენ არსებულ პრობლემებს. ჩვენ უკვე დავიწყეთ პროკურატურის შესახებ კანონის პროექტის შემუშავება. კონცეფციის შესაბამისად, უახლოეს მომავალში საქართველოში 50 პროკურატურა იქნება, ნაცვლად – 90-სა".**

იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის დაპირებით: **"პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, 2003 წლის 30 იანვრამდე მომზადდება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის პროექტი".**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა ასათიანის აზრით: **"რეფორმის განხორციელების შემდეგ, პოლიციაში მოვა კვალიფიციური კადრები, ეს კი იქნება იმის გარანტია, რომ საზოგადოებაში გაიზრდება სამართალდამცავი სისტემისადმი ნდობის ფაქტორი".**

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია გვიმტკიცებს: **"უშიშროების სამინისტროს უშიშროების სამსახურად გარდაქმნა რევოლუციურ ცვლილებებს არ გულისხმობს. ამიტომ ვფიქრობთ, კონცეფციის განხორციელება მტკივნეული არ იქნება. მთავარია, მატერიალური უზრუნველყოფა, რათა რეფორმების პრაქტიკაში დანერგვა დაიწყოს".**

ქართველ იურისტებთან მუშაობით კმაყოფილები ჩანდნენ თავად უცხოელი ექსპერტებიც.

**"გვინდა, მადლობა გითხრათ ერთობლივი მუშაობისთვის. მერწმუნეთ, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ რეფორმები დაიწყო სამართალდამცავ ორგანოებში, არამედ იმიტომ, რომ რეფორმა დაიწყო მთლიანად საქართველოს ცხოვრებაში,"** – განაცხადა შეხვედრისას აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა პიტერ სტრაზერმა და, სხვა უცხოელ კოლეგებთან ერთად, ქართველ იურისტებს მომავალშიც თანადგომას დაჰპირდა.

მოკლედ, სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის თეორიული ნაწილი დასრულებულია. დარჩა პრაქტიკული ნაწილი, ანუ ქაღალდზე დაწერილის რეალობაში გატარება, რაც, თუ წარსულის გამოცდილებას გავითვალისწინებთ, საქართველოში არც ისე იოლი იქნება.

# გარე საფრთხე და საქართველოს ხელისუფლების უსუსური პოლიტიკა

ნუგზარ გოგორიშვილი
კონფლიქტოლოგი, კრიზისული სიტუაციების სპეციალისტი

პრობლემა, რაზეც უნდა ვისაუბროთ, არის შედეგი და მხოლოდ მასზე რეაგირება იგივეა, რაც თავის ტკივილის დროს ანალგინის აბების მიღებით დაკმაყოფილება, როდესაც თავად ტკივილის მიზეზი გაცილებით სერიოზულია და მისი გამომწვევი პათოლოგიური პროცესი საფრთხეს უქმნის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებს.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის მიერ დღემდე წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკა, სწორედ სიმპტომატური გამოკვლევის საფუძველზე ადგილობრივი მკურნალობის ჩატარებას წააგავს, ნაცვლად იმისა რომ გამოკვლევა ჩაუტარდეს არა ცალკეულ ორგანოს, არამედ - მთელ ორგანიზმს და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით შემუშავდეს მკურნალობის სტრატეგია.

საქართველოს ამ მდგომარეობაში ჩავარდნა განპირობებულია ხელისუფლების არათანამიმდევრული პოლიტიკით და, სამწუხაროდ, ასეთი კონიუნქტურული პოლიტიკის წარმოება დღესაც გრძელდება.

როდესაც იწყება კონფლიქტების რეალურად გადაწყვეტაზე მსჯელობა, მითუმეტეს - ამ კონფლიქტში ჩართული მხარის მიერ, მიზანშეწონილია რიგი პოსტულატების გათვალისწინება:

1.კონფლიქტში მონაწილე არცერთი მხარე არ არის აბსოლუტურად მართალი (მით უმეტეს, როცა საქმე შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება), თითოეულ მათგანს, მეტ-ნაკლებად, მოწინააღმდეგის მიმართ ჩადენილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედება;

2.გარე ფაქტორები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმართავენ რეგიონულ კონფლიქტებს, ძირითადად ეყრდნობიან დაპირისპირებული სახელმწიფოების შიდა ადამიანურ და სტრუქტურულ რესურსებს;

3.აუცილებელია კონფლიქტის თანმხლები და წინმსწრები მოვლენების შესწავლა, ისტორიული პროცესების ანალიზი, მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა ემსახურებოდეს ურთიერთბრალდებას და დამნაშავის ძიებას;

4.კონფლიქტის მხარეთა პოზიციებისა და ინტერესების შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს კონფლიქტის მხარეთა სრული სპექტრი;

5.აუცილებელია პრობლემათა სრული და ზუსტი სურათის გააზრება, ანუ რა კუთხით წარმოადგენს კონკრეტული პრობლემა გლობალური პრობლემატიკის ნაწილს;

6.გამოსავლის ძიებისას აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში იმას, რომ რაც უკვე მოხდა, ველარაფერი შეცვლის. ამიტომ, არსებული ვითარება აღქმული უნდა იყოს, როგორც საწყისი და აქედან გამომდინარე დაიწყოს კომპრომისის ძიება;

7.მიუღებელია მოლაპარაკებებზე განზრახ განწირული გეგმის წარდგენა;

8.მთავარი პოსტულატი - მხარეებს უნდა სურდეთ მშვიდობა და იყვნენ პატიოსანნი კონფლიქტში ჩათრეული მოსახლეობის მიმართ.

კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებისათვის, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ინფორმაციული ფონი.

ინფორმაციული ფონის მეშვეობით სიტუაციის შექმნისა და ვითარებით მანიპულირების კლასიკურ მაგალითად, თამამად შეგვიძლია მოვიყვანოთ რეგიონში მიზნობრივად შექმნილი პანკისის ხეობის ფაქტორი.

პანკისის ხეობის ფაქტორი შორსგამიზნულად ჩამოყალიბდა გარე ძალების მიერ, რომელთა მიზნების ადგილზე განმხორციელებლად იქცნენ ჩვენი შიდა რესურსები (პიროვნებები, სტრუქტურები და ა.შ.).

1999 წლის შემოდგომაზე, რუსეთის ტელევიზიით მიმდინარეობდა ჩეჩნეთის ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო ჯილდოების გადაცემა მათი ოჯახის წევრებისათვის. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, ძალოვანი მინისტრების გარემოცვაში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რუს ხალხს აღუთქვა, რომ ქვეყნიდან განდევნიდა ჩეჩენ "ბოევიკებს", მაგრამ საით?

აი, სწორედ აქედან შეიძლება ვივარაუდოთ პანკისის ფაქტორისთვის საფუძვლის ჩაყრა. რაში დასჭირდა ეს რუსეთს, რომელსაც ისედაც უამრავი კოზირი აქვს საქართველოში?

პანკისის ხეობის ფაქტორის შექმნა პირველ რიგში ემსახურებოდა რუსეთიდან საქართველოში კონფლიქტის ექსპორტისთვის სასურველი სიტუაციური ფონის ჩამოყალიბებას. ჩეჩენი "ბოევიკების" გადმოსვლა საქართველოში იქცეოდა ინფორმაციულ ბაზისად იმისათვის, რომ რუსეთს განეცხადებინა - საქართველოში არსებული ტერორისტების ბუდე საფრთხეს უქმნის ფედერაციის ერთიანობასა და უსაფრთხოებას. ამასთან, საქართველოს შიდა რესურსების(პიროვნებები და სტრუქტურები) გამოყენებით, კრიმინალიზებული ხეობა ადვილად იქცეოდა ქვეყნის მადესტაბილიზებელ იარაღად. თუ გეგმის პირველი ნაწილი წარმატებით დასრულდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა უფრო სერიოზული მიზნების დასახვა. კერძოდ:

- საქართველოში საერთო ვითარების დაძაბვის - ხალხის გატაცება, ძარცვა, ნარკობიზნესი - დაკავშირება პანკისის ხეობასთან, სადაც კომპაქტურადაა განსახლებული ჩეჩნეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა;

- რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ჩეჩენ "ბოევიკთა" ჯგუფების გამოყენება საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ზონებში ვითარების გასამწვავებლად (აღნიშნული ჯგუფების საქართველოში შემოყვანას თავად რუსული სპეცსამსახურები უზრუნველყოფდნენ, ადგილობრივი რესურსების ხელშეწყობით);

მსგავსი ღონისძიება განხორციელებული იყო გასული წლის შემოდგომაზე აფხაზეთში. აღნიშნული ინციდენტი საჭიროებს დეტალურ შესწავლას შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან.

- ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გამოყენება მოტივირებისთვის, რათა რუსეთის სპეცსამსახურებსა და შეიარაღებულ ძალებს მიეღოთ პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური (2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ - ანტიტერორისტული) ოპერაციის ჩატარების უფლება.

- მშენებარე ნავთობსადენისა და გაზსადენის ტრასაზე მუდმივმოქმედი კრიმინოგენული კერის შექმნა;

როგორ ხდებოდა ამ მიზნების მიღწევა?

ქრონოლოგიურად მივადევნოთ თვალი იმ პროცესებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ან უკავშირდებოდა საქართველოს.

მიმდინარე წლის 27 ივლისს, სენაკთან, სახელმწიფო ავტოინსპექციის პოსტზე აჩერებენ ავტომანქანას, რომელსაც მართავს სამხედრო ფორმაში ჩაცმული მძღოლი. მანქანაში ჩხრეკისას აღმოჩნდა სარაკეტო დანადგარი "стрела".

ანალოგიური შემთხვევა იყო დაფიქსირებული მანამდეც, 16 ივნისს.

ორივეჯერ გავრცელდა ვერსია, რომ დაპატიმრებული იარაღი მიემართებოდა პანკისის ხეობაში.

პირველი შემთხვევა იყო "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამით (PFP) გათვალისწინებული ერთობლივი სწავლებების წინა დღეს. სწავლებების, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროატლანტიკური ბლოკის 6 წევრი ქვეყნისა და 9 პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის - ერთობლივად საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის სამხედრო შენაერთები.

მეორე შემთხვევის შემდეგ, 28 ივლისს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრიდან 15 კმ-ის მოშორებით, იტუმკალეს რაიონში (ჩეჩნეთი) დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. უმალვე ამუშავდა ინფორმაციული მანქანა - ჩეჩენი ბოევიკები გადმოვიდნენ საქართველოდან (პანკისის ხეობიდან).

პირველ შემთხვევაში იარაღი მიემართებოდა სვლაგეზით ცხინვალი-თბილისი-ზუგდიდი.

მეორე შემთხვევაში (ანალოგიური დანიშნულების შეიარაღება) სვლაგეზით ზუგდიდი-თბილისი-პანკისის ხეობა.

ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ელემენტარულად იცის საქართველოს გეოგრაფია, ალბათ, ნათელია ამ მარშრუტების ალოგიკურობა - ზუგდიდიდან მთელი ქვეყნის გავლით, იარაღი მიდის პანკისში, ცხინვალიდან კი - ზუგდიდში. ვის და რისთვის სჭირდებოდა ამ აქციის განხორციელება და ასეთი სიტუაციური ფონის შექმნა?

ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ, თუ მოვლენათა განვითარების შემდგომ დინამიკას გავყვებით.

31 ივლისი - იტუმკალეს რაიონში (ჩეჩნეთი, რუსეთის ფედერაცია) მიმდინარეობს მწვავე ბრძოლები რუსეთის ფედერალურ ჯარებსა და საქართველოდან გადასულ ჩეჩენ "ბოევიკებთან".

ამავე დროს.

31 ივლისი - ბრუნეა. მიმდინარეობს სამხრეთ აზიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი. განიხილება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები. სამიტის მუშაობაში მონაწილეობენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელ და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი იგორ ივანოვი.

სამიტის მსვლელობის დროს იგორ ივანოვი სთხოვს თავის ამერიკელ კოლეგას, დაეხმაროს რუსეთს იმ ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლაში, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, პანკისის ხეობაში, და ხშირად აწყობენ დივერსიულ რეიდებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. იტუმ-კალეს რაიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები სწორედ ხსენებულ "ბოევიკებთან" მიმდინარეობს. ამასთან, ივანოვი ცდილობს დაუმტკიცოს პაუელს, რომ საქართველოს ხელისუფლება უძლურია გააკონტროლოს ვითარება(მაგალითი - იარაღის უკანონო მოძრაობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე).

მიუხედავად ამერიკელთა კატეგორიული უარისა, რუსეთი ცდილობს გამოიყენოს უკვე შექმნილი სიტუაციური ფონი და, ჩეჩენ "ბოევიკებთან" ბრძოლის მოტივით, იწყებს "პანკისის ხეობისა" და მიმდებარე ტერიტორიების ავიადაბომბვებს. ამასთან, აგრძელებს ინფორმაციულ ზეწოლას და კვლავ მოთხოვს, დაშვებულ იქნას რუსეთის შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად.

საქართველოს ტერიტორიის დაბომბვები, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ხშირად ხდებოდა. თითქმის ყოველთვის, რუსეთი ჯერ უარყოფდა მონაწილეობას აღნიშნულ შემთხვევებში, მოგვიანებით აღიარებდა, მაგრამ - როგორც საფრენი აპარატების პილოტების შეცდომას, დაკავშირებულს რეგიონის რელიეფის სირთულესთან.

2001 წლის შემოდგომაზე, დაბომბვის შემდეგ, გაკეთდა განცხადება, რომ საფრენი აპარატები, ეკუთვნის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. აღნიშნული ფაქტი დაემთხვა თანამეგობრობის ქვეყნების ხელმძღვანელთა ბიშკეკის სამიტს. ერთობლივ ბრიფინგზე რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის მონაწილეობა დაბომბვებში უარყო იმ მოტივით, რომ მის ქვეყანას არ გააჩნია ვერტმფრენები, რომლებსაც შეუძლიათ დაბომბვითი ოპერაციები აწარმოონ ღამით (ორი წლის განმავლობაში დაბომბვები ხდებოდა სწორედ ღამის პერიოდში).

ბიშკეკის სამიტზე პრეზიდენტ პუტინის განცხადებას მოჰყვა გაზეთ "Независимое военное обозрение"-ს 45-ე ნომერში დაბეჭდილი სტატია:

"რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წრეები განცვიფრებულნი არიან რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით (მსგავს ინფორმაციას ქვეყნის პრეზიდენტი ღებულობს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელისგან), სადაც ივანოვი უარყოფს საქართველოს დაბომბვას რუსული შვეულმფრენებით იმ მოტივით, რომ ჩვენი საბრძოლო შვეულმფრენები ღამით რთული მთაგორიანი რელიეფის თავზე არ დაფრინავენო. არადა, ჩეჩნეთის პირობებში წარმატებით ცდიდნენ და შემდგომ ბრძოლებში იყენებდნენ МИ-8 МТКО ტიპის შვეულმფრენებს, რომლებიც სწორედ ღამით მოქმედებებისთვის არის გამიზნული".

ისევ მივყვეთ მოვლენათა განვითარებას.

3 და 5 აგვისტო - რუსეთის ფედერაციის მხრიდან ორი შეიარაღებული ჩეჩნური ჯგუფის გადმოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე.

წინასწარი მონაცემებით, იტუმკალეს (ჩეჩნეთი) რაიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს ფედერალურმა ძალებმა მოიქციეს ალყაში და ხელოვნურად შეუქმნეს ამ ჯგუფს დერეფანი საქართველოში იძულებით გადმოსასვლელად. გადმოსვლა წარმოებდა რუსეთის მხრიდან განსაკუთრებით დაცულ სასაზღვრო მონაკვეთზე.

3 აგვისტოს, გამთენიისას, კვლავ პანკისის ხეობის პრევენტული ავიადაბომბვა.

აქ აღსანიშნავია, რომ აღწერილი მოვლენების პარალელურად, რუსეთის ტელეარხებით რამდენიმეჯერ გამოვიდა რუსეთის ხელისუფლების ზედა პალატის თავმჯდომარე სერგეი მირონოვი, რომელმაც აბსოლუტურად გაამართლა საქართველოს ტერიტორიაზე პრევენტული საჰაერო დარტყმების აუცილებლობა და სამხედრო ღონისძიებათა გაფართოება მოითხოვა. მაგალითისთვის მოიყვანა ისრაელის სპეცსამსახურების მოქმედება პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რაოდენ მწვავედ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა, ამერიკელთა დაჟინებული რეკომენდაცია, პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ღონისძიებებისა და ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების ჩატარების შესახებ. ამ ღონისძიებებმა პრაქტიკულად მოხსნა(დროებით მაინც) რუსეთის მიერ პანკისის ფაქტორის გამოყენება.

"პანკისის ხეობის" ფაქტორის დღის წესრიგიდან მოხსნამ, განაპირობა სხვა ბერკეტების ამუშავების აუცილებლობა, რისი ლოგიკური დამაგვირგვინებელი ეტაპიც იყო რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული 11 სექტემბრის სტრატეგიულად წამგებიანი განცხადება - ნოტა.

აქ, თავს უფლებას მივცემ და გამოვიყენებ საქართველოს საერთაშორისო კომპანიის პრეზიდენტის გია ჭანტურიას მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ:

- 2004 წელს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და ჩეჩნეთი, ბუნებრივია, ველარ იქნება ის თემა, რომლითაც პუტინი არჩევნებს მოიგებს;

- რუსეთს, რეალურად, ორი არჩევანი აქვს: ან ჩაშალოს ბაქო-ჯეიჰანის პროექტი, ან, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად, მიუერთდეს მას ნოვოროსიისკი-ჯეიჰანის პროექტის, ანუ აფხაზეთზე გამავალი მილსადენის მეშვეობით, რაც აფხაზეთის 17-მილიონიან ბიუჯეტს მინიმუმ 85 მილიონ დოლარს მიუმატებს (ბუნებრივია, ამ შემთხვევაში თავად სიტუაცია მოითხოვს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას საერთაშორისო ნორმატიული აქტების გათვალისწინებით).

ამასთან, გასათვალისწინებელია დღეს რეალურად არსებული რამდენიმე სიტუაციური ფაქტორი:

- რუსეთმა პრაქტიკულად დაკარგა ყოველგვარი ზეგავლენა ავღანეთზე. იგივე საფრთხე ემუქრება რუსეთის პოზიციებს მთლიანად ახლო აღმოსავლეთში;

- პრეზიდენტ პუტინის ხელშეწყობით, აშშ საკმაოდ დიდი ხნით (თუ არა სამუდამოდ) დამკვიდრდა პოსტსაბჭოური სივრცის ცენტრალური აზიის რეგიონში;

- სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე (კოჩარიან-სარქისიანის პოზიციების შესუსტება და 2003 წ. თებერვალში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კოჩარიანის არამყარი მდგომარეობა), სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო ყოფნის სიტუაციური და იურიდიული საფუძვლების შესუსტება;

- რუსეთის მხრიდან საქართველოში ეკონომიკური დივერსიის წარმოების დერეფნის - ცხინვალის რეგიონის კონტროლის გამკაცრება (ერთობლივი სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონის დაურღვევლად) საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

ყოველივე ზემოთქმული, გარდა სამხრეთ კავკასიის სასურველი რეგიონული სტრატეგიისა, რუსეთის რეაქციული ძალებისა და ადგილებზე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) მათი სატელიტების მაქსიმალურ სიტუაციის მადესტაბილიზებელ გააქტიურებას გამოიწვევს.

გააქტიურება გამოხატული იქნება არა მხოლოდ განცხადებების დეკლარირებით, არამედ უშუალო ქმედებებითაც.

რეაქციულ ძალებში პირველ რიგში მოიაზრება რუსეთის სამხედრო გენერალიტეტი და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

დღევანდელი ცხოვრების რეალობა, რუსეთისგან მოითხოვს მის ჩართვას საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში. შედეგად, დღის წესრიგში დგება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გადაყვანა სამშვიდობო რელსებზე.

რუს ძალოვანთა ზემო ეშელონებს - გენერალიტეტს, სპეციფიური ბიზნესის დათმობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანია მსოფლიოში, წარმოუდგენლად მიაჩნია და, ბუნებრივია, ნებისმიერ ფასად შეეცდება დაიცვას ბიზნესიც და საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობაც.

აქვე თუ გავიხსენებთ იმ ფარულ დაპირისპირებასაც, რომელზეც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი, 23 ოქტომბრის ტერაქტი, შესაძლოა, მოულოდნელადაც აღარ გამოჩნდეს. თავად განსაჯეთ: ქალაქში, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან "лиц кавказской национальностей", რამდენად რეალური იყო 30-50 შეიარაღებული "ჩეჩენი ბოევიკის" ორთვიანი სამზადისი და შემდეგ გადაადგილება.

ვაშინგტონი-ევროპა-მოსკოვი-სამხრეთ კავკასიის ურთიერთობათა დღევანდელ ჭრილში, სიტუაციურ, ინფორმაციულ და ქრონოლოგიურ ფაქტორებთან 23 ოქტომბრის მოსკოვის მოვლენათა თანხვედრა იმის მიმანიშნებელია, რომ რუსეთში უკიდურესად გამწვავდა შიდაპოლიტიკური დაპირისპირება ორ ძირითად ბანაკს შორის, რუსეთის პრეზიდენტი - გფბ , ერთი მხრივ, და გენერალიტეტი - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, მეორე მხრივ. სიტუაციის განმუხტვა კი, ბოლო წლების გამოცდილებით, კვლავ ჩვენს რეგიონშია მოსალოდნელი.

აღნიშნულ სიტუაციურ ფონზე აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, მით უმეტეს, ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვის უფლების მიცემა აფხაზეთისთვის (მაგრამ რეალურად - არა აფხაზებისათვის), შესაძლოა, სიტუაციის ახალი ესკალაციის საფუძვლად იქცეს მთელი რეგიონის მასშტაბით.

1992 წელს სწორედ რკინიგზაზე გახშირებული თავდასხმები გახდა 14 აგვისტოს დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის ფორმალური მიზეზი.

დღეს რკინიგზის გახსნა ესკალაციას გამოიწვევს ან უცხო ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი) ტვირთების "დაყაჩაღების" საბაბით, რისი გაკეთებაც არ წარმოადგენს სირთულეს. თუ სწორედ ეს არ არის საკითხის წამოწევის სავარაუდო მიზეზი, მაშინ სწორედ რკინიგზის დაცვის მიზნით ჩათვლიან საჭიროდ, "სამშვიდობო" ძალებს დაემატოს კომუნიკაციების დაცვის სპეციალური კონტინგენტი.

ასე რომ, მადესტაბილიზებელი ფაქტორები კვლავაც უხვადაა და მათი ამოქმედება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუკი საქართველო არ გადადგამს კონტრნაბიჯებს. პირველყოვლისა, აუცილებელია კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის გადაყვანა რეალურ სიბრტყეში, შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელება და, რაც მთავარია, მადესტაბილიზებელი ფაქტორების პრევენცია ღრმა სიტუაციური ანალიზითა და თანამიმდევრული ქმედებებით.



დღის პერსონა

# ნოემბერი დესტაბილიზაციას, ჯერჯერობით, გადაურჩა


ჯუმბერ ლომინაძე

*ერთი შეხედვით, ცესკოს რიგითი სხდომა სულ ადვილად შეიძლებოდა არაერთგზის ნაწინასწარმწტყველები დესტაბილიზაციის მიზეზად ქცეულიყო. ცესკო პოლიტიკოსებით არ არის დაკომპლექტებული, თორემ აუცილებლად განჭვრეტდნენ, რა მოჰყვებოდა მათ სამართლებრივად უკანონო გადაწყვეტილებას. საბედნიეროდ, ეს ჯერ არ მოხდება.*
*არ დაიწერება, აგრეთვე, ზვიად ძიძიგურის სარჩელი რეგისტრაციაზე ნათქვამ სრულიად უკანონო უარზე. სასამართლო პროცესის შემთხვევაში, ძიძიგურს აუცილებლად აღუდგენდნენ რეგისტრაციას, ხოლო, მოპასუხე მხარეს, ანუ კომისიის იმ წევრებს, რომლებმაც ძიძიგურის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მათ შორის:* ***სოციალისტ*** *დავითაშვილს,* ***ეროვნულ დემოკრატ*** *საყვარელიძეს,* ***ლეიბორისტ*** *ჯიბლაძეს,* ***პარლამენტის წარმომადგენელს*** *ცესკოში ციხისთავსა და იმავე დაწესებულებაში* ***პრეზიდენტის წარმომადგენელ*** *სალუქვაძეს, აგრეთვე ცესკოს თავმჯდომარის მოადგილეს გია ზესაშვილს (მათ ძიძიგურის წინააღმდეგ მისცეს ხმა) ერთადერთი არგუმენტი ექნებოდათ თავის გასამართლებლად -* "ЛИЧНАЯ НЕПРИЯЗНЬ К ПОТЕРПЕВШЕМУ"... *თუ ძიძიგურის მოწინააღმდეგე მხარეს გადავხედავთ, ადვილად დავინახავთ, კერძოდ ვის უნდოდა და ვინ ვერ შესძლო გუშინ დესტაბილიზაციის პროვოცირება.*
*ნაციონალური მოძრაობის იურისტები ლამის სასამართლოს კარებთან იდგნენ, როცა ცესკოს რიგგარეშე სხდომამ ძიძიგური კანდიდატად აღიარა. სიმართლე გითხრათ, რომ არა პოლიტიკოსთა დემოკრატიული ნაწილის საკმაოდ წონიანი ფიგურების გამოჩენა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს სამუშაო დღე დასრულებული ჰქონდათ და სახლებში მიდიოდნენ. მოკლედ, ჩასაფრებულ არეულობას ვერავინ ამჩნევდა. მათ შორის, ვერც ცესკოს თავმჯდომარე* ***ჯუმბერ ლომინაძე.***

მაია ჭალაგანიძე

**- რატომ არ გაატარეს რეგისტრაციაში ზვიად ძიძიგური. მას ყველა წარმოდგენილი საბუთი წესრიგში ჰქონდა.**

- არ ვიცი. ეს დანაშაულია.

**- ეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ჰგავს. თქვენ კი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხართ.**

- რა უნდა მექნა? კატეგორიულად ვცდილობდი, რომ საკითხი გასულიყო. მათ არჩევნების დაუფინანსებლობა მოიმიზეზეს, რაც სასაცილოა. ეს არაფერ შუაშია. მე ვკითხე კიდეც - ხვალ რომ ფული ჩაგვირიცხონ, რას აპირებთ-მეთქი?

**- კომისიის წევრებს იურიდიულად არ ჰქონდათ კანდიდატის ჩაგდების უფლება.**

- არა, არ ჰქონდათ. სამჯერ დავაყენე კენჭისყრაზე ზვიად ძიძიგურის საკითხი. არც ერთხელ არ გავიდა. ის კი არა, თარგამაძეც ბეწვზე გავიდა.

**- თარგამაძესა და გოცაძეს დაუფინანსებლობა არ შეეხოთ?**

- აი, მეც ეგ მაინტერესებს.

**- თქვენ ხომ თავმჯდომარე ხართ, ბატონო ჯუმბერ. რატომ ვერ მოერიეთ.**

- როგორ უნდა მოვერიო, ამას რატომ მეუბნებით... მე როგორ მოვერიო, ხალხი ასი ათასებს იღებს...

**- თუ ვერ ერევით, რატომ არ გადადგებით, პრესტიჟის საქმეა...**

- დიახ, თუ ვერ მოვერევი, გადავდგები.

*"მე ეს პრობლემა არასოდეს მქონია. აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორობიდანაც გადავდექი, როცა საჭირო იყო. დიდი სიამოვნებით დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმეს, რომლისგანაც სულაც არ წავსულვარ შორს...* ***("24 საათი". 2002 წელი. 9 ივნისი, ჯუმბერ ლომინაძის ინტერვიუ).***

*მთელ ამ არეულობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გია ზესაშვილის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია. სხვათა შორის, ადგილობრივი არჩევნების დროსაც ხშირად ისმოდა მისი სახელი. მაშინ ზურაბ ჟვანიასა და "მოქალაქეების" დავაში მან აშკარად დაუჭირა მხარი ამ უკანასკნელთ, რომელთაც შემდგომ, სიყვარულით, "2 პროცენტიანი მოქალაქეები" უწოდეს.*

*სწორედ ბატონმა გიამ შეგვატყობინა ზვიად ძიძიგურის რეგისტრაციაში გატარების ამბავი.*

- ძიძიგური გავიდა. მეორე სხდომა მოვიწვიეთ და რეგისტრაციაში გატარდა.

**- თქვენ ისევ წინააღმდეგი იყავით?**

- დიახ. მე დღეში ორჯერ გადაწყვეტილებებს არ ვიცვლი.

**- თქვენ კანონით ამის უფლება არ გქონდათ.**

- არ გვაძლევენ არჩევნების ჩასატარებელ ფულს და იმიტომ ვიყავი წინააღმდეგი. ეს ჩემი პრინციპული მოსაზრებაა.

ცესკოს წევრი ხათუნა გოგორიშვილი: **"ჩვენ პირდაპირ მოვაწერეთ ხელი იმას, რომ ცესკო არ არსებობს... თუ ეს ასეა, არ მსურს ასეთ კომისიაში ყოფნა. არ აქვს მნიშვნელობა, აღადგენს თუ არა სასამართლო ძიძიგურს. ამით ცესკოს ავტორიტეტს არაფერი შეემატება. ჩვენი გადაწყვეტილება პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ხალხს ვეუბნებით: კანონი არ არსებობს, არჩევნები არ არსებობს, გამოდით, ხალხო, ქუჩაში!"**

მაგრამ ამჯერად, მაინც "ტრადიცია" დაირღვა. ნოემბერი დესტაბილიზაციას, ჯერჯერობით, გადაურჩა.


ხათუნა გოგორიშვილი


გია ზესაშვილი



## მოკლედ

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მირეი მიუსომ, გუშინ საფრანგეთის აკადემიის პალმის ორდენი გადასცა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, დავით ლორთქიფანიძეს.

ლორთქიფანიძისათვის ამ ჯილდოს მინიჭებით საფრანგეთის რესპუბლიკა გამოხატავს თავის მადლიერებას საფრანგეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობებში მის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის. საფრანგეთის საელჩოს ინფორმაციით, ლორთქიფანიძე ფრანგულ-ქართულ პროგრამას პრეისტორიის დარგში უძღვება. მან მონაწილეობა მიიღო მრავალ გამოფენაში, რომლებიც საფრანგეთის მუზეუმებში მოეწყო. იგი სისტემატურად იღებს მონაწილეობას საფრანგეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში გამართულ ლექციებსა და კონფერენციებში. ლორთქიფანიძე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში საფრანგეთის სამეცნიერო გამოცდილების გავრცელებასა და საფრანგეთში ქართული მეცნიერების მიღწევების წარმოჩენაში. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

რამდენიმე დღეში ხორვატიაში გაიმართება დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოსარეჟისურის ფაკულტეტის სტუდენტი, ზაზა მერაბიშვილი მიიღებს მონაწილეობას. კონფერენცია ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკში გაიხსნება. ქართველი სტუდენტი კონფერენციაზე თავის ახალ ნამუშევარს - მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „ჰიმნი მზისა და მშვიდობისას“ წარადგენს. ზაზა მერაბიშვილი ხორვატიაში ”სოროსის” ფონდის დახმარებით გაემგზავრა. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

ეგვიპტის კინოწარმოებისა და დისტრიბუციის კომპანია საქართველოსთან თანამშრომლობით დაინტერესდა. თბილისში ეგვიპტის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის დროს, სტუმრებმა ქართულ მხარეს გააცნეს გადმოეცა საქმიანი წინადადებები ქართულ ბაზარზე ეგვიპტური ფილმების ექსპორტთან დაკავშირებით. ამას გარდა, ეგვიპტელი პროდიუსერები ქართველ კოლეგებს სთავაზობენ ერთობლივ კინოგადაღებებს. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

მოსკოვში პუშკინის სახელობის მუზეუმში ქართველი ფერმწერისა და მოქანდაკის, ზურაბ წერეთლის ნამუშევართა გამოფენა „პუშკინის თბილისი“ გაიხსნა. გამოფენაზე პუშკინის ორი ფერწერული და სკულპტურული პორტრეტია წარმოდგენილი. ექსპოზიციის ცენტრში მოთავსებულია პუშკინის პრიზის, „არზრუმში მოგზაურობის“ მიხედვით შექმნილი ბრინჯაოს რელიეფების სერია. ეს ნაწარმოები პუშკინმა თბილისში მოგზაურობის შემდეგ შექმნა. რელიეფების სერია, რომელიც ოცი ნამუშევრისგან შედგება, მნახველს საშუალებას აძლევს პუშკინისეული თბილისი იხილოს. ნამუშევრები ბრინჯაოში, ზეთსა და ტიხრულ მინანქარშია შესრულებული. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია შოლკოგრაფიის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. გამოფენა მოსკოვში 21 ნოემბრამდე გაგრძელდება.

სკულპტორმა ახლახანს დაასრულა მუშაობა რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიის პირველი ხელმძღვანელის, ივან შუვალოვის ქანდაკებაზე. ნამუშევარი წერეთელმა პეტერბურგის დაარსებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით შექმნა. ქანდაკებას ამჟამად ქარხანა „მონუმენტ სკულპტურაში“ ასხამენ. შუვალოვის ბრინჯაოს ორმეტრიანი სკულპტურა სამხატვრო აკადემიის ეზოში დაიდგმება. ამას გარდა, ზურაბ წერეთელმა პეტერბურგის გუბერნატორს ვლადიმირ იაკოვლევს შესთავაზა ზღვისპირა პარკში დადგას ნევისპირა ქალაქის სამი საუკუნის ამსახველი ქანდაკებები: პეტრე პირველის, ეკატერინე დიდის, „ევროპაში გაჭრილი ფანჯრისა“ და სხვა. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი უკვე რამდენიმე წელიწადია, სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვს. ხალხური ხელოვნების მუზეუმის შენობას გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები სჭირდება. მუზეუმის დირექცია უჩივის მღრნელების გამრავლებას, რომლებიც იქ არსებულ უნიკალურ ექსპონატებს აზიანებენ. ხალხური ხელოვნების მუზეუმი, სადაც ხისა და ქსოვილისაგან შექმნილი ათასამდე უნიკალური ექსპონატია დაცული, ერთი საუკუნის წინათ დაარსდა. როგორც დავით კიკნაველიძე ამბობს, მღრნელების გასანადგურებლად და ზოგიერთი ექსპონატის დასაცავად საჭიროა სპეციალური პრეპარატები, რომელთა შესაძენად მუზეუმის დირექციას სახსრები არ გააჩნია. მუზეუმის დირექტორის, დავით კიკნაველიძის თქმით, თექისა და სხვა ქსოვილისგან შექმნილი ფარდაგების დაცვას ისინი, ნაფტალინის ნაცვლად, კაკლის ხის ფოთლებით ცდილობენ. ხალხური ხელოვნების მუზეუმი გამოფენების გამართვასაც ვერ ახერხებს. საგამოფენო დარბაზებში დაზიანებულია ჭერი, საიდანაც წვიმის დროს წყალი ჩამოდის. როგორც კიკნაველიძე ამბობს, მათ დახმარებისავის არაერთხელ მიმართეს კულტურის სამინისტროს, რომელსაც, დაპირებების გარდა, არანაირი დახმარება არ გაუწევია. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

ანკარის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც 23 ნოემბერს გაიხსნება, ქართული მხატვრული ფილმების რეტროსპექტივა გაიმართება. როგორც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ შუბაშვილმა „მედია-ნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ექვსი ქართული მხატვრული ფილმი — თენგიზ აბულაძის „მონანიება“, ელდარ შენგელაიას „ფიროსმანი“, სერგო ფარაჯანოვის „ლეგენდა სურამის ციხეზე“, მიხეილ კობახიძის „ქორწილი“ და „ქოლგა“ და ლევან ზაქარეიშვილის „ისინი“, ფესტივალის ორგანიზატორებმა თავად შეარჩიეს.

ქართული მხატვრული ფილმები ფესტივალზე კონკურსგარეშე იქნება წარმოდგენილი, და მათი ჩვენება ფესტივალის მიმდინარეობისას ანკარის სხვადასხვა კინოთეატრში გაიმართება. როგორც არჩილ შუბაშვილი ამბობს, ჯერჯერობით უცნობია, რამდენკაციანი ჯგუფი გაემგზავრება ანკარაში, რადგან მათი გამგზავრების თანხები თურქეთის მხარემ უნდა გაიღოს. ფესტივალის პროგრამის გათვალისწინებით ქართულ მხატვრულ ფილმებს დაერთვება ინგლისური და თურქულენოვანი სუბტიტრები. ფესტივალის მიმდინარეობისას აგრეთვე, გაიმართება პრესკონფერენციები და ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებთან შეხვედრები. უნდა აღინიშნოს, რომ თურქი მაყურებელი ზემოაღნიშნული ქართველი რეჟისორების ფილმებს პირველად იხილავს. ფესტივალი, რომელზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფილმი იქნება წარმოდგენილი, 23 ნოემბერს გაიხსნება და 1 დეკემბრამდე გასტანს. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

მედიაჰოლდინგ “ი-მედია"-ს შეკვეთით ნოემბერში თბილისში მრავალსერიანი მხატვრული ფილმის გადაღება დაიწყება. როგორც ძინტერ-პრესს" საქართველოს კინემატოგრაფისტთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა და ფილმის რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ განუცხადა, იგი ფილმის 13 სერიის გადაღებას გეგმავს, თითოეულის ხანგრძლივობა 1 საათი იქნება. ფილმის სახელწოდება შერჩეული ჯერ არ არის, თუმცა ცობილია, რომ იგი კრიმინალურ თემატიკას შეეხება. სცენარის ავტორები ნუგზარ შატაიძე და კოტე ჯანდიერი არიან, მთავარ როლს კი მასში ია სუხიტაშვილი, ჟანრი ლოლაშვილი, გიორგი ყიფშიძე და ეკა ანდრონიკაშვილი შეასრულებენ. ფილმის გადაღება სავარაუდოდ, 14 ნოემბერს დაიწყება. ქართველი მაყურებელი მას ტელეეკრანებზე ახალი წლიდან იხილავს. **(ინტერ-პრესი)**

■ ■ ■

საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით, 1-2 ნოებერს თბილისში რუსული კინოს დღეები გაიმართება. ამასთან დაკავშირებით, თბილისში რუსეთიდან ელიან კულტურის მოღვაწეთა 11-კაიცან დელეგაციას რუსეთის კულტურის მინისტრის მიხეილ შვიდკოის ბელმძღვანელობით. რუსული ფილმების ჩვენებას კინოთეატრი "ამირანი" უმასპინძლებს. პროგრამაში იქნება: როგოშკინის "გუგული"; ტოდოროვსკის "საყვარელი"; ლებედევის "ვარსკვლავი" და იანკოვსკის "მოძრაობაში". **(კავკას-პრესი)**

## კალენდარი

### 31 ოქტომბერი


*იან ვერმეერი, გოგონა მარგალიტის საყურით*

მიუხედავად დიდი პოპულარობისა, ჰოლანდიის ოქროს ხანის მხატვრის, იან ვერმეერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. დაიბადა მეაბრეშუმის ოჯახში ქალაქ დელფოსში, ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ფერწერული ტილო 1656 წლით თარიღდება, ვერმეერის პირველი ნამუშევრები კარავაჯოს მიმდევართა გავლენას განიცდის, ისტორიული წყაროების მიხედვით, ზუსტად არ არის ცნობილი ისიც, თუ ვინ იყო მისი მასწავლებელი - ბრემერი თუ ფაბრიციუსი. ვერმეერი შუქისა და ფერის ეფექტების დიდოსტატად მიიჩნევა, მის ფერწერულ ტილოებს განსაკუთრებული მგრძნობელობა და პოეტურობა ახასიათებს. ჩვენამდე ჰოლანდიელი მხატვრის სულ რაღაც 40-მდე სურათია მოღწეული. მისი ეს სურათები საუკუნეების განმავლობაში დავიწყებული იყო და მხოლოდ 1866 წლის შემდეგ გახდა ცნობილი საზოგადოებისათვის, მაშინ, როცა ნამუშევრები ფრანგმა ესთეტებმა აღმოაჩინეს... ამის შემდეგ ვერმეერის ჭეშმარიტ ხელოვნებაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

როგორც ვარაუდობენ, **იან ვერმეერი** 370 წლის წინ, 1632 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა.

# "სამყაროთა ომი" ახალი ინტერპრეტაციით

თამარ ბაბუაძე

ზუსტად 64 წლის წინ, 30 ოქტომბრის საღამოს ამ რადიო-გადაცემამ მთელი ამერიკა ჩააგდო შოკში. ცნობილი ამერიკული დღესასწაულის, ჰელოუინის წინა ღამეს, ჭინკებისა და კუდიანი დედაბრების განწყობაზე მომართულმა საზოგადოებამ რეჟისორ ორსონ უელსის რადიო-ხუმრობა დაიჯერა და გადაწყვიტა, რომ შტატებს მარსელები თავს მართლაც დაესხნენ. ატყდა მასობრივი ისტერიკა: მაშინდელი მსოფლიო ხომ სრულიად ახალ მედიუმს – რადიოს, როგორც ეგზოტიკურ ხილს ისე იღებდა და ყველაფერს, რაც რადიოეთერით სთავაზობდნენ, გიჟივით ისრუტავდა. ამიტომ, გასაკვირი არც არის, რომ სახელგანთქმული ორსონ უელსის გადაცემის დროს, რადიომიმღებებთან მილიონობით ამერიკელი იყრიდა თავს.


*ორსონ უელსი რადიოში*

30 ოქტომბრის საღამოსაც, მათ ცხადად წარმოიდგინეს, თუ როგორ მოეშურებოდნენ უცხოპლანეტელები მფრინავი თეფშებით დედამიწელების გასანადგურებლად და როგორ აფრქვევდნენ მომაკვდინებელ კოსმოსურ სხივებს...

“მოქალაქე კეინის” შემქმნელის ეს ექსცენტრიული გამოხდომა ლამის ნაციონალურ პანიკაში გადაიზარდა. ჟურნალისტიკის ისტორიაში კი “სამყაროთა ომის” ინციდენტი შევიდა, როგორც კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მედიის საშუალებით, ხელოვნური გზებით, მასობრივი ისტერიკის გამოწვევა.

გუშინ ამერიკაში უელსის წარმატებული ექსპერიმენტი კვლავაც გაიმეორეს. ჟურნალისტმა გლენ ბეკმა თავისი გადაცემა სპეციალურად დაამთხვია 30 ოქტომბერს – უელსის ისტორიული შოუდან 64 წლის გასვლას და საღამოს რვა საათზე რადიოეთერში გაუშვა “სამყაროთა ომის” თავისებური ინტერპრეტაცია.

ბუნებრივია, მასობრივი ქაოსი და შიში ბეკის მცდელობას აღარ მოჰყოლია. თუმცა, თავად ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ საკუთარსა და უელსის ექსპერიმენტს შორის მაინც უდიდესი მსგავსებაა: მაშინ ამერიკელები “დიდ დეპრესიაში” იყვნენ და შიშით შესცქეროდნენ ადოლფ ჰიტლერს, რომელიც მსოფლიოს ომით ემუქრებოდა. ახლა კი შტატები “ალ-ქაიდაზე” ფიქრს ვერ იშლის, ჰუსეინის განადგუნრებას გეგმავს და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას ცდილობს. “მარსელები იგივე “ალ-ქაიდელები” არიან. ალეგორია ამ ორ პერიოდს შორის მართლაც უდიდესია”, - აცხადებს რადიო-ექსპერიმენტის ავტორი.

ჟურნალისტმა ახალ “სამყაროთა ომში” უელსის გადაცემის შესავალი გამოიყენა. მისი რადიო-შოუც, ისევე როგორც უელსისა, ამ სიტყვებით იწყება: “დიდი ინტელექტის მქონე უსიმპათიო უცნობებმა დედამიწას შურიანი თვალი მიაპყრეს და ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან მშვიდად ჩვენს წინააღმდეგ მიმართული გეგმები დასახეს”...

ბეკს თავის პროექტში ცოცხალი ორკესტრის გამოყენებაც სურდა, მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო ეს ვერ მოახერხა და ისევ უელსის გადაცემაში გამოყენებული მუსიკის ჩანაწერს დასჯერდა.

შოუ გუშინ 100-მდე ამერიკული რადიო-სადგურის ეთერით გადაიცა. ბეკი წინასწარვე იყო დარწმუნებული, რომ, უელსის გადაცემისგან განსხვავებით, მისი “სამყაროთა ომი” არავის შეაშინებდა, რადგან უცხოპლანეტელების თემა ჩვენს დროში უკვე გადაფასებულია და თანაც, ბოლო ხანს გაცილებით უარესი მოვლენებიც ხდება.

ერთი სიტყვით, ახალი “სამყაროთა ომი” უელსისეული მძაფრი ეფექტებით არ გაიმართა. 1938 წელს კი რეჟისორის ერთი შეხედვით უცოდველი იდეა – ბრიტანელი მწერლის, ჰერბერტ უელსის ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებისგან რადიოდადგმა გაეკეთებინა, მილიონი ამერიკელის დაშოკვით დამთავრდა.

არავინ იცის, ჰქონდა თუ არა რეჟისორს ბოლომდე გააზრებული, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მის გადაცემას, მაგრამ ერთი კი ფაქტია: მან ნაწარმოები სპეციალურად გადააკეთა ისე, რომ თხრობა უფრო დრამატული გაეხადა და მოქმედება საინფორმაციო გადაცემის ფონზე განავითარა. მსმენელის უმრავლესობამ კი შესავალ სიტყვებს ვერ მიუსწრო – ეს მხოლოდ რადიო-დადგმააო და გადაცემაში მოგვიანებით ჩაერთო, როდესაც უკვე საორკესტრო მუსიკა საშინელმა “ახალმა ამბავმა” შეწყვიტა: მარსელების საჰაერო ხომალდები ნიუ ჯერსიში, გროვერს მილთან დაეშვნენ და მომაკვდინებელ გაზს უშვებენო. სანამ ჟურნალისტი გადაცემის მეორმოცე წუთზე კვლავ გაიმეორებდა, რომ მსმენელი რადიო-დადგმას ისმენდა, ანუ სანამ ხალხი სიმართლეს გაარკვევდა, მასობრივი ისტერია უკვე სახეზე იყო. ამერიკელები იმალებოდნენ სხვენში, მანქანებით გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ, ტენიდნენ თოფებს, გაზისგან თავის დასაცავად თავებს სველი პირსახოცებით იხვევდნენ...

მოგვიანებით, გაზეთ “ნიუ იორკ ტრიბუნში” ჟურნალისტი დოროთი ტომპსონი წერდა, რომ ეს შოუ იყო საუკეთესო დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ პოლიტიკურ ძალებს, მედიის საშუალებით, საზოგადოებაზე მანიპულირება, თეატრალიზებული ილუზიებით სასურველი მესიჯის გაგზავნა.

“უელსის გადაცემა ყველა დროის საუკეთესო მაგალითად იქცა. ჰიტლერმა მთელი ევროპა ერთ თვეში დააჩოქა მუხლებზე, მაგრამ მას ჯარი და ავიაცია ჰყავდა, უელსმა კი ეს რადიო-ეთერის საშუალებით მოახერხა”, - წერდა ის და ხაზს უსვამდა მედიის უდიდეს გავლენას საზოგადოებრივი აზრის შექმნის პროცესზე.

დღეს კი საინტერესოა, რატომ დაჭირდა გლენ ბეკს ისტორიული პარალელების გავლება და 21-ე საუკუნეში “სამყაროთა ომის” თავიდან დადგმა. ბუნებრივია, ეს უელსის გადაცემის მხოლოდ საიუბილეო გახსენება არ იყო. ალბათ, ბეკმა უფრო სხვა რამ დაისახა მიზნად – ამ ისტორიული მოვლენის ახლებური ინტერპრეტაციით, მსმენელს მან ერთი არსებითი დეტალი შეახსენა – მედიას ისეთივე გავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიოზე, როგორც ავიაციითა და სამხედრო ტექნიკით შეიარაღებულ ჰიტლერს, ან თუნდაც ბინ ლადენს.

# ქოთილაიძეების მამა-პაპური გამოძახილი

## ”მაუდი-თექას” ნოვაცია TMS-ში

*გალერეა TMS-ში დამთვალიერებელი გვიან ღამემდე ირეოდა. ამის მიზეზი სამშაბათს გახსნილი გამოფენა იყო, სადაც დები ქოთილაიძეების, თექისგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმის დათვალიერება-შეძენა შეგეძლოთ.*

ვერა ნეფარიძე

დასათვალიერებელი საკმაოდ იყო. ყოველ შემთხვევაში, სამ თვეში მეტის მოსწრება, ალბათ წარმოუდგენელია, რადგანაც თითოეული მათგანი ხელით, ავტორების საკუთარი ტექნოლოგიით არის შესრულებული. წარმოდგენილი იყო ბევრი რამ, რაც არა მხოლოდ ქალს, უბრალოდ, ოჯახსაც შეიძლება გამოადგეს. მაგალითად: საწოლის გადასაფარებლები, ჭალი, სხვადასხვა აქსესუარები. განსაკუთრებით, ორიგინალური იყო თექის ჰალსტუხები, ტახტის გადასაფარებელი თავისი ბალიშებით, შავი ბოლოკაბა და შავთეთრი პალტო. ეს ყველაფერი სამმა დამ, გუნა, ლია და ცისანა ქოთილაიძეებმა სამ თვეში შექმნეს.

სამი თვის წინათ, ერთ-ერთი დის, ლიას აკვიატებული იდეით (თექაზე მუშაობა) შეპყრობილმა ცისანამ სააქციო საზოგადოება “მაუდს” მიაკითხა და დირექტორს, გელა ხიზანიშვილს ერთობლივი საწარმოს პროექტი შესთავაზა. მისგან საბოლოო პასუხი მაშინ მიიღეს, როდესაც “მაუდის” მასალისგან დაზადებული ნიმუშები აჩვენეს ფაბრიკის ხელმძღვანელს. მას შემდეგ რაც, ქოთილაიძეების ნამუშევრები ინვესტორს, ბადრი პატარკაციშვილსაც მოეწონა, დებმა “მაუდთან” ერთად


*დები ქოთილაიძეები*



*ექსპონატი*

მცირე საამქრო “მაუდი-თექა” შექმნეს. TMS-ში გამოფენილი ნაწარმი საამქროს პროექტის პირველი ნაწილია. როგორც გავიგეთ, “მაუდის” ხელმძღვანელობას ახალ პარტნიორებთან ერთად მცირე კომბინატის გაკეთება აქვს გადაწყვეტილი.

თექაზე მუშაობის იდეა დაებადა ლიას, რომელიც ამ ყველაფერს რაღაც, მისტიკურს უკავშირებს. ამბობს, რომ ადრე არასდროს უმუშავია ამ მასალაზე. ბოლო სამი წლის წინათ, განსაკუთრებული სიზმრის (რომელსაც ახლა ვერ იხსენებს) ნახვის შემდეგ გაუჩნდა თექაზე მუშაობის შემოქმედებითი ინტერესი: “არ ვიცი, მამა-პაპური გამოძახილი იყო, ალბათ. სიზმრის შემდეგ მოხდა ეს ყველაფერი. არანაირი გამოცდილება არ მქონია. ადრე კი მიყურებია ფშავში, როგორ მუშაობენ მატყლზე, მაგრამ ქსოვა სხვაა და თექის მოთელვა – სხვა”. დებმა ტექნოლოგია მთლიანად ლიას მიანდეს, ფერზე კი, ფერმწერმა გუნამ იზრუნა. ნამუშევრებისთვის გამოყენებულია თვრამეტი ბუნებრივი, დანარჩენი კი, ქიმიური და შერეული ფერები. საბოლოო ჯამში, ექსპოზიციისთვის გუნამ ორმოცდაათამდე ფერი მიიღო. “თავიდან დას მივეხმარე მხოლოდ, მაგრამ შემდეგ გამიტაცა მატყლთან ურთიერთობამ. ჩემი ერთ-ერთი ტილოდან ნახატი გადმოვიტანე თექაზე, რომელიც თუშური და მერინოსის მატყლისგან დავამზადე, აბსოლუტურად სხვა ფერები მივიღე და გაცილებით ლამაზი გამოვიდა”, - შთაბეჭდილებები გამიზიარა გუნა ქოთილაიძემ.

ექსპოზიცია კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიუანსის გამოა საინტერესო: ყველა ნამუშევარი უნაკეროდაა შესრულებული. “გვაინტერესებდა მსგავსი რამ თუ გაკეთდა სადმე, მაგრამ ვერც ინტერნეტის დახმარებით და ვერც ისე, მსგავს ინფორმაციას ვერსად მივაკვლიეთ. ამან კიდევ მეტი სტიმული მოგვცა. ე.ი. შეიძლება ჯერ კიდევ მატყლით ახალი იდეების განხორციელება”, - ცისანა ქოთილაიძის აზრით, ეს დეტალი მათთვის მთავარი მიზეზია პატენტის დასამტკიცებლად.

ვიდრე დები ქოთილაიძეები საავტორო უფლებებს მოიპოვებენ და მცირე კომბინატს გააკეთებენ, მათი ნამუშევრების შეძენა ჯერ კიდევ შესაძლებელია გალერეა TMS-ში. მერე კი ვინ იცის, იქნება გაჭირდეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, თამუნა ქოთილაიძე ნიუ იორკში სწორედ საკუთარი დების პროდუქციის რეალიზებაზე ზრუნავს.

# ანგელოზის მტარებელი კარლო კაჭარავა

## ”ცხოველები, მონსტრები, ბერები, მეფენი და ანგელოზნი”

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეწვიეთ N გალერეას! გუშინ იქ ალბათ ამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა გაიხსნა. დარბაზებში კარლო კაჭარავას ნამუშევრებია გამოფენილი, მთელი სამყარო – “ცხოველები, მონსტრები, ბერები, მეფენი და ანგელოზნი”.

ხალხმრავლობის გამო გამოფენის გახსნის დღეს დათვალიერება, მოგეხსენებათ, ყოველთვის დიდი პრობლემაა ხოლმე, ამჯერად კი თითქმის შეუძლებელი იყო. კარლოს მეგობრები, კოლეგები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, როგორც ქართველები, ასევე უცხოელები, - უამრავი ადამიანი - შესაშური ერთსულოვნებით იმეორებდა, რომ კარლო კაჭარავას შემოქმედება კომენტარს არ საჭიროებს.

კარლო კაჭარავა მეოცე საუკუნის დასასრულის ქართული კულტურის იმდენად თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომ მის შესახებ საუბარი აქ ალბათ ზედმეტი იქნებოდა. თუმცა, 1994 წელს გარდაცვლილი შემოქმედის მემკვიდრეობის საკმაოდ დიდი ნაწილი საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია. ამის მიზეზად კარლო კაჭარავას მიერ დატოვებული არქივის სიდიდეც შეიძლება დავასახელოთ. გარდა ამისა, მრავალი მისი ნამუშევარი კერძო კოლექციებში ინახება – მხატვარი მათ დაუნანებლად არიგებდა.

საქართველოშიც და საზღვარგარეთაც კარლო კაჭარავა ხელოვნების მოყვარულთათვის უფრო მეტად მხატვრადაა ცნობილი. ჩვენ – როგორც გაირკვა - მეტად არასრული წარმოდგენა გვაქვს იმ მასალებზე, რომლებიც მან, როგორც ხელოვნებათმცოდნემ, დატოვა. ხოლო მის პოეტურ მემკვიდრეობას მხოლოდ ვიწრო წრე თუ იცნობს.

გუშინ N გალერეაში გახსნილი გამოფენა პირველია იმ ციკლიდან, რომელიც მიზნად ისახავს კარლო კაჭარავას მრავალფეროვანი შემოქმედების და საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ნახატების პოპულარიზაციას. მომავალში გალერეაში ჩატარდება მისი წიგნის პრეზენტაციაც, რომელსაც გამომცემელი ოთარ ყარალაშვილი ამზადებს. დაგეგმილია კარლო კაჭარავას ნაშრომების ორტომეულის გამოცემა თინანო თევზაძის რედაქციით: პირველ ტომში პოეზია და საუკეთესო მხატვრული ტექსტები შევა, ხოლო მეორეში – სახელოვნებათმცოდნეო სტატიები და კრიტიკული წერილები.

კარლო კაჭარავას პოეზიის რამდენიმე ნიმუშის გაცნობა დარბაზის შესასვლელში შეიძლება: “კარლოს მონოლოგი”, “ზაფხულის ქარიანი ღამეები”, “ანტითეატრი ქმნის ახალ ესთეტიკას (ღირებულებებს)”, “ლოცვა”. ვისაც ნაბეჭდი ეგზემპლარები არ ერგო, კალმები მოემარჯვებინათ და გულმოდგინედ იწერდნენ, რომ ”ჩვენ არ ვხატავთ ერთმანეთის სახეებს. უფრო იოლია სავარაუდო პერსონაჟთა გაცოცხლება გალათეას დარად”...

ეწვიეთ N გალერეას. ძალიან ისიამოვნებთ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ვენეციის პირველი „ფოტოგრაფები“


კანალეტო - სანაპირო.

თუ ყველანი მიჩვეულები ვართ, რომ ბუნების გამომსახველ სურათს პეიზაჟი ჰქვია, ყველამ შეიძლება არ იცოდეს, რომ ქალაქის გამომსახველი პეიზაჟის პროფესიული სახელია "ვედუტა", რაც იტალიურად დანახულს ნიშნავს. ვედუტის ჟანრი XVIII საუკუნის ვენეციაში ჩამოყალიბდა. ამ ჟანრის კრისტალიზაცია მოხდა ვენეციელი მხატვრის, კანალეტოს (ანტონიო კანალეს) შემოქმედებაში. კანალეტო ხატავს ქალაქის ღრმა, ილუზორულად დამაჯერებელ ხედებს, ვენეციის მდიდარი არქიტექტურის ყველა დეტალი ძალიან ზუსტადაა ამოწერილი და ძალიან რთულ რაკურსებშია გამოსახული. ეს ყველაფერი ორგანიზებულია მკაცრ გაწონასწორებულ კომპოზიციებად. მიუხედავად დიაგონალებისა და რაკურსების სიუხვისა, სივრცე ყოველთვის პანორამულად იშლება. მსუყე, მჟღერი ფერები განაპირობებს სურათის დეკორატიულ სიმდიდრეს. კანალეტო მიისწრაფოდა გამოსახულების სიზუსტისაკენ და მიზნის მისაღწევად თანამედროვე ფოტოაპარატის წინაპარს, კამერა ობსკურას იყენებდა, ანუ ყუთს, რომლის ერთ კედელზე ვიწრო ხვრელი, ერთგვარი ობიექტივი იყო გაკეთებული, ხოლო მეორე, ნახევრადგამჭვირვალე მასალისაგან დამზადებულ კედელზე იქმნებოდა სინათლის სხივების გარდატეხის მეშვეობით შედგენილი გამოსახულება. ამგვარი ფოტოგრაფიული ხერხის გამო კანალეტოს სურათები სცილდება ფერწერული კომპოზიციის მანამდე გამომუშავებულ ხერხებს და უახლოვდება ფოტოგრაფიას.

ვედუტის ჟანრი შემდგომში ფრანჩესკო გუარდიმ და ბერნარდო ბელოტომ განავითარეს. პირველთან ფერწერული სტიქია კიდევ უფრო თავისუფალი და დინამიური გახდა. მისი მხატვრობა ვენეციის ჰაერისა და სივრცის ვიბრაციების გადმოცემაზე იყო ორიენტირებული. ამის გამო არქიტექტურის მკვეთრი კონტურები იშლება და დეტალები ქრება. ფრანჩესკო გუარდი თავისი სიღატაკის გამო იაფად ყიდულობდა სხვა, ძირითადად უნიჭო და ეპიგონი მხატვრების მიერ შესრულებულ ვედუტებს და ზემოდან "ახატავდა ჰაერს". მისი ფერწერის გამომსახველობა უკვე აღარ იყო დამოკიდებული არქიტექტურული ნატურის


გუარდი - ვენეციური რეგატა.

საკუთარ გამომსახველობაზე, ეს უკანასკნელი უბრალოდ დეკორად, სამკაულად იქცა, ხოლო მთავარი მხატვრული დატვირთვა შუქსა და მოციმციმე ჰაერზე გადავიდა.

კანალეტოსგან განსხვავებით აქ უკვე აღარა გვაქვს ვენეციის პანორამული ხედები, არამედ პატარა ინტიმური კუთხეების გამოსახულება სულ სხვა მხრიდან გვაწვდის ზღაპრული ქალაქის ხიბლსა და განწყობათა მრავალფეროვნებას.

ბელოტომ თავისი მკაცრი კონტურებით, მუქი რუხი ტონალობით, ნაგებობათა სტერეოსკოპული მოცულობით გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა ხედვითი დოკუმენტალიზმისკენ. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი მხატვარი-ფოტოგრაფია. შემოქმედი თითქმის ყოველთვის კამერა ობსკურათი მუშაობს. ადრე ამ ხელსაწყოს იმისთვის იყენებდნენ რომ მცირე დროში მოეხერხებინათ პეიზაჟის ზუსტი აგება. ბელოტო კი მას მაქსიმალური სიზუსტისა და მნახველის უშუალო დასწრების ეფექტის შესაქმნელად იყენებდა. ამგვარ სურათებში მიიღწევა მნახველის თვალის მოძრაობის წინასწარი ორგანიზება, რის შედეგად ეს მოძრაობა უშუალო ცოცხალ გარემოში გასეირნებას ემსგავსება.

აქ მნახველი უკვე პლანიდან პლანზე კი არ გადადის, არამედ სურათზე გამოსახული ადამიანების ფიგურებთან ერთად ხეტიალს იწყებს დახატულ სამყაროში. ბელოტო ხშირად გვთავაზობს გასეირნების რამდენიმე გზას, რომლებიც პირველ პლანზე იწყება და სურათის სიღრმეში იკარგება, ან კვლავ წინა პლანზე ბრუნდება.

ბელოტოს სურათებს ამ თვალსაზრისით ანალოგი არ მოეპოვება. მათ წინ მდგომი მნახველი ტურისტად გრძნობს თავს. მხატვარმა ვენეცია შორეულ და ლამაზ "ხედებად" კი არ წარმოადგინა, არამედ თვალისათვის გახსნილ არქიტექტურულ სივრცეს, რომელიც თავის შიგნით გვიწვევს. სურათების მშრალი ტექნიკა, მკვეთრი დეტალები, კონტრასტული ჩრდილები სწორედ ფოტოგრაფიის ეფექტს ემსახურება, ეს გამოსახულებები უცებ არ იხსნება მნახველის წინაშე, არამედ მათი აღქმა ხანგრძლივ დეტალურ დათვალიერებას მოითხოვს, რაც აგრეთვე აახლოვებს მათ ფოტოგრაფიასთან.

ვედუტის ჟანრი ვენეციიდან თანდათანობით მთელს ევროპაში გავრცელდა და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ამის შესანიშნავი საბუთია ბერნარდო ბელოტოს მიერ შექმნილი ვენის მშვენიერი ხედები.


ბელოტო - ხიდი მდინარეზე.

# ვენეცია - სერენისიმა

*იტალიური ქალაქი კრემონა მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ვიოლინოებითაა ცნობილი. სწორედ აქ დაიბადა დიდი ანტონიო სტრადივარი — ხემიან საკრავთა შექმქმნელი სწორუპოვარი ოსტატი. მაგრამ კრემონა ძველი ქალაქია, რომელიც სტრადივარის დაბადებამდე მრავალი საუკუნით ადრეც არსებობდა, — მაშინაც, როცა მთელს ევროპაში ქალაქები ჯერ კიდევ ძალიან ჰგავდა სოფლებს. მაგალითად, X საუკუნის კრემონელი ეპისკოპოსი ვენეციაში მოგზაურობის შემდეგ გაოცებული წერდა: "შესაძლებელია, ამდენი ადამიანი ცხოვრობდეს და თავს ირჩენდეს ხვნისა და თესვის გარეშე?". დღეს უფრო ამ შეკითხვის დასმის ფაქტი გაუკვირდება კაცს, ვიდრე მისი შინაარსი. მაგრამ X საუკუნეში, როგორც ეტყობა, მხოლოდ ერთი ქალაქი ჰგავდა ქალაქს — ვენეცია — თანაც ერთადერთი უმარტივესი და სრულიად მოულოდნელი მიზეზით. ამ მიზეზს წყალი ჰქვია, წყალი, რომელზედაც ვერ მოხნავ...*


ხედი რიალტოს ხიდიდან.

ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს ვენეციას. საუკუნეების განმავლობაში მან ნელ-ნელა დაამხო ყველაზე ადრეული იტალიური ნავსადგურის, ამალფის ძლიერება, დაჯაბნა პიზა და გაუსწორდა გენუას; პაპისაგან მოიპოვა მუსლიმებთან ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება; მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად ხელში ჩაიგდო ბიზანტიის აურაცხელი სიმდიდრე; მთელ მსოფლიოსთან ჩაება კომერციულ ურთიერთობაში — სწორედ აქედან ჩავიდა ნოვგოროდში ცნობილი სტუმარი, რომლის ბრწყინვალე ბარიტონი ისმის **რიმსკი კორსაკოვის** ოპერაში "სადკო".

რომელი ისტორიული პერიოდი ავირჩიოთ? ალბათ ის, რომლის განმავლობაში ძირითადად ჩამოყალიბდა ვენეციის დღევანდელი სახე, როცა მოღვაწეობდნენ დრამატურგები **კარლო გოცი** და **კარლო გოლდონი**, კომპოზიტორი **ანტონიო ვივალდი** და სიყვარულის დიდოსტატი **ჯაკომო კაზანოვა**. სხვისა არ ვიცი და ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა, რა გარემოში ცხოვრობდნენ ეს ადამიანები.

მათი დრო XVIII საუკუნე იყო, როცა მთელს ევროპაში დიდი ბიოგრაფიის ადამიანები გაჩნდნენ, როცა თვით კაცის ცხოვრება, მისი მდინარება და შინაარსი გადაიქცა შემოქმედებით ასპარეზად. ამის მაგალითად, თუნდაც ლომბარდიელი **ჯოვან მარია ბონეტი** გამოდგება. ამ ფათერაკების მოყვარულმა კაცმა ჯერ მთელი ევროპა მოიარა, შემდეგ გახდა ფრანცისკელი ბერი და კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ბერობა მალე მობეზრდა და ისლამი მიიღო, ისლამიც ჭკუაში არ დაუჯდა, **ხალიფ ალ მანსური** დაირქვა და საკუთარი რელიგია მოიგონა, რომლის რამდენიმე ათეულ ათას მიმდევართან ერთად გაილაშქრა საქართველოში, მერე რუსებს ეომებოდა ჩეჩნეთში, საბოლოოდ კი **ეკატერინე II**-ს ჩაბარდა და სოლოვკების კუნძულებზე დაასრულა სიცოცხლე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი ადამიანები რაღაც ზღაპრულ გარემოში იზრდებოდნენ. თუმცა, ვინ იცის, რას შეიძლება დავარქვათ "ზღაპრული"...

### ადრიატიკის მარგალიტი

მეჩვიდმეტე საუკუნიდან ორი ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას — პარიზი და ვენეცია. ორივემ ბოლომდე შესვა უნატიფესი ცივილიზაციის თასი, ორივემ მთელს ევროპაში გაავრცელა თავისი ჰედონისტური, კოსმოპოლიტური, სკეპტიკური ცხოვრების თავბრუდამხვევი მომხიბლავი სურნელი, ორივეს ზეობას ერთნაირად მოეღო ბოლო 1789 წელს და ორივეს ერთნაირი სისასტიკით გადაუარა ნაპოლეონის ქარიშხალმა. სწორედ ამ დროს წაართვეს საფრანგეთის ჯარებმა ვენეციას ის თავისუფლება, რომლის სახელითაც შეესივნენ მას.

ასიოდე წლით ადრე კი ვენეციის 150.000 მცხოვრები ვინმეს შეიძლება მსოფლიოში უბედნიერეს ადამიანებად მიეჩნია. აქ ყვაოდა რესპუბლიკა, რომლის შინაგანი მდგომარეობა მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც გამოიხატა — "სერენისიმა" (უმშვიდესი). სიმდიდრესა და უდარდელობაში ჩაძირულიყო მისი ყოველდღიური ცხოვრება, რადგანაც ვენეციელები არაფერს იტოვებდნენ სახვალიოდ, არასოდეს არაფერს იკლებდნენ.

ამგვარი ცხოვრების ხილული გამოხატულება იყო კანალ გრანდეს — ვენეციის მთავარი "ქუჩის" ნაპირებზე განლაგებული სასახლეები, მათი მარმარილოთი მოპირკეთებული ფასადები, კოლონადები, ოქროთი, გობელენებით, აბრეშუმითა და ტინტორეტოსა და ტიეპოლოს ფრესკებით მორთული ინტერიერები. აქ იმართებოდა ათასკაციანი ბანკეტები, იდგმებოდა კომედიები და იმართებოდა კონცერტები, აქ იქსოვებოდა პოლიტიკური და სასიყვარულო ინტრიგები, აქ თამაშობდნენ ბანქოსა და კამათელს...

ჩვეულებრივ მოქალაქეთა და უბრალო ხალხის საცხოვრებელი ბინები, რა თქმა უნდა, ასეთი მორთული არ ყოფილა, მაგრამ საკმაოდ კარგად იყო მოვლილი და იმ დროისათვის კომფორტულადაც ჩაითვლებოდა.

ქალაქის გული სან მარკოს მოედანი იყო და ორი არქიტექტურული ძეგლი: წმ. მარკოზის საკათედრო ტაძარი და დოჟის სასახლე.

ამ უკანასკნელს საძირკველი ჯერ კიდევ მაღალ შუასაუკუნეებში დაედგა: არქიტექტორმა **ანჯელო პარტეჩიპაციომ** 813 წელს ჩაუყარა საფუძველი ბიზანტიური მაგალითების მიბაძვით. საუკუნეების განმავლობაში შენობა მრავალგზის გადაკეთდა და გაფართოვდა. დოჟის საცხოვრებლის გარდა აქ დიდი საბჭოს, ვენეციის პარლამენტის სხდომათა დარბაზი იყო. ფრანგმა მოგზაურმა, **შარლ დე ბროსმა** დოჟის სასახლე ასე დაახასიათა: "უმდარესი გემოვნების უჟმური გოთური ვილა". ვინ იცის, იქნებ შურმა დააწერინა ასეთი რამ. შენობა მრავალი ეპოქის არქიტექტურულ სტილებს ირეკლავს, მაგრამ ნამდვილად არაა მოკლებული გარკვეულ სინატიფეს. ბოლოსდაბოლოს, თვით ქალაქის ისტორია მასავით ეკლექტიკური და მჩქეფარე იყო.

წმ. მარკოზის საკათედრო ტაძარი დოჟის საკუთარი ეკლესია იყო. მისი პირველი ვარიანტი, 976 წელს ხანძრის გამო სრულიად განადგურებული, ასევე ბიზანტიური მოდელით იყო შთაგონებული. მის ადგილზე მრავალი გადაკეთების შედეგად მიღებული არქიტექტურული კონსტრუქცია უფრო მართლმადიდებლურ ტაძარს ჰგავს, ვიდრე რომაულ ბაზილიკას. XIX საუკუნის ინგლისელი მოგზაური **ჯონ რასკინი** მოხიბლული დარჩა მისი "ფანტასტიური ქანდაკებებით, რომლებიც მსუბუქ ბუზმბულსა და შროშანის ფურცლებში გახვეული, ყურძნის მტევნებითა და ბროწეულებით მორთული დგანან". ისეთებიც იყვნენ, ვინც სან მარკო "არქიტექტურულ ურჩხულად" მიიჩნია, მაგრამ ისინიც ვერ გაექცნენ შენობის მომნუსხველ გავლენას.

აქ, ამ ეკლესიაში ინახებოდა ქალაქის თითქმის მთელი განძეულობა. აღნიშვნის ღირსია "ზოია" (ბერძნულად "სიცოცხლე") — მარგალიტებით, ლალებითა და ალმასებით მოოჭვილი დოჟის ოქროს გვირგვინი. აქვე იყო დაცული მრავალი სულიერი სიწმინდე: ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, იესოს სისხლით სავსე ამპულა, მაცხოვრის ჯვარცმის რამდენიმე სამსჭვალი, ყოვლადწმიდა ქალწულის თმა, ლუკა მახარობლის მკლავი, მარიამ მაგდალინელის თითი, იოანე ნათლისმცემლის თავის ქალის ნატეხი, მარკოზ მახარებლის ხელით დაწერილი სახარების დედანი და კიდევ მრავალი რამ, რის ავთენტურობაშიც ეჭვის შეტანას, ალბათ, თვით **ვოლტერიც** არ დაიზარებდა.

სან მარკოს მოედანს უერთდებოდა ქალაქის თითქმის ყველა მთავარი არტერია. რაც უფრო უახლოვდებოდი მოედანს, მით უფრო მრავალფეროვანი იყო ქუჩების გასწვრივ ჩარიგებული სავაჭრო დახლები და მაღაზიები. პერიფერიებზე მათი სპეციალიზაცია უფრო აშკარად იყო გამოხატული, რაც ქუჩების (არხების) სახელებზეც აისახა — ოქრომჭედლების, ხაბაზების, ხარაზების და სხვათა ქუჩები. ყველგან უხვად იყო ყავახანები — დასავლური სამოქალაქო საზოგადოების აკვანი.

ტალღები ეხლებოდა ეკლესიების, საცხოვრებელი სახლებისა და სავაჭროების შესასვლელებს. ვენეციელები, განსაკუთრებით, გარეუბნების მცხოვრებლები, პირდაპირ არხებში ისროდნენ ნაგავს. საბედნიეროდ, ღამის ბრიზით აღძრულ დინებებს ზღვაში გაჰქონდა ნარჩენები და არხების ქსელი გადამდები სნეულებების ბუდედ არ იქცეოდა. ერთადერთი შესაძლებელი ტრანსპორტი გონდოლა იყო, მაგრამ ხიდების საკმაოდ სისტემის წყალობით ქალაქში ფეხით სიარულიც მშვენივრად შეიძლებოდა. ქუჩები სავსე იყო ვირთხებითა და მათზე მონადირე მაწანწალა კატებით. კუთხეებში ხვავდებოდა ნაგავი, რომელსაც მხოლოდ მაშინ ყრიდნენ წყალში, როცა გავლა შეუძლებელი ხდებოდა. მანამდე ქალაქის სისუფთავეზე წმ. ანტონის სახელზე თავისუფლად გაშვებული ღორები ზრუნავდნენ. ამ ღორებმა თავის დროზე თავზარი დასცეს **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს**.

ყველაზე მეტად ვენეციის ზერელე დამთვალიერებელს ქალაქის წოდებრივი დემოკრატიულობა ანცვიფრებდა. გარეუბნებში, მთავარ მოედანზე, დუქნებსა და ყავახანებში ერთნაირად ირეოდნენ მდიდრები და ღარიბები, ერი და ბერი, არისტოკრატები და მდაბიორები. მაგრამ რეალობა საკმაოდ განსხვავდებოდა ამ გარეგნული სურათისაგან ვენეციაში, რომელსაც რესპუბლიკა მხოლოდ სახელად ერქვა.

### წარჩინებულები

ძალაუფლების ყველა ბერკეტი მცირერიცხოვან წარჩინებულ გვარებს ეკავათ. ამ წარჩინებულთაგან ყველაზე პატივსაცემი ოჯახები იყვნენ შთამომავლები იმ თორმეტი ყველაზე წარმატებული ვაჭრისა, რომელთა ხმებით 697 წელს აირჩა ვენეციის პირველი დოჟი. მაშინ ვენეცია ქალაქი კი არა, ბარბაროსთა შემოსევებს გამოქცეული მეთევზეებითა და ხიზანი გლეხებით დასახლებული კუნძული იყო. აქ აშკარად გამოვლინდა იტალიელი არისტოკრატიის უნიკალური თვისება: კომერცია იტალიელი პატრიციების მიერ არასოდეს ყოფილა მიჩნეული დამამცირებელ საქმიანობად. ამ თორმეტი ვაჭრისგან მომდინარე გენეალოგიაში ადგილი განსაზღვრავდა ამა თუ იმ გვარის ღირსება. აქედან გამომდინარე, არც პატრიციები ყოფილან ერთმანეთის ტოლები. ვენეციელი მემატიანე, **ლეოპოლდო კურტი** თავის მემუარებში მათ სამ კლასად ყოფს: მდიდრები, საშუალოები და ღარიბები. "პირველთა და მესამეთ არაფერი აქვთ საერთო გარდა დიდი საბჭოში მონაწილეობის ფორმალური უფლებისა. თანაც მდიდრები ღარიბებს ერთობ ქედმაღლურად ექცევიან და მხოლოდ ათასგვარი დამცირების ფასად თუ აღირსებენ ხოლმე რესპუბლიკის ლიბერალური კანონებით გარანტირებულ პრივილეგიებს". საშუალო სიმდიდრის არისტოკრატები ბალანსირების პოლიტიკას მიმართავდნენ და მდიდართა რიცხვში მოხვედრის მსურველნი ხშირად ღარიბ წარჩინებულთა ხმებს იყენებდნენ ამ უკანასკნელთა სიმრავლის გამო.

აქ იტალიელი არისტოკრატიის კიდევ ერთი თვისება ვლინდება: გაკოტრებული დიდგვაროვანი ნაკლებად მნიშვნელოვანია გუშინდელ წვრილ აზნაურზე, რომელსაც დღეს უკვე სოლიდური ანგარიში აქვს ბანკში. ფული იყო ერთადერთი გარანტი, რომლის წყალობით "სერენისიმას" რესპუბლიკა ერქვა. ყველა თანამდებობა ფულით იყიდებოდა და თუ ეს თანამდებობები მხოლოდ არისტოკრატებს ეკავათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარდა არავის ჰქონდათ თბილი ადგილების შესაძენად საკმარისი თანხა.

საშუალო რანგის წარჩინებულებს სასამართლო ხელისუფლება ჰქონდათ დაპყრობილი. მათი პრივილეგია იყო ოფიციალური კანონების განმარტება.

მესამე რანგის, გაღარიბებულ არისტოკრატებს არც ხელობა გააჩნდათ და არც ფული. სენატი მათ წმ. ბარნაბას კვარტალში ასახლებდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მწირ პენსიას უნიშნავდა. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათ ბარნაბოტებს უწოდებდნენ. სწორედ ეს კლასი გახდა საყვარელი სამიზნე დიდი ვენეციელი კომედიოგრაფის, **კარლო გოლდონის** გესლიანი ნიჭისათვის.

პირველი რანგის არისტოკრატთა ხელში იყო ე. წ. "ოქროს წიგნი" — სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პირთა who is who?, რომელიც ყოველ წელს ახლდებოდა. ამ წიგნში ჩაწერილებს ზუსტად განსაზღვრული საზოგადოებრივი ვალდებულებები ეკისრებოდათ. თუ რომელიმე მათგანს ქალაქელი ქალი შეუყვარდებოდა, საცოლედ აუცილებლად ექიმის, მინათმბერის ან საბაყლოს მეპატრონის ქალი უნდა შეერჩიათ, რა თქმა უნდა, ძალიან მდიდარი. თუ ცოლად გონდოლიერის ან ხარაზის ქალიშვილს ირთავდნენ, არისტოკრატთა სიიდან გარიცხვა და უბრალო მოქალაქეობა ემუქრებოდათ. 800 საჯარო თანამდებობაზე მხოლოდ შეუცდომელი პირების არჩევა შეიძლებოდა.

### დოჟი

თანამდებობათაგან უპირველესი **დოჟის** ადგილი იყო. მის მპყრობელს დიდი პატივი ხვდებოდა წილად, მაგრამ გადამწყვეტი ძალაუფლება არ გააჩნდა. ქალაქის ისტორიის პირველ ხანებში დოჟი ერთობ გავლენიანი იყო, მაგრამ მოგვიანებით ამომრჩევლებმა მას ძალაუფლების მნიშვნე-


ქალაქის კუთხე.


წმ. მარკოზის ბაზილიკა.

ლოვანი ნაწილი წაართვეს იმის შიშით, რომ თანდათანობით დიქტატურა არ დაემყარებინა, რადგანაც ამ შემთხვევაში უზენაესი კვერთხის მთავარი დარტყმა სწორედ წარჩინებულებზე მოვიდოდა. ძველი დიდებიდან დოჟს თითქმის მხოლოდ არჩევისა და კურთხევის რიტუალი შერჩა, რომლის დროს იგი ზღვაში ისროდა ოქროს ბეჭედს ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესს და ყოველთვის მეგობრულ სტიქიასთან თავისი მუდმივი შეუღლების ნიშნად.

დოჟი არ სარდლობდა შეიარაღებულ ძალებს, ხელს არ აწერდა მნიშვნელოვან საგარეო ხელშეკრულებებს, არ ხელმძღვანელობდა სამართალს. კონსტიტუციური მონარქის ადგილი ეკავა და მისი მოვალეობა მხოლოდ დასტურის მიცემა იყო, იმ შემთხვევაშიც, როცა გულით აურის თქმა სურდა.

განსაზღვრულობა მარტო პოლიტიკური სფეროთი არ შემოიფარგლებოდა: დოჟი თავისი პირადი ცხოვრების პატრონიც არ იყო. მის საცხოვრებელში ყოველ წუთში, დღისითა და ღამით, შეიძლება შევარდნილიყვნენ ინკვიზიტორები (რესპუბლიკის საიდუმლო პოლიცია) და დაეკითხათ. მხოლოდ მათი თანდასწრებით შეეძლო დოჟს მიღებული ფოსტის გახსნა და წაკითხვა, იგი ვალდებული იყო რესპუბლიკის ხაზინაში ჩაებარებინა უცხო ქვეყნების მმართველთა მიერ ბოძებული საჩუქრები. თვით ავადმყოფობის დროს სამკურნალოდ საკმარისი არ იყო ექიმების დასკვნა: დიდ საბჭოს უნდა გამოეტანა დადგენილება მკურნალობის ხანგრძლიობისა და კონკრეტული ადგილის შესახებ.

### ხელისუფლების ინსტიტუტები

დიდი საბჭო იყო ვენეციის რესპუბლიკის ნამდვილი ხელისუფალი. ამ ხელისუფლებას იგი დოჟთა სასახლეში ახორციელებდა, ტინტორეტოს, ბასანოსა და ვერონეზეს მიერ მოხატულ დიდ დარბაზში. 1714 წელს დიდი საბჭო 1730 წევრს ითვლიდა, ორმოციოდე წლის შემდეგ კი ეს რიცხვი 962-მდე შემცირდა.

დიდი საბჭოს წევრები ფრაქციებად იყვნენ დაყოფილი და ერთმანეთს მტრულად უყურებდნენ. ეს ხელს არ უშლიდათ, რეალური საფრთხის წინაშე მყოფნი რომ დარაზმულიყვნენ და მიცემული ხმის საიდუმლოების წყალობით ყალბი უმრავლესობა შეექმნათ. ასე ღებულობდნენ მავნე კანონებს და აბრკოლებდნენ სასარგებლო გადაწყვეტილებებს.

დიდ საბჭოზე იყო დამოკიდებული საბჭოდან დელეგირებული 120 წარჩინებულისგან შედგენილი სენატი. აქ ყოველ საკითხზე ხანგრძლივი და მწვავე დისკუსია იმართებოდა. მაგალითად, ცნობილია 1781 წელს წარმოთქმული პროკურორ **მოროზინის** სიტყვა, რომელიც ათ საათს გაგრძელდა.

მმართველობის უფრო სპეციალიზებული ორგანოები იყო სინიორია, კოლეგიუმი და ათთა საბჭო. პირველი უზრუნველყოფდა სახელმწიფო მმართველობას დოჟის სიკვდილსა და ახალი დოჟის არჩევას შორის. მეორე საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებს ასრულებდა. მეორე შინაგანი უსაფრთხოების სტრუქტურა იყო, რომელსაც მხარს უმაგრებდა ინკვიზიტორთა საბჭო.

ამ საიდუმლო პოლიციის წითელი ფარნით შემკული შავი გონდოლა შიშის ზარს სცემდა ვენეციელებს. უდანაშაულოებსაც კი, რადგანაც ვენეციაში არა მარტო რეალურ დანაშაულებს სჯიდნენ, არამედ სავარაუდო განზრახვებსა და სულიერ განწყობებსაც. ასე მოხვდა თხუთმეტი თვით საპყრობილეში თვით ჯაკომო კაზანოვა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში არც განუმარტეს, თუ რისთვის დააპატიმრეს. იგი ტყვიის ჭად წოდებულ ჩვეულებრივ საკანში იტანჯებოდა, სადაც ზამთრობით საყინულე იყო, ზაფხულობით კი — თონე.

ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულებისთვის დასჯის ყველაზე პოპულარული ფორმები იყო ჩამოხრჩობა და არხში დახრჩობა.

რესპუბლიკის კანონთა მიხედვით ყველა წარჩინებულს, თანამდებობის მიხედვით, განსაკუთრებული უნიფორმა სცმოდა. მოუხერხებლობის გამო ოფიციალურ სამოსს მხოლოდ ცერემონიების დროს იცვამდნენ. ყველა ხმარობდა პარიკს, რომელიც პირველად საფრანგეთიდან შემოიტანა ვინმე **შიპიონე კოლალტომ**. თავიდან კონსერვატიულად განწყობილმა დიდმა საბჭომ პარიკები აკრძალა, მაგრამ ახალმა მოდამ მაინც გაიკვალა გზა და ახალგაზრდების გარდა მოხუცებშიც გავრცელდა. განსაკუთრებით ქაჩლებს გაუხარდათ. ერთადერთი, ვინც ძველი ყაიდის ერთგული დარჩა, ვინმე ანტონიო კორერი იყო, რომლის ნეკროლოგში გაზეთები წერდნენ: "გარდაიცვალა პარიკის გარეშე დარჩენილი უკანასკნელი პატრიცი".

### ბურჟუები

მნიშვნელობით შემდგომი სოციალური ფენა ბურჟუაზია იყო. მაგრამ მისი წარმომადგენლები ვერაფერს წყვეტდნენ პოლიტიკაში. ბურჟუასათვის ყველაზე მაღალი თანამდებობა დიდი კანცლერი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი უბრალო ფუნქციონერად რჩებოდა.

და მაინც, ბურჟუებსაც ჰქონდათ თავიანთი "ვერცხლის წიგნი", რომელსაც არისტოკრატების "ოქროს წიგნზე" არანაკლები მუშტარი ჰყავდა. მაგრამ "ვერცხლის წიგნში" მხოლოდ იმას შეეძლო მოხვედრა, ვის მამასაც არასოდეს ჰქონია ხელოსნის პროფესია, არ დარჩენოდა სახელმწიფო ვალი, არასოდეს ყოფილა მიცემული პასუხგებაში, ვინც უძრავ ქონებას ფლობდა ვენეციაში ან მას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. ამათ ხალხურ არისტოკრატიას უწოდებდნენ. ნელ-ნელა ეს ჯგუფი არისტოკრატთა მსგავს კასტად გარდაიქმნა.

მათ შემდეგ სოციალურ კიბეზე მოდიოდნენ თავისუფალი პროფესიონალები: მხატვრები, ექიმები, ადვოკატები. 1766 წელს მათი რიცხვი 240-ს აღწევდა. განათლებით ადვოკატი იყო გოლდონი და თვით კაზანოვასაც იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული. ადვოკატთან ვიზიტი საკმაოდ იაფი ღირდა, მაგრამ დღეში იმდენი მთხოვნელი გროვდებოდა, რომ ვექილის პრაქტიკა ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საქმიანობა იყო ვენეციაში.

საკმაო შემოსავალი ჰქონდათ ექიმებსაც, რომელთა ხელობაში მეცნიერება და გაიძვერობა ერთნაირად ფასობდა. მკურნალობის ყველაზე გავრცელებული ფორმა სისხლის ამოღება იყო, ამიტომაც ძალიან პოპულარულები იყვნენ ქირურგიული პრაქტიკის მქონე დალაქები.

რაც შეეხება ლიტერატორებს, კომპოზიტორებსა და მხატვრებს, ისინი არ მდიდრდებოდნენ, მაგრამ სამუშაო არ აკლდათ. თანაც ვენეციელები მუდმივად ტრადიციულად პატივს სცემდნენ ხელოვნებას.

არისტოკრატიის მსგავსად, ბურჟუაზიასაც ჰქონდა თავისი ზნეობა და წეს-ჩვეულებები. რა თქმა უნდა, არისტოკრატიული ფუფუნება მისთვის მიუწვდომელი იყო, მაგრამ თავისას მაინც არ იკლებდა. ბურჟუები მკაცრად იცავდნენ ვენეციაში მიღებულ ორ ტაბუს: არასოდეს მსჯელობდნენ რელიგიასა და პოლიტიკაზე. პირად წერილებშიც კი ისინი ყოველთვის დუმილით უვლიან გვერდს ამ ორ თემას, აუცილებლობის შემთხვევაში კი ქარაგმებსა და მეტაფორებს მიმართავენ.

მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის იწყებს ვენეციელი ბურჟუაზია თავისი ნაჭუჭიდან გამოსვლას და ისიც საფრანგეთიდან შემოსული ახალი იდეების გავლენით.

### მდაბიორები

ამათ შორის ყველაზე დიდი პრივილეგიები გონდოლიერებს ეჭირათ. 1766 წლის აღწერით ვენეციაში 3776 გონდოლიერი ირიცხებოდა. მათი პრესტიჟი არა მარტო იმით იყო განპირობებული, რომ გონდოლის გარეშე ცხოვრება ვენეციაში დღემდე შეუძლებელია, არამედ იმიტომაც, რომ თითქმის ყოველი მათგანი მაჭანკლად ან სუტენიორად იყო დაბადებული. ისინი უზრუნველყოფდნენ ყველაზე თავზეხელაღებულ საყვარლებს არა მარტო ტრანსპორტით, არამედ ფანჯრიდან ასასვლელი თოკებითა და მისადგმელი კიბეებით. მათი დახმარებით ხშირად დიდ კაზანოვასაც უსარგებლია.

საღამოს ყველანი თეატრში იკრიბებოდნენ. ინგლისელი მოგზაური, **სამუელ შარპი** აღნიშნავს, რომ გონდოლიერთა ტაშსა და ოვაციაზე იყო დამოკიდებული ნებისმიერი პიესის წარმატება ან ფიასკო.

მდაბიორთაგან ყველაზე დაჩაგრულნი და უპოვარნი მათხოვრები იყვნენ. 1760 წელს მათი რიცხვი 18.000 აღწევდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მათხოვრებში ირიცხებოდა ყველა, ვისაც არ ჰქონდა შემოსავალი უძრავი ქონებიდან, ან ხელობა. ვენეციელი პატრიციები იშვიათად უშვებდნენ ხელიდან თავიანთი გულუხვობის დემონსტრირების საშუალებას. ასე რომ, ქუჩაში მოწყალების თხოვნა ვენეციაში საკმაოდ სარფიანი საქმე იყო და ადამიანს აცხოვრებდა, თუმცაღა ყველანაირ სოციალურ პერსპექტივას უსპობდა.

დანარჩენები, — ხელოსნები, მოახლეები, მეწვრილმანეები, მეთევზეები — მიუხედავად სიღატაკისა, მაინც კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ბედით. ვენეციაში ერთი რიტუალიც არსებობდა: მეთევზეები თავიანთი რიგებიდან საკუთარ დოჟს ირჩევდნენ. იყო სხვა წეს-ჩვეულებებიც, რომელთა მეშვეობით ხდებოდა მაღალ ფენათა ცხოვრების იმიტაცია. "სერენისიმა" არასოდეს შეინარჩუნებდა უმშვიდესის წოდებას, მის სიღრმეში არსებული კონფლიქტების მომწიფება ძლიერი და ფერადოვანი ილუზიებით არ ყოფილიყო შენელებული. ასეთი ილუზიების როლს ნებისმიერ საზოგადოებაში ტრადიციები ასრულებს.

### რელიგია

ვენეცია XVIII საუკუნეში 72 სამრევლო თემს ითვლიდა. საინტერესოა, რომ დაბალი რანგის სამღვდელოებას აქ მდაბიორთა სოციალურ ფენას მიაკუთვნებდნენ. მასვე მიეწერებოდა ბერ-მონაზონთა და მოწესეთა უმრავლესობაც. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციური წარმოშობის საეკლესიო იერარქია საკმაოდ დაფასებული იყო რომის კათოლიკურ ეკლესიაში და ვენეციის მთავარეპისკოპოსები, რომლებიც ამავე დროს პატრიარქის ტიტულსაც ატარებდნენ, ძალიან ხშირად ხდებოდნენ პაპები, ქალაქურ ცხოვრებას, ძირითადად, საერო მიმართულება ჰქონდა.

ფრანგი მოგზაური, **ლალანდი** წერდა, რომ ყველა იტალიელის მსგავსად ვენეციელებიც სარწმუნოების გარეგნულ მხარეს ითვალისწინებენ, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით ამას მცირე გავლენა აქვთ მათ ქცევის წესზე. გერმანელი ბარონი **პიოლნიტცი** კი საქმის ცოდნით აღნიშნავდა: "ვენეციელები ცხოვრების ერთ ნაწილს ბოროტების ქმნაში ატარებენ, მეორე ნაწილს კი ღვთისაგან პატიების თხოვნაში".

სხვა მხრივ კი ვენეციის რესპუბლიკა არასოდეს უთმობდა რომის პოლიტიკურ ამბიციებს. 1606 წელს დოჟი **პაოლო სარპი** ეკლესიისაგან განკვეთასაც არ მოერიდა, ოღონდ კი საშუალება არ მიეცა წმიდა საყდარს, რესპუბლიკის საქმეებში ჩარეულიყო. თვით სიტყვა "ინკვიზიციასაც", როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვენეციაში სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო საკუთრივ კათოლიკურ ინკვიზიციას რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული და ვერაფერს იზამდა სპეციალურად ამ საქმისათვის გამოყოფილი სამი საერო მოსამართლის გარეშე. ლამის ყველა საეკლესიო ქადაგება მთავრდებოდა სიტყვებით: "გაიღეთ მოწყალება ჩვენი რესპუბლიკისთვის".

სახელმწიფოსთან ძლიერი კავშირის გამო სამღვდელოება სრულიად სეკულარიზებული იყო. არაფრად ფასობდა სულიერი მოწოდება და ვენეციელები უკვე სარწმუნოების გამო კი არა, ინტერესის გულისთვის იმოსებოდნენ სამღვდელო კაბით. მონასტრების წინამძღვრები, რომლებიც სახელმწიფო ჩინოვნიკებად იყვნენ აღქმული, საერო პირებივით ცხოვრობდნენ და უკანასკნელთ არაფერში ჩამორჩებოდნენ. 1758 წელს, მაგალითად, რესპუბლიკის ინკვიზიციამ საზღვრებიდან განდევნა წმიდა კლარას მონასტრის აბატი **კალოჯერო**, რომელიც ახალგაზრდა მონაზონ ქალებს გასაღებებს ურიგებდა.

მაგრამ, ეტყობა, აბატმა მართლაც გადააჭარბა, რადგანაც რომთან მუდმივ ეკონომიკურ მეტოქეობაში მყოფ სახელმწიფოს აშკარად ხელს აძლევდა ვენეციის მონასტრებში გაბატონებული თავისუფლება და კორუფცია.

### კარნავალი

არსად, შეიძლება, პარიზის გარდა იყო გართობა და სიამოვნება ისეთ სიმაღლეზე, როგორც ვენეციაში. ვენეციური ჰედონიზმით მოიხიბლნენ თავის დროზე **სტენდალი** და **გოეთე**. არსად იმდენი საჯარო დღესასწაული არ ყოფილა, როგორც აქ. მუდამდღე მუსიკის ჰანგებში ჩაძირულ ქალაქში საზეიმო განწყობა უმაღლეს წერტილს ყველიერის კვირას, კარნავალის დროს აღწევდა. ფრანგი მოგზაური მისონი წერდა: "თავისუფლების სულისკვეთება ცას წვდება, ყველანაირი სიამოვნების განცდა უკიდურეს სრულყოფას აღწევს და ყოველგვარ ზღვარს სცდება. მთელი ქალაქი ერთი მთლიანი ნიღაბია. მანკიერება და სიქველე სამოსსა და სახელებს უცვლიან ერთმანეთს".

ქალაქში, რომელმაც თავისი კეთილდღეობის საფუძველი ილუზიებზე დაადგინა და წარმოსახვა სოციალური წონასწორობის შენარჩუნების გარანტად აქცია, ნიღაბსა და ნამდვილ სახეს შორის ყოველგვარი განსხვავება იშლება. სახის ნაოჭები და წყლულები უკვე არავის აშინებს, რადგანაც თამაშის ნაწილად, კარნავალის გაგრძელებად აღიქმება. ამ კარნავალმა კი, როგორც ვთქვით, ნაპოლეონის იტალიურ ლაშქრობამდე გაძლო, რომლის მერე ჯერ ავსტრიელთა მიერ დაპყრობილი და მერე გაერთიანებულ იტალიაში შესული ქალაქი უკვე თავისი ყოფილი დიდების ინერციით ცხოვრობს და დღემდე შთააგონებს ყველა დონისა და ყაიდის შემოქმედს ტომას ელიოტიდან ტინტო ბრასამდე.


ვენეციური ნიღბები.

## ანტონიო ვივალდი


კანალეტო - დღესასწაული.

ვენეციაში ჩასვლისთანავე გრძნობ, რა მნიშვნელობა აქვს ამ ქალაქისთვის აკუსტიკას. ზღვის სიახლოვის გამო მას მუდამ თანსდევს ჩუმი წყლის ტალღების ჩუმი ტყლაშუნი, ვიწრო არხებში კი ყოველი ცალკეული ბგერა რალაცნაირ ტენიან მოცულობას იძენს. ვენეციის მუსიკალურ ხმაურს საოცარი სტრიქონები მიუძღვნეს იტალიელმა და არა მარტო იტალიელმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა. იქნებ ამიტომაც იყო ვენეცია იტალიური ბაროკოს მუსიკის მთავარი ქალაქი.

ამ სტილის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ანტონიო ვივალდი (1678 - 1741), წითურთმიანი მღვდელი, რომელსაც მისი თანამედროვე ვენეციელები "პრეტე როსოს" — წითელ მღვდელს ეძახდნენ. ვივალდის მამა და ამავე დროს პირველი მასწავლებელი წმ. მარკოზის საკათედრო ტაძრის პირველი მევიოლინე იყო. თვით ანტონიომაც ტაძრის ორკესტრში ააჟღერა პირველად საჯაროდ თავისი ვიოლინო 1696 წელს.

ამის შემდეგ ბრწყინვალე მევიოლინე მუსიკის მასწავლებლად მიიღეს წმიდა მოწყალების ჰოსპიტალში, სადაც ორკესტრში მხოლოდ გოგონები იყვნენ. ეს შესანიშნავი სიმებიანი ორკესტრი ყოველთვის უკრავდა, როცა ჰოსპიტალის მესვეური მამები მდიდარი მოქალაქეებისაგან შესაწირს ითხოვდნენ. ეს რეგულარული მოღვაწეობა რომ მონოტონური არ ყოფილიყო, ვივალდის თითქმის ყოველ კვირას ახალი სავიოლინო კონცერტი უნდა შეეთხზა. ბუნებრივია, ახალგაზრდა მაესტროს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი სავიოლინო კონცერტის ჟანრის მოდერნიზაციისათვის.

საინტერესოა, რომ ვივალდის ნაწარმოებებს მის სიცოცხლეში ჰოლანდიური სანოტო გამომცემლობა "როგერი" აქვეყნებდა.

1713 წელს შედგა ვივალდის დებიუტი საეკლესიო მუსიკის დარგში. ამავე წელს, ვიჩენცაში მოგზაურობისას, დაწერა მან თავისი პირველი ოპერა "ოტონე". უნდა ითქვას, რომ წარმატებული კომპოზიტორი არ ყოფილა მოკლებული ბიზნესმენის ნიჭსაც. ვენეციურმა წარმოშობამ მას არც აქ უღალატა. მაგალითად, 1729 წელს კომპოზიტორი წყვეტს თავის კონტრაქტს ჰოლანდიურ ფირმასთან, რადგანაც მდიდარ მელომანებს სთავაზობს დიდ ფასად თავის ხელნაწერებს და ასე მეტ მოგებას ნახულობს.

1726 წელს ვივალდის ერთ-ერთ ოპერაში შედგა საოცრად ლამაზი კონტრალტოს, ანა ჟიროს დებიუტი. ამის შემდეგ მომღერალი ვივალდის მუდმივი ანტურაჟი და მისი ოპერების აუცილებელი პრიმადონა ხდება. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მომღერალმა სრულიად დაიმონა ვივალდი.


გუარდი - ვენეციური რეგატა.


ბელოტო - დოჟის სასახლე.

1730 წლიდან კომპოზიტორს წარმატება მოაკლდა. შარლს დე ბროსი 1739 წელს დანანებით აღნიშნავს, რომ ვივალდის მუსიკა აღარაა მოდაში. 1740 წელს ახალი იმედებით ფრთაშესხმული მუსიკოსი ვენას მიემგზავრება, სადაც მისი ოპერა "მესინის ორაკული" უნდა დადგმულიყო. მაგრამ ამ დადგმას ვერ მოესწრო - 1741 წელს ვივალდი გარდაიცვალა და მისი მოკრძალებული დასაფლავება გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ღარიბი იყო.

კომპოზიტორის სიკვდილის შემდეგ მისი პირადი არქივი - საკუთარ ნაწარმოებთა ხელნაწერი პარტიტურები - 27 დიდი ტომად აკინძეს. ეს სულიერი განძი ჯერ ვენეციელმა ბიბლიოფილმა, იაკოპო სორაცომ შეიძინა, ხოლო მისგან - გრაფმა ჯაკომო დურაცომ, რომელიც დიდ კომპოზიტორს, გლუკს მეცენატობდა.

ვივალდის შემოქმედების ეს ნაწილი 1920-იან წლებში იქნა ხელახლა აღმოჩენილი და დღეს ტურინის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.


ბელოტო - ვენის ხედი.

ავტორები: ნოდარ ლადარია, ლეილა ბეჟუაშვილი.

**ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება სამოთახიანი ბინა თემქაზე, მეხუთე სართული. სარდაფით. ფასი შეთანხმებით. 64 35 28

იყიდება ან იცვლება ახალაშენებული კაპიტალური სახლი ხეხილიანი ბაღით, მუდმივი წყლით, ავტოფარეხით სოფ. გრემში. 39 43 73

იყიდება ბინა ნაძალადევში, პატარა ბაზართან. 77 54 77

იყიდება თანამედროვე დიზაინით აშენებული კერძო 2 სართულიანი სახლი ავლაბარში, სამების ეკლესიასთან.
ტელ: 98 40 13, 899 516925

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება სასტუმრო წალვერში, "კეჩხობის" მიმდებარე ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთი 1800 კვ.მ. ფასი 160 000. 33 54 57

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა ვაკის პარკთან, მე-3 სართულზე. ს/ფართი 160 კვ.მ. ფასი 800 $. 38 01 11

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

იყიდება მალაზია ჭონქაძის ქ. № 14. მუშა მდგომარეობაში. ფართი 160 კვ.მ. სიმაღლე 5,25 მ. გამოდგება საოფისედაც. 93 42 86

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, ABS, ჰიდრავლიკა, 4x4 კვადრო, ავგისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $.
8(77) 44 13 40

იყიდება განბაჟებული "ვექტრა", ლუკით, ABC; ჰიდრავლიკა, საბარგული. 33 54 51

იყიდება ავტომანქანა ფორდ-სიერა-ხეჩბეკი, 1983 წლის. ფასი 750 $. 52 43 83

## სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება "დომინანტი-714", "რომაიორი-313", ფურცელსაკეტი და თერმო-ამკინძაველი. 8(99) 10 11 73

იყიდება ფრანგული ბულდოგის ლეკვები, 2 თვის. დედლები. 95 66 00

ამერიკული მინიატურული კამერები, აუდიო-ვიდეო გადაცემა 30 მეტრზე. მოძრაობის დეტექტორით, დისტანციური მართვით. 72 08 30

ვყიდი კომპიუტერ დენდის, 7 თვის. ფასი შეთანხმებით. 39 69 05 ანზორი, გიორგი

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.
ტელ: 95-77-88, 877 764758

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

შევიძენ ფინური სასადილო "მიქადო"-ს ჟურნალების მაგიდას. 66 62 92, 8(99) 17 56 14

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

**15 ოქტომბრიდან ტელეფონით მიღებული განცხადების (12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება 1 ლარით.**

**98-86-43, 53-76-43**

გაზეთი 24 საათი

[illegible]

31.10.02 N-151

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

### თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჟორჟ ბიზე "კარმენი", ოპერა ოთხ მოქმედებად, ორი შესვენებით
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ
- **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
მაიკლ ფრეინი "ხმაური სცენის მიღმა", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ღამის სტუმარი", რეჟ. რამაზ სიხარულიძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3 ლარი
- **აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
"რიჩარდ III", რეჟ. კახა ბაკურაძე
დას: 18:00 სთ ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

- **TMS**
ერთობლივი საწარმო "მაუდი-თექა" - პირველი კოლექციის გამოფენა
- **„ქარვასლა„**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტონამუშევრების გამოფენა
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ნუგზარ ტაბიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ეროვნული გალერეა**
"საშემოდგომო გამოფენა"
- **ძველი გალერეა**
ნანა ლომიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00; 18;00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6,7,8 ლარი
- **„რუსთაველი„**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**საზელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი**
**ჯორჯიან რისარჩი**

[illegible] 1997 [illegible]

[illegible]

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

## სკანდინავიური კროსვორდი



**სიახლე „იუნიქემ ფარმაცევტიკალისაგან"**

**ყველაზე ეფექტური გრიპის საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება**

**რინზა** გაგიადვილებთ სუნთქვას ალერგიული რინიტის დროს

**4 სამკურნალო პრეპარატის ეფექტური კომბინაცია**

- პარაცეტამოლი – ანთების საწინააღმდეგო, სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. თავის, კუნთების, სახსრების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა.
- კოფეინი – აუმჯობესებს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას.
- ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი – სიმპატომიმეტიკური აქტივობა, ლორწოვანის შეშუპება.
- ქლორფენირამინის მალეატი – ანტიჰისტამინური ეფექტი. ცრემლდენა ცემინება




ოქროს სტანდარტი.
ინდური წარმოება
იუნიქ-ფარმაცევტიკალი.
ლიდერი ფარმაციაში.
დისტრიბუტორი შპს
"ზიზანი"

ალ. ყაზბეგის №14
ტ. 25 04 03

**გინდათ, გქონდეთ ჯანმრთელი ღრძილები და კბილები?**

- ჟელე ღრძილებისათვის
- პირის ღრუს ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა
- ჯანმრთელი ღრძილები, ლამაზი ღიმილი!

წინსვლა სტომატოლოგიაში — სიახლე

**მეტროჯილ დენტა**

(1% მეტრონიდაზოლი და 0.25 ქლორჰექსიდინი).




- მწვავე ნეკროზულ-წყლულოვანი გინგივიტი
- ქრონიკული გინგივიტი
- ქრონიკული პაროდონტიტი
- აფტოზური სტომატიტი
- ინფექციური სტომატიტი

ოქროს სტანდარტი.
ინდური წარმოება
იუნიქ-ფარმაცევტიკალი.
ლიდერი ფარმაციაში.
დისტრიბუტორი, შპს
"ზიზანი"
ალ. ყაზბეგის №14
ტ. 25 04 03.

კომბინაცია
მეტრონიდაზოლი და ქლორჰექსიდინი
ოქროს სტანდარტის ანაერობოციდი — აღიარებული ანტისეპტიკი

ეფექტურად თრგუნავს პირის ღრუში ინფექციური დაავადებების გამომწვევ აერობულ და ანაერობულ მიკროორგანიზმებს.

რეკომენდირებულია მოსკოვის სტომატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ

ფეხბურთი

# "აეკი" - "გენკის" ფრემ "რეალი" შემდეგ ეტაპზე გაიყვანა

CHAMPIONS LEAGUE

აკა ტონია

მიუხედავად იმისა, რომ "რეალი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა იტალიურ "რომასთან", მადრიდელებმა მაინც მოიპოვეს შემდეგი ეტაპის საგზური და პირველი ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩს მათთვის ფორმალური ხასიათი ექნება. სანტიაგო ბერნაბეუზე მისული გულშემატკივარი "რეალმა" საკმაოდ გააწბილა, აგერ უკვე მერამდენედ... ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ორი მატჩი საბერძნეთის "აეკთან" "სამეფო კლუბმა" ფრედ დაასრულა, ცუდად მიდის საქმეები ესპანეთის ჩემპიონატშიც. გუშინ მადრიდელებს მოტივაცია არ აკლდათ, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე კლუბი ვალდებული იყო, მოეგო, მაგრამ მოიგო "რომამ" – 0:1. "რეალის" კრიზისზე უკვე თამამად შეიძლება საუბარი. ის, რომ წარუმატებელი თამაშის მიუხედავად, მადრიდელებმა მაინც შეძლეს ჯგუფიდან ვადაზე ადრე გასვლა, ბერძნული "აეკის" "დამსახურებაა", რომელიც გუშინ ბელგიურ "გენკს" მასპინძლობდა და მატჩის ფავორიტადაც მიიჩნეოდა, მაგრამ ათენელებმა ჯგუფიდან გასვლის საკმაოდ კარგი შანსები გაუშვეს ხელიდან და საქმე გაირთულეს. "გენკმა" საბერძნეთში ფრეს მიაღწია – 1:1. მართალია ,"აეკს" ჯერ კიდევ აქვს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი; თუმცა, ამისათვის მათ "რომა" უნდა დაამარცხონ გასვლაზე, რაც ძალიან რთული ამოცანა უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რომაელებმა მადრიდში "პლანეტის საუკეთესო გუნდად" წოდებულ "რეალს" სავსებით დამსახურებულად მოუგეს. ფრანჩესკო ტოტის მიერ იკერ კასილასის კარში 28-ე წუთზე გატანილი გოლი კი ტურის უმნიშვნელოვანეს გოლად შეიძლება ჩაითვალოს.

საკმაოდ გაირთულა მდგომარეობა ინგლისურმა "ლივერპულმა", რომელიც საკუთარ "ენფილდ როუდზე" დამარცხდა "ვალენსიასთან" – 0:1. ამ გამარჯვებით ესპანელებმა უკვე მოიპოვეს შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება, თანაც, ჯგუფის გამარჯვებულის რანგში. B ჯგუფში ახლა მხოლოდ მეორე ადგილისათვის მიდის ბრძოლა, რომელზე გასვლის შანსებიც გაუჩნდა შვეიცარულ "ბაზელსაც". იგი ფავორიტად მიჩნეულ "ლივერპულს" (7 ქულა) მხოლოდ 2 ქულითღა ჩამორჩება. "სპარტაკი"-"ბაზელის" მატჩი ხუთი ნოემბრისათვის გადაიდო, ვინ იცის, ეს შეხვედრა რომ დღეს გამართულიყო, შესაძლოა, შვეიცარული კლუბი უკვე გვეხილა "ლივერპულის" ზემოთ.



ზიდანი დამარცხდა და ამავდროულად ტრავმაც მიიღო

REUTERS

D ჯგუფში მონაწილე გუნდებს უკანასკნელ მატჩამდე ბრძოლა გარანტირებული აქვთ, აქ ჯერ კიდევ არაფერია გარკვეული. "ინტერსა" და "აიაქსს" 8-8 ქულა აქვთ, იქვეა ფრანგული "ლიონი" 7 ქულით. "ინტერი" "როსენბორგთან" 3:0 გამარჯვების წყალობით დროებით პირველ ადგილზე იმყოფება და ასეც დარჩება, თუ იტალიელები "აიაქსთან" უკანასკნელ მატჩს ფრედ დაამთავრებენ. მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია თავის მხრივ აიაქსმაც, რომელმაც უკანასკნელ ხანებში წარმატებით მოასპარეზე "ლიონს" გასვლაზე საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო – 0:2. შემდეგ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა "ოსერმა", რომელმაც გუშინ "ეინდჰოვენთან" გამანადგურებელი ანგარიშით – 0:3 წააგო. დორტმუნდელებმა კი შინ "არსენალთან" 2:1 გამარჯვების წყალობით ჯგუფიდან გასვლის მყარი გარანტია მიიღეს. A ჯგუფში გასარკვევი ისღა დარჩა, თუ რომელი გუნდი გავა პირველ ადგილზე - "ბორუსია" თუ "არსენალი". შეგახსენებთ, რომ "ბორუსიას" 10 ქულა აქვს, "არსენალს" კი -9. შემდეგი ეტაპის საგზური ორივე გუნდს გარანტირებული აქვს.

| ჯგუფი A | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბორუსია | 2 - 1 | არსენალი | | | | |
| | ეინდჰოვენი | 3 - 0 | ოსერი | | | | |
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
| 1 | ბორუსია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| 2 | არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| 3 | ეინდჰოვენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 4 | ოსერი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

| ჯგუფი B | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლივერპული | 0 - 1 | ვალენსია | | | | |
| | სპარტაკი | გადაიდო | ბაზელი | | | | |
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
| 1 | ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 13 |
| 2 | ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| 3 | ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| 4 | სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

| ჯგუფი C | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რეალი | 0 - 1 | რომა | | | | |
| | აეკი | 1 - 1 | გენკი | | | | |
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
| 1 | რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:6 | 8 |
| 2 | რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 2:3 | 8 |
| 3 | აეკი | 5 | 0 | 5 | 0 | 6:6 | 5 |
| 4 | გენკი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:8 | 3 |

| ჯგუფი D | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლიონი | 0 - 2 | აიაქსი | | | | |
| | ინტერი | 3 - 0 | როზენბორგი | | | | |
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
| 1 | ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| 2 | აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| 3 | ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 7 |
| 4 | როზენბორგი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:11 | 3 |

# "ეს ქარიშხლისწინა გარინდებას ჰგავს"

## ექსკლუზიური ინტერვიუ ოტმარ ჰიცფელდთან









ესპანური პრესა ეიფორიაშია. *"რას მივაღწიეთ! რა სიამოვნება მივიღეთ!"* – ასეთი სიტყვებით აღწერს ქვეყნის №1 სპორტული ჟურნალი "Marca" "დეპორტივოს" გუშინწინდელ ტრიუმფს მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩში. იმავე აზრზეა მთელი ესპანური პრესა:

**Marca:** *"რას მივაღწიეთ! რა სიამოვნება მივიღეთ! "ბაიერნი" ჯოჯოხეთშია!"*

**AS:** *"და კვლავ მაკკაი! ჰოლანდიელმა გალიცია ააღორძინა".*

**Sport:** *"ნახვამდის: ეს სუპერ-ბაიერნის დასასრულია".*

**El Pais:** *"ერთადერთი შემთხვევა – მატჩის უკანასკნელი წუთები ამჯერად გერმანელებს არ ეკუთვნოდათ".*

**RNE** ***(რადიო-სადგური)***: *"ბაიერნი" გააძევეს. ეს "ტიტანიკის" ჩაძირვას ჰგავს".*

**TVE** ***(ტელე-მაუწყებელი)***: *"ესპანური ფეხბურთის მტერი განადგურებულია. შეგვიძლია, ერთი წელიწადი მშვიდად ვიყოთ".*

საპირისპირო განწყობა სუფევდა ფეშენებელურ სასტუმრო "Melia Maria Pita"-ს საბანკეტო დარბაზში: "დეპორტივოსთან" განცდილი ფიასკოს შემდეგ, შუაღამისას, მიუნხენელებს ბანკეტი ჰქონდათ. მაგრამ ეს არ იყო საზეიმო შეკრება, "ბაიერნი" იმ ღამეს ჭირისუფალს უფრო ჰგავდა...

დელიკატესებით სავსე სუფრასთან იდგა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე და დინჯად ტუქსავდა იქვე მდგომ ფეხბურთელებს, რომლებიც დასჯილი ბავშვებივით უხმოდ ისმენდნენ კრიტიკას, მათი მზერა კი "Melia Maria Pita"-ს საბანკეტო დარბაზის იატაკისკენ იყო მიმართული. "ეს არ არის უბრალო მარცხი, ეს სირცხვილია", - ამბობდა რუმენიგე და მართალიც იყო: კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა UEFA-ს თასს ერთხელ "დამარცხებულთა თასი" უწოდა. მაშინ ის, ალბათ, ვერ იფიქრებდა, რომ მისი გუნდი ამ თასის საგზურსაც კი ვერ მოიპოვებდა – 5 თამაშიდან 1 ქულით "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის G ჯგუფში ბოლო ადგილი უკვე გარანტირებული აქვს. რუმენიგემ ისაუბრა ფინანსურ პრობლემებზეც, რომლებმაც ეს სპორტული წარუმატებლობა გამოიწვევს. ჯგუფში ჩარჩენა თვით მდიდარ "ბაიერნსაც" დაამჩნევს თავის კვალს: იმის გამო, რომ მიუნხენელები მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ, მათ 30 მილიონ ევროზე მოუწევთ უარის თქმა. ამიტომაცაა, რომ "ბაიერნმა" უკვე მიიღო გადაწყვეტილება რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვის შესახებ. თუ რა ბედი ეწევა ოტმარ ჰიცფელდს, ჯერ გაურკვეველია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, "ბაიერნში" მოღვაწეობის პერიოდში, მისი კანდიდატურა პირველად დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ბეკენბაუერი, რუმენიგე და ჰიონესი ჰიცფელდს ყოველგვარ მარცხს პატიობდნენ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია.

გაზეთ "24 საათის" სპორტული რედაქციის ოფიციალური პარტნიორი, გერმანული სპორტული საინფორმაციო სააგენტო "Sport Informations Dienst" (sid) გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს "ბაიერნის" მწვრთნელთან. ოტმარ ჰიცფელდს თომას ნიკლაუსი *(sid)* ესაუბრა.

**- ბატონო ჰიცფელდ, რამდენად დიდია იმედგაცრუება?**

- ძალიან დიდი. ეს ჩემი პირადი იმედგაცრუებაა. გერმანული კლუბებით მე, სულ ცოტა, მეოთხედფინალს ვაღწევდი. ასეთი მარცხი პირველია ჩემს კარიერაში.

**- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის გამოსვლას?**

- "ბაიერნს" წლეულს დიდი ზიანი მივაყენეთ. "დეპორტივოსთან" მთელი 90 წუთის განმავლობაში უსუსურად ვითამაშეთ. მეტისმეტად სწრაფად ვკარგავდით ბურთს, ძალიან ცოტას ვმოძრაობდით. გუნდის თამაშში არ ჩანდა მონდომება, გამარჯვებისკენ სწრაფვა. ეს დიდი იმედგაცრუება იყო.

**- რა არის იმის მიზეზი, რომ "ბაიერნის" ფეხბურთელები საკუთარ პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებენ?**

- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გუნდი არ არის სტაბილური. დროა, დავსვათ კითხვა, თუ რატომ წავაგეთ მიმდინარე სეზონში გადამწყვეტი მატჩები. ჩვენ აუხსნელ შეცდომებს ვუშვებთ, ფეხბურთელებს ფეხები დამძიმებული აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩვენი მოთამაშე "ბაიერნის" ზეწოლას ვერ უძლებს. ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ.

**- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ წლევანდელ სეზონში ეფენბერგის მსგავსი ლიდერი გაკლიათ?**

- არა, ასეთი ფეხბურთელები არ გვაკლია. მოტივაცია ჩვენთან არავის აკლია. "ბაიერნის" რიგებში საკმარისზე მეტი ნაკრების მოთამაშეა.

**- ხედავთ თუ არა საკუთარ დანაშაულს იმ სირცხვილში, რომელზეც რუმენიგე საუბრობდა?**

- მე პასუხისმგებლობა მაკისრია. კრიტიკის თავიდან აცილებას არ ვცდილობ, იძულებული ვარ, ის მივიღო. მე ვერ შევძელი, რომ ხუთ თამაშში ერთ ქულაზე მეტი მოგვეგროვებინა.

**- როგორია თქვენი დასკვნები?**

- მე არა ვარ ისეთი მწვრთნელი, რომელიც თავის მოვალეობას მხოლოდ მაშინ ასრულებს, როდესაც მზე ანათებს. მე მებრძოლი ვარ და ადვილად არ ვნებდები. სიძნელეებსაც უნდა გავუსწოროთ თვალი.

**- ხელმძღვანელობას დღემდე არასოდეს გაუკრიტიკებიხართ...**

- მართალია. ეს ქარიშხლისწინა გარინდებას ჰგავს.

**- უკანასკნელი მატჩი "ლანსის" წინააღმდეგ – ეს უბრალო ფორმალობაა?**

- არა, ეს მატჩი ჩვენი პრესტიჟისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. "ლანსთან" შეხვედრაში "ბაიერნის" თავმოყვარეობის საკითხი დგას.

რაგბი

# თარიღი, როგორც იქნა, გაირკვა

*ქართულ-ფრანგული სარაგბო მეგობრობა არა ერთ წელიწადს ითვლის. ამ მეგობრობის კიდევ ერთი დასტურია საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრების ჩამოსვლა საქართველოში. ერთობლივი ვარჯიშების შემდეგ, 2 ნოემბერს, ფრანგი ჭაბუკები ქართველ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.*

პაატა თოთაძე

მატჩის თარიღი მხოლოდ გუშინ გაირკვა. ამის მიზეზი ისევ და ისევ სათამაშო მოედნის არქონა იყო. თავდაპირველი ინფორმაციით, მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე უნდა გამართულიყო, თუმცა, მერე ეს ვარიანტი რატომღაც გამოირიცხა. ხანგრძლივი ძებნისა და მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა: მატჩი შაბათს, 15 საათზე, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ბილეთი ძვირი არ ღირს, სულ რაღაც ერთი ლარი. ბრძოლა კი, მართლაც, სანახაობრივი იქნება. საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრები წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელია. რუსებისა და არგენტინელების დამარცხების შემდეგ ფრანგებმა ბოლო მატჩი ახალზელანდიელებთან დათმეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. იმავე ჩემპიონატზე არც საქართველოს ნაკრებს დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება – ოთხიდან ორი მატჩი მოიგო. ის ორი კი უელსთან და ირლანდიასთან წააგო.

მოკლედ, რაგბის მოყვარულთ შაბათს კიდევ ერთი საჩუქარი ელით. წინა დღით კი საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელები პრესკონფერენციას გამართავენ.

მოკლედ

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ვარსკვლავებს ზინედინ ზიდანსა და რობერტო კარლოსს არ მიაჩნიათ, რომ "სამეფო კლუბი" კრიზისშია. "კრიზისზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, - აღნიშნავს ზიდანი. - უბრალოდ, მცირე დაღმასვლის ხანა გვიდგას". ზიდანისგან განსხვავებით, კარლოსი თვლის, რომ გუნდს სერიოზული პრობლემები არა აქვს. "რეალის" წარუმატებლობის მიზეზს კარლოსი მეტოქეთა შვიდი, ხანაც რვა მცველით თამაშში ხედავს: "მეტოქეებს ჩვენი ისე ეშინიათ, როგორც არასდროს. ამიტომაც ისინი უკანა ხაზს აძლიერებენ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი გაგებით მოეკიდა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გრიგორი სურკისის წინადადებას. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს 2003 წლის 12-14 მაისს ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელისა და მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამართვა სურს და ბლატერს მხარდაჭერას სთხოვს. ამ საკითხზე სურკისი ბლატერს ფიფას ეროვნული ასოციაციების კომიტეტის მორიგი სხდომის შემდეგ ესაუბრა და მისგან თანხმობაც მიიღო.

■ ■ ■

**კალათბურთი.** წლეულს NBA-ში უცხოელ მოთამაშეთა რეკორდულმა რაოდენობამ მოიყარა თავი. უცხოელი ლეგიონერები, რომელთა რიცხვმა 67-ს მიაღწია, 35 ქვეყანასა თუ რეგიონს წარმოადგენენ და ასოციაციის 29-დან 25 კლუბში თამაშობენ. მათ შორის, თუ NBA-ს კლუბთა განაცხადებით ვიმსჯელებთ, იუგოსლავიელები სჭარბობენ. ახალ სეზონში, 9 იუგოსლავიელთან ერთად, მოედანზე ოთხ ხორვატ, სამ-სამ არგენტინელ, ჩინელ და სლოვენიელ მოთამაშეს ვიხილავთ. ორ-ორი კალათბურთელით არიან წარმოდგენილნი ესპანეთი, საბერძნეთი, უკრაინა და საქართველო (ვლადიმერ სტეფანია და ნიკა ცქიტიშვილი). პირველად ჩრდილო ამერიკის საკალათბურთო მოედნებზე გამოჩნდა პოლონეთისა და შოტლანდიის თითო მოთამაშე. ერთი კალათბურთელი ჰყავთ რუსებს. გასულ სეზონში ლეგიონერთა რიცხვი 52-ს შეადგენდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ამას წინათ ფრენკ უილიამსმა ერთი საინტერესო იდეა წამოაყენა, თუმცა, აქედანვე ნათელია, რომ ის იდეადვე დარჩება. და მაინც, რა თქვა ასეთი? უილიამსს მიაჩნია, რომ ფორმულა 1 ოლიმპიური თამაშების პროგრამაში უნდა შეიტანონ. არ ვიცით, რამდენად სერიოზულად ჩათვლიან უილიამსის წინადადებას, მაგრამ, ფაქტია, რომ მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი ჟაკ როგი გამოეხმაურა. ასეა თუ ისე, როგმა ეს იდეა სერიოზულად აღიქვა და თქვა კიდეც, რომ უილიამსის წინადადებას განხორციელება არ უწერია, რადგან ასეთი რამ, უბრალოდ, შეუძლებელია.

"ჩვენ გვაქვს წესები, რომლებშიც ადამიანის ფაქტორია უმთავრესი და არ გვსურს, ოლიმპიურ თამაშებში ტექნიკური ასპარეზობები ჩავრთოთ. ამასთან, განა რამდენი ქვეყანა შეძლებს მასში მონაწილეობას – ხუთი-ექვსი? სპორტის ამა თუ იმ სახეობას ყველა ქვეყანაში უნდა ჰყავდეს მიმდევრები", - განაცხადა ჟაკ როგმა.

წინააღმდეგობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სოკ-ის პრეზიდენტი საკმაოდ გათვითცნობიერებული აღმოჩნდა ავტოსპორტში. ეს მისი სიტყვებიდანაც ჩანს: "ბევრს ჰგონია, რომ პილოტებს ბოქსებიდან მართავენ. მაგრამ, აბა დაფიქრდით, ნუთუ "ფერარი" მართლა აფერხებს ბარიკელოს, რათა შუმახერმა მოიგოს? საკვალიფიკაციო შედეგებს გადაავლეთ თვალი და ამაში თავად დარწმუნდებით. "ფერარის" ინტერესებშია, რომ ბარიკელო ყოველთვის წინ იყოს. მას ხელოვნურად არავინ დააბრკოლებს. ესეც რომ არა, შუმახერი ყოველ ჯერზე უფრო სწრაფად დაქრის. მაშინაც კი, თუ გერმანელ პილოტს ავარია შეემთხვევა და სათადარიგო ბოლიდში გადაჯდება, იგი მაინც უსწრაფესი იქნება".

■ ■ ■

**ალპინიზმი.** ჰიმალაის მთებში, ნეპალში, ექსტრემისტთა ბანდამ მძევლად აიყვანა ცნობილი ბრიტანელი მთამსვლელი, 45 წლის სტივ ჰასტონი. ნეპალელმა ბანდიტებმა ჰასტონი მაშინ შეიპყრეს, როდესაც ის ტიბეტის მახლობლად, რამტან ჩანგის 6750 მეტრის სიმაღლის მწვერვალის დალაშქვრას აპირებდა. მთამსვლელთა ჯგუფს, რომელშიც ათზე მეტი კაცი იყო, შეიარაღებულმა ბანდიტებმა გზა გადაუღობეს და 2500 ფუნტი სტერლინგის საზღაურად გაშვებას შეჰპირდნენ. ვიდრე ერთმანეთში ურთიერთობას გაარკვევდნენ, ჰასტონი და კიდევ რვა მთამსვლელი ერთ პატარა ქოხში გამოამწყვდიეს და მუქარაც მიაყოლეს: თუ გაბედავთ და პოლიციას შეატყობინებთ, რამტან ჩანგის ფერდობზე ჰპოვებთ სამუდამო განსასვენებელსო.

საგონებელში ჩავარდნილმა მთამსვლელებმა ხერხი იხმარეს, უფრო სწორედ, ვაბანკზე წავიდნენ - ნეპალელებთან მოლაპარაკება გამართეს და, იმდენი მოახერხეს, მოძალადეები დაარწმუნეს, რომ მათთვის ხელი არ უნდა შეეშალათ, თუმცა, სანაცვლოდ შეჰპირდნენ: გამოსასყიდს მაშინ გადაგიხდით, როდესაც მწვერვალს დავიპყრობთო. ახლა ექსპედიციის წევრებს იმედი აქვთ, რომ მათ შვეულმფრენით მთის წვერიდან აიყვანენ.

"ისეთ მდგომარეობაში ვართ, როდესაც შეიარაღებული დამნაშავეების მუქარის გამო ძირს დაშვება შეუძლებელია", - ბრიტანელ ჟურნალისტებს მობილური კავშირის მეშვეობით განუცხადა ჰასტონმა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** მოსკოვში დატრიალებული ტრაგედია ხელს ვერ შეუშლის რუსეთის დედაქალაქს, გახდეს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი. ამის შესახებ გუშინ განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა ჟაკ როგმა. მისი თქმით, "როგორც მოვლენები ცხადყოფს, ტერორიზმი ისეთი რამ არის, მსგავსი ამბავი მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში შეიძლებოდა მომხდარიყო. ადრე ასეთი რამ ნიუ-იორკში ვნახეთ, ახლა კი - მოსკოვში".

კალათბურთი

# "ჩელენჯ კაპი": "დინამო" იწყებს და აგებს

*"ჩელენჯ კაპის" საკლუბო ტურნირში თბილისის "დინამოს" დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ვერსად გავექცევით: უკრაინის ჩემპიონატის დებიუტანტი საქართველოს ჩემპიონატის ლიდერზე ძლიერია, თანაც, იმდენად, რომ მარცხი ჩვენსავე მოედანზე გვაგემა.*

მიხეილ აბაიშვილი

**დინამო 89 : 93 ხიმიკი**

მატჩის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. ჯერ "დინამოს" აფრიკელმა ლეგიონერმა მუპემ, ხოლო შემდეგ ოგანესიანმა სამჯერ ზუსტად ითამაშეს მეტოქის ფარქვეშ და ქართული გუნდი ექვსქულიანი უპირატესობით დააწინაურეს (8:2). სტუმრებმა მალევე შეძლეს ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა და პირველი მეოთხედის მეექვსე წუთისთვის ჯერ ორი ქულით დაწინაურდნენ (15:13), ხოლო შემდეგ ცხრაქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს (23:14). სასტარტო მეოთხედის მიწურულს მასპინძლებმა შორეული ტყორცნებით მოახერხეს, ანგარიში დაებალანსებინათ და ეს მონაკვეთი მხოლოდ 2 ქულით (21:23) დათმეს. მომდევნო ორ მეოთხედში თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხან მასპინძლები გააქტიურდებოდნენ და ანგარიშში სხვაობას ამცირებდნენ, ხან უპირატესობას ისევ სტუმრები ეუფლებოდნენ და წინ გადიოდნენ. მატჩის ბედი მეოთხე მეოთხედში გადაწყდა - მას შემდეგ, რაც "ხიმიკი" 8 ქულით დაწინაურდა (61:69), "დინამომ" ისევ იძალა, სამწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოიგო და დაწინაურდა, რითაც თითქოს გადამწყვეტი მატერიალური და ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ხუთ-ხუთი პერსონალური ჯარიმით ჯერ აბრამიძე და თორთლაძე გამოეთიშნენ თამაშს, ხოლო როდესაც თამაშის დასრულებას 3 წუთი აკლდა, მათი ხვედრი ჩხეიძემ და მუპემაც გაიზიარეს და "დინამო" გამთამაშებლების გარეშე დარჩა. დარჩენილი ძალებით ჩვენმა გუნდმა მდგომარეობა ველარ გამოასწორა და დამარცხდა.

ლევან მოსეშვილი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): ჩემი გუნდისთვის მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგის მიერ შემოთავაზებული სტილი. ვგულისხმობ დაცვაში მჭიდრო თამაშს. საქართველოს ჩემპიონატში ამასთან მიახლოებულიც კი არაფერი ხდება. დღევანდელის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან დაცვაში საერთოდ არ თამაშობენ. ვერც ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში დავჯაბნეთ მეტოქე. ყველაფერთან ერთად, სამქულიანი ზონიდან ტყორცნების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი გვქონდა. გუნდის ახალი ლეგიონერი - სიროვინა მაღალი დონის კალათბურთელია, მაგრამ მან დღეს პირველად ითამაშა "დინამოს" შემადგენლობაში და გუნდის სხვა წევრებთან შეუთამაშებელია. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამ მიზეზებით მარცხის გამართლებას ვცდილობ. ყველაფრის მიუხედავად, გამარჯვების შანსი გვქონდა, თვით ბოლო წუთებშიც კი, მაგრამ დღეს ჩვენი დღე არ იყო. წინ კიდევ გვაქვს თამაშები და იმის დრო, რომ მდგომარეობა გამოვასწოროთ."

"დინამო" "ჩელენჯ კაპის" ტურნირის ეგიდით მომდევნო მატჩს 13 ნოემბერს ბაქოში გამართავს. ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება "MTP - სერვისი".



"ხიმიკი" შეტევაზე


E1 ანი ნიჟარაძე ასაკი-16, 164/88/63/88, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


E2 ანი ალექსიშვილი ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E3 ელენე ლომსაძე ასაკი-16, 169/87/62/89, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E4 ხათუნა შენგელია ასაკი-19, 169/84/65/91, თვალის-თაფლის, თმა-მუქი ნაბლის


E5 ვანდა ვიტმანი ასაკი-19, 170/84/60/89, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E2 ანა ორშოვსკაია ასაკი-23, 163/92/60/90, თვალის-ნაცრისფერი, თმა-ქერა

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს
მის ფოტო მოდელი 2002
მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.
1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სარეკლამო კონტრაქტი
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე
ვაჟა ფშაველას 45, 82-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" ტელ: 93 69 11
მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

## TV პროგრამა 31 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ბოროტების სავანე"
02.10 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "კანონის მეორე მხარეს"
11.35 "ცირკი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი"
14.30 "თბილისი და თბილისელები"
15.15 მხ. ფილმი "ფეიერვერკი"
16.55 სერიალი "ძილის წინ"
17.10 რამპა
17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ჯანმრთელობა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
21.55 "დრო და ფული"
22.05 "საქართველო არის ესე"
22.30 "პალიტრა"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "მენავთობე ქალები"
01.30 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
13.15 მუსიკა
14.00 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "გორტს მილმა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ევრო-ქართული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "შიშის ოთახი".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "შავი შევარდენი".
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "გოლიათი ქალის თავდასხმა"

### ევრიკა

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 20.00 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "იდენ-ტვ"
23.00 ფსიქო-პორტრეტი
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "ოტელი "მილიონი დოლარი"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა"
10.15, 12.30, 17.20, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "ლოს - ანჯელესის საიდუმლოებანი"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "მარიუსის უმანკო ჩასახვა"
22.15 მხ.ფ. "ღრმა ლურჯი ზღვა"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "იამაკასი"
13.30 მხ. ფილმი "რაშია საქმე, დოკ"
15.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ტაქსი 2"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "ჯერი მაგუაიერი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" 37-ე სერია
11.15 მხ. ფილმი "ვიბრაცია"
13.00 მხ. ფილმი "საიმედო დაცვა"
14.45 ევროპის სტადიონებზე
15.15 დოკ. ფილმი "დიდი სამამულო ომი"
16.20, 23.50 მუსიკა
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 38-ე სერია
20.00 ბელისიმო
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "პეკინელი ადამიანი ჩუკუმიანიდან"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ. ფილმი "აღმოსავლეთის ექსპრესი"
00.20 სანახაობა "ყორაღები" - "პენსია"
00.35 მხ.ფილმი "ძვლების შემგროვებელი"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ფილმი-ზღაპარი "ოზების ქვეყანაში დაბრუნება"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ვესთერნი "შესანიშნავი შვიდეული"
14.15 ისტორიული ფილმი "ახალგაზრდა აივენჰო"
16.10 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "მოჩვენებათა შოგა"
17.35 კომედია "კავკასიელი ტყვე ქალი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 მელოდრამა "გონება და გრძნობები"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 კომედია "მაფიის ცოლი"
03.30 მელოდრამა "მოცეკვავის დრო"

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.30 "ბიორითმი" - რიკი მარტინი
11.50 ანიმაცია
12.10 "სახლიდან გაუსვლელად"
12.40 "მელოდია"
13.00 დოკ.ფ. "კრივი"
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.30 სპორტი
14.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "პაემანი"
20.30 "სახლიდან გაუსვლელად"
21.00 დოკ.ფ. "კრივი"
21.20 "ღამის კაპრიზი" - შემთხვევითობა და კანონზომიერება
22.15 მოკლედ... სპორტი
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.55 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
23.00 "კინოკლუბი " - "რობოტებზე ნადირობა".
00.25 პრესის მიმოხილვა
00.45 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 "ბიორითმი" - რიკი მარტინი
01.35 პრესის მიმოხილვა

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

სააქციო საზოგადოება ყაზბეგი აწარმოებს
ცივი ჩაის წამახალისებელ ლატარეას
გათამაშებული პრიზები მინიშნებულია ცივი ჩაის საცობის შიდა მხარეზე
მომგებული პრიზის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი
იყოს შესაბამისი საცობი
იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოიგეთ "ერთი ბოთლი" ცივი ჩაი, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ
ერთი 0,5 ლ. ტევადობის ბოთლით ცივი ჩაი შეძენის ადგილას. დანარჩენი პრიზები გაიცემა
შემდეგ მისამართებზე:
ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო №7. ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 80-7 შესახვევი №7.
ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №136. ქ. თელავი, ალაზნისპირის ქ. №8
ლიც. № 01-4/898
წამახალისებელი ლატარეა გასტანს 2002 წლის 21 დეკემბრამდე
მოგებული პრიზების გაცემა გასტანს 2002 წლის 30 დეკემბრამდე.
გათამაშებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ
სს. "ყაზბეგის" მარკეტინგის სამსახურს მისამართზე:
ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო №7. ტელ.: (995 32) 94 25 74

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.